მესხეთის უნივერსიტეტი

№5-6 (289) მაისი-ივლისი, 2024 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

მონოგრაფიის პრეზენტაცია მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება"

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, 15 ივლისს, გაიმართა წარდგენა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მომზადებული მონოგრაფიის – **„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება"**. პრეზენტაცია შედგა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე. აკადემიის პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში წიგნის მნიშვნელობაზე ისაუბრეს საერო თუ სასულიერო პირებმა.

პროექტის ხელმძღვანელია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მერაბ ბერიძე,** გამოცემის რედაქტორი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი **ჯაბა სამუშია.** მონოგრაფიაში გამოქვეყნებულია **მერაბ ბერიძის, როინ ყავრელიშვილის, ხათუნა გაფრინდაშვილის, მაია ბალასანიანის, დარია სტრიუკოვას, ინგა ღუტიძის, მაკა ბერიძის, კუკური მეტრეველის, ნინო ხაზალაშვილის, მამა ალექსანდრეს, მეუფე სერაფიმეს, თეა ცაგარეიშვილის, მამა პაისის** სტატიები.

გაგრძელება მე-2 გვ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი – იდეა, რომელიც არ მარცხდება!

მოგესალმებით, ჩვენო ძვირფასო მკითხველნო. გთავაზობთ გულახდილი პასუხებითა და გულწრფელი ემოციებით აღსავსე ინტერვიუს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, ქალბატონ მაკა ბერიძესთან.

გვ.5

„ეს არის, რაც არის"

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, 24 მაისს, შედგა ქალბატონ **ნათელა ბერიძე-ნაცვლიშვილის** წიგნის – **„ეს არის, რაც არის"** პრეზენტაცია.

წიგნში შესულია ავტორის სადისერტაციო ნაშრომი **„ჟურნალი „ცისკარი" და სწავლა-განათლების პრობლემები მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში"** და **„ქართული ენის დაცვის საკითხები ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე"**. წიგნში წარმოდგენილია, აგრეთვე, ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული სტატიები, ინტერვიუები, კოლეგებისა და სტუდენტების გამოხმაურებები. პრეზენტაციას წარუძღვა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე.** მან აღნიშნა, რომ წიგნის ავტორი უნივერსიტეტის დიდი გულშემატკივარი და ღირსეული ადამიანია.

გაგრძელება მე-6 გვ.

გვ.8 აფხაზთა ხმა ახალციხეში

„თეატრი ის ჯადოსნური ადგილია, სადაც მსახიობს შეუძლია, უამრავ ფერში დაინახოს და შეიცნოს საკუთარი თავი"

გვ.13

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა, ნაყოფიერი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის, ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია მიანიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს,

პროფესორ მერაბ ბერიძეს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს პროფესორ მერაბ ბერიძეს მისი ღვაწლის აღიარებას. უსურვებს, კიდევ დიდხანს ემსახუროს ჩვენი ქვეყნის განმტკიცებისა და გაძლიერებისთვის.

„ახალციხობა – 2024"

გვ.10

„ქუდები ცაში!" – 2024

გვ.16

მონოგრაფიის პრეზენტაცია მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება“

პირველი გვერდიდან

სხდომა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **როინ მეტრეველი.** მან სამცხე-ჯავახეთის რეგიონში უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობაზე და ამ საქმეში პროფესორ მერაბ ბერიძის ღვაწლზე ისაუბრა: **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდ როლს თამაშობს საქართველოს ცხოვრებაში. თავის დროზე, ის იყო თსუ-ს ფილიალი, შემდეგ, სრულიად დამსახურებულად, სახელმწიფო უნივერსიტეტად ჩამოყალიბდა. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო მერაბ ბერიძე, რომელიც წლების მანძილზე იყო რექტორი და ძალიან დიდი ნაბიჯები გადადგა უნივერსიტეტის სასიკეთოდ და კუთხის სასიკეთოდ. მაშინ უნივერსიტეტმა დემოკრატიის თვალსაზრისითაც დიდი ცვლილებები შეიტანა მხარის განვითარებაში. ეს არის იმ ხალხის დამსახურება, ვინც დღეს აქ არიან.**

ბატონმა როინმა ყურადღება გაამახვილა მონოგრაფიის მნიშვნელობაზე და ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი განაცხადა: **დღეს იმართება მნიშვნელოვანი წიგნის წარდგენა. იგი გამოსცა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. წიგნი ეხება უშუალოდ სამცხე-ჯავახეთს. მე გავეცანი მასალას, რომელიც არის სოლიდური, მნიშვნელოვანი ნაშრომი. სერიოზული კვლევაა წარმოდგენილი, სიღრმით არის შესწავლილი.**

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და უნივერსიტეტს წიგნის პრეზენტაცია მიულოცა სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ სამცხე-ჯავახეთის მხარეში **დავით ვარდიაშვილმა: ჩვენთვის დიდი პატივია თქვენთან ერთად ყოფნა. მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ მაკას, ბატონ მერაბს იმ საქმისთვის, რასაც აკეთებენ სამცხე-ჯავახეთისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის. მადლობას მოვახსენებ ჯავახეთის ონომასტიკური მასალის კვლევისთვის, დოკუმენტირებისთვის. ეს ფასდაუდებელი ნამუშევარია და კარგია, რომ ასეთ საქმეს ემსახურებიან უნივერსიტეტელები.**

მონოგრაფიის მნიშვნელობაზე ისაუბრა სასულიერო აკადემიის რექტორმა, პროფესორმა, პროტოპრესვიტერმა **მამა გიორგი ზვიადაძემ: მეძლევა საშუალება, დიდი პატივისცემა გამოვხატო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიის წევრების, ყველას მიმართ. ასევე, მინდა დიდი პატივისცემა გამოვხატო ბატონი მერაბ ბერიძისა და ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ამ წიგნის შექმნაში მონაწილეობდა. მოგესალმებით საქართველოს ეკლესიის სახელით. როგორც ითქვა, დიდი პატივია ისეთ საქმეში მონაწილეობა, ისეთი საქმის თანადგომა, რაც გულისხმობს ამ წიგნის გამოცემას. გისურვებთ წარმატებებს. ღმერთმა დაგლოცოთ.**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, მისი ხელმძღვანელი პირების დამსახურებაზე, უნივერსიტეტის მიერ გაკეთებულ სასიკეთო საქმეებზე ისაუბრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა **დავით ფაცაციამ.** მან უნივერსიტეტს მიულოცა მონოგრაფიის გამოცემა და შემდეგი განაცხადა: **ბატონ მერაბს, თანამედროვე გაგებით, ივანე ჯავახიშვილს ვეძახი სამცხის ტერიტორიაზე და ეს, მართლაც, ასეა. დღეს ის, რაც ხდება რეგიონში ქართული ენის, ქართული ტრადიციების, ფასეულობების განმტკიცების თვალსაზრისით, არის უდიდესი საქმე. მინდა ხაზი გავუსვა იმ წვლილს, რომელსაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს თავის უნიკალური როლით ქართულ-აფხაზურ საქმიანობაში. სამცხე და აფხაზეთი შორს არის თითქოს ერთმანეთთან, მაგრამ სწორედ აქ არის ყველაზე დიდი ქართული სული და სიმბოლო ერთიანობისა. გისურვებთ წარმატებებს.**

წიგნის შინაარსზე, მნიშვნელობაზე, მასში განთავსებულ კვლევებზე ისაუბრა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ.** მადლობა მოახსენა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, ასევე, სახელმწიფო ენის დეპარტამენტს, რომლის ძალისხმევითაც 2023 წელს გამოცხადდა სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი და სწორედ ამ კონკურსმა მისცა საშუალება უნივერსიტეტს, მიეღო გრანტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა. ბატონმა მერაბმა აღნიშნა, რომ მონოგრაფია ინტერდისციპლინარული ხასიათისაა, იგი ეხება ჯავახეთის საზღვრებს, ისტორიულ და თანამედროვე ონომასტიკას, სომეხთა, დუხობორთა და სხვა მიგრანტთა შემოსახლებას, სომხურ და თურქულ საისტორიო წყაროთა მონაცემებს ჯავახეთის შესახებ, სომხური ტოპონიმიის ხუთტომეულში დადასტურებულ ქართულ ონომასტიკურ მასალას, ჯავახეთის ამჟამინდელ ენობრივ ვითარებას, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ აჭარიდან გადმოსახლებულთა ყოფას, მუნიციპალიტეტში არსებულ სამონასტრო ცხოვრებას, მეგალითურ კულტურას ჯავახეთში, ნინოწმინდის ტოპონიმიას რუკების მიხედვით და სხვა. ნაშრომში, ასევე, გაანალიზებულია მასალა, რომელიც მოპოვებულ იქნა ჯავახეთში 2023 წლის ზაფხულის საველე სამუშაოების დროს: **ამ ტიპის მუშაობა უნდა გაგრძელდეს და უფრო მეტი მეცნიერი ჩაერთოს ამ საქმეში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვენი შრომისა გახლავთ ონომასტიკური ბაზა, რომელიც შეიქმნა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდა. ადგილზე მუშაობას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს იმ რეგიონში, რომლის მოსახლეობის 95 პროცენტი არაქართულია. მნიშვნელოვანი იყო ქართულ ენასთან დღევანდელი ჯავახეთის მოსახლეობის დამოკიდებულების პოზიტიური ხასიათი და სახელმწიფო ენის ცოდნის გაზრდილი ინტერესი. მნიშვნელოვანია, რომ მონოგრაფია ითარგმნა ინგლისურად.**

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე.** მან მადლობა მოახსენა თითოეულ მობრძანებულ სტუმარს. აღნიშნა, რომ სასწორზეა აწონილი წიგნის თითოეული ფრაზა, სიტყვა. ყველა ფაქტი აღნიშნულია ისე, როგორც ეკადრება მეცნიერების სტანდარტს, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, აკადემიურ სივრცეს. შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სრულად იღებს პასუხისმგებლობას წიგნში დაწერილ თითოეულ სტრიქონზე. რექტორმა აღნიშნა, რომ წიგნი გახდება სახელმძღვანელო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის: **ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, ქართული მეცნიერების იდეას, ეროვნულობის იდეას და ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა ასევე გავუსვა ხაზი ქართული ეკლესიის თანადგომას საგანმანათლებლო სივრცისადმი. უნივერსიტეტს წლების განმავლობაში გვერდით უდგას ადგილობრივი ხელისუფლება და მინდა, მადლიერება გამოვხატო მათ მიმართ. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი თანადგომა. ჩვენ, ასევე, აქტიურად ვთანამშრომლობთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და დეოკუპაციის კომიტეტთან, აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროსთან. წიგნი, რომელიც დაიდო და რომლის პრეზენტაციაც გახლავთ დღეს, არ იქნებოდა, რომ არა ძალიან მნიშვნელოვანი თანამშრომლობა საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის თანამშრომლობამ მოგვცა შესაძლებლობა, განგვეხორციელებინა პროექტი, რომლის ერთ-ერთი პროდუქტი გახლავთ დღეს წარმოდგენილი წიგნი.**

საქართველოს ენის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, პროფესორმა **გიორგი ალიბეგაშვილმა** უნივერსიტეტს მონოგრაფიის გამოცემა მიულოცა და ისაუბრა პროექტის იდეის ისტორიაზე: **მინდა, პატივისცემა გამოვხატო თქვენ მიმართ და დიდი სიხარული, რომ ეს პროექტი ასე წარმატებით განხორციელდა. ეს გრანტი იყო მიზნობრივი. უნდა დაფინანსებულიყო სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ორი აფხაზური, ორი ქართული პროექტი. მოგეხსენებათ, რომ აქტუალურია სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმიკის საკითხი იმიტომ, რომ იქ ბევრი რამ შელახულია. ბუნებრივია, ამ კუთხით გავაგრძელებთ ჩვენს საქმიქნობას. დიდი მადლობა ყველას.**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქოტორმა, პროფესორმა **გიორგი გოგოლაშვილმა** მონოგრაფიის პრეზენტაციაზე შემდეგი განაცხადა: **ჩემთვის ეს დღე არის ანგარიში იმ სახელმწიფო უნივერსიტეტისა, რომლის თავდადებაც ჩვენ თვალწინ ხდებოდა. თუ რა დონის სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი შეიქმნა სამცხე-ჯავახეთში, ამ წიგნიდან ჩანს ეს. 60-იანი წლებიდან ვმონაწილეობდი სტუდენტურ ექსპედიციებში სამცხე-ჯავახეთში. ვიცი, რა მდგომერეობა იყო იმჟამად ქართულის თვალსაზრისით და ვიცი, რა მდგომარეობაა ახლა. ეს დიდი დამსახურება სწორედ ამ უნივერსიტეტს მიუძღვის და ამისთვის დიდი მადლობა, რომ ქართული ასე მყარ ნიადაგზე დააყენეთ ჯავახეთში. დიდი მადლობა ამ წიგნისათვის და იმ საქმისთვის, რასაც ბატონი მერაბი აკეთებს.**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **მერაბ ჩუხუამ,** რომელიც გახლავთ მონოგრაფიის რეცენზეტი, რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. აღნიშნა, რომ მონოგრაფიაში წარმოდგენილია კომპლექსური კვლევა, რაც მნიშვნელოვანია: **ისტორიოგრაფიის ენა ერთია, წყაროების ენა – მეორე, მაგრამ არსებობს მიწის ენა, რომელსაც ამ**

→

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ჩემი სურვილია, სამეცნიერო პოპულარული ნაწილი და სამეცნიერო საკუთრივ ონომასტიკური ნაწილი გაემიჯნოს ერთმანეთს. კიდევ ერთი სიახლე გახლავთ ის, რომ არის დღევანდელი მუნიციპალიტეტების მიხედვით გაკეთებული შრომა. კარგადაა წარმოჩენილი კვლევა ისტორიული გეოგრაფიის კუთხით, აქვე ისტორიული და წინარეისტორიული იყრის თავს. როინ ყავრელიშვილის ნაშრომზე მინდა ვთქვა. ეს არის საარქივო უნიკალური მასალები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში, პირველად მოწოდებული საარქივო მასალაა. ავტორთა ეს კრებული ნამდვილად იმსახურებს ნდობას.

ფილოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა **ინგა ღუტიძემ** აღნიშნა, რომ მონოგრაფიაზე მუშაობისას ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 31-ივე სოფელში განხორციელდა შესვლა, რაც ძალიან მნიშნელოვანი გარემოება იყო: **ემოციების გარეშე ვერ ვმუშაობდი ამ წიგნზე, განსაკუთრებით საარქივო მასალაზე, როდესაც მესმოდა ქართველთა განწირული ხმა, რომლებსაც იმ პოლიტიკის შედეგად, რომელიც სამცხე-ჯავახეთში ტარდებოდა, ქართულად წერა-კითხვა არ შეეძლოთ. ძალიან მტკივნეული იყო ისტორია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის. რაც შეეხება ენობრივ ვითარებას, დღეს ჯავახეთის ახალგაზრდების 80 პროცენტი ამჯობინებს დარჩეს საქართველოში და აქ მიიღოს უმაღლესი განათლება. ვისურვებდი, რომ ნინოწმინდის სოფლებში, სადაც ქართველი მოსახლეობა 5 პროცენტიც არ არის, წელიწადში ერთხელ მაინც გავიაროთ, ჩავიწეროთ მასალა, რაც მოგვცემს საშუალებას, მომავალი უკეთესად დავგეგმოთ.**

ისტორიის დოქტორმა, პროფესორმა **როინ ყავრელიშვილმა** განაცხადა, რომ მნიშვნელოვნად ჩათვალა მონოგრაფისთვის ქართულ სამეცნიერო სივრცეში ნაკლებშესწავლილი სომეხი მოსახლების საკითხზე ემუშავა: **1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით, ჩვენთვის, მკვლევართათვის, ცნობილია თუ რა შეთანხმება იყო. აღმოჩნდა ერთი რამ ისეთი, რომელიც შეიძლება ვერც კი წარმოგვედგინა. მაქსიმალურად ცდილობდა ოსმალური მხარე, რაც შეიძლება ნაკლები სომხური მოსახლეობა შემოსახლებულიყო სამცხე-ჯავახეთში და ამას ჰქონდა თავისი მიზეზები, რაზედაც ჩვენს კვლევაში არის საუბარი. მხოლოდ თურქული, რუსული, ქართული წყაროებით არ შემოვიფარგლეთ. საინტერესო კვლევები აქვთ ჩატარებული ჩვენს სომეხ კოლეგებს. ვეცადეთ, რომ მათ მიერ მოყვანილი ფაქტებითაც დაგვედასტურებინა ეს დინამიკა.**

მკვლევარმა, ისტორიკოსმა **კუკური მეტრეველმა** შემდეგი განაცხადა: **კარგია, რომ აქ შეკრებილი საზოგადოება აფასებს იმ შრომას, რაც გაკეთდა. კარგი იქნება, რომ ასეთი კვლევა, ასეთი კოლექტივი მოგვევლინოს ჯავახეთის სხვა ნაწილებშიც. ასევე, ჯავახეთის რეგიონში სოფლების დასახელების თაობაზე, არის პრობლემები. იქნებ ამ ნაშრომის გამოყენებით, აქ არსებული რეკომენდაციების საშუალებით მოხდეს სახელების აღდგენა. შესაძლებელია ამ პრობლემების გასწორება. მადლობა ბატონ მერაბს, ქალბატონ მაკას, რომ უნივერსიტეტი ასე დიდ საქმეს აკეთებს.**

ლიკა ზაზაშვილი

გაზაფხულის სემესტრის დაწყებიდანვე შევუდექით მუშაობას ავსტრიის საელჩოს და ავსტრიული კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებული ავსტრიული ლიტერატურის მესამე შაბათ-კვირისთვის სამზადისს, სადაც ჩვენი უნივერსიტეტი თანაორგანიზატორი და მასპინძელი გახლდათ. ეს ჩვენთვის, უნივერსიტეტისათვის, სადაც გერმანული მხოლოდ როგორც უცხო ენა ისწავლება და არც გერმანული ენის შემსწავლელ სტუდენტთა რაოდენობით და არც სხვა მიღწევებით არ გამოვირჩევით, ორგანიზატორთა მხრიდან დიდი პატივი გახლდათ და, რა თქმა უნდა, დიდი პასუხისმგებლობაც დაგვეკისრა. აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენი სტუდენტები წარმატებით მონაწილეობდნენ ავსტრიული ლიტერატურის აქამდე გამართულ ღონისძიებებში ქ. ქუთაისსა და ბათუმში.

და აი, 1-2 ივნისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა III ავსტრიულ ლიტერატურულ შაბათ-კვირას უმასპინძლა. ღონისძიება გაიხსნა 1ივნისს უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში.

ღონისძიების ფარგლებში, ჩვენ ქალაქს ეწვივნენ ორგანიზატორები – საქართველოში ავსტრიის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი **თომას მიულმანი** და ავსტრიული კულტურის ცენტრის დირექტორი **მზია გალდავაძე**.

ახალციხეში გამართული ლიტერატურული შაბათ-კვირა მთლიანად მიეძღვნა თემატიკას – **„ებრაული მემკვიდრეობა ავსტრიულ ლიტერატურაში“.**

„ავსტრიულმა კუთხეებმა“ საქართველოს სხვადასხვა სკოლებიდან და უნივერსიტეტებიდან წარმოადგინეს საინტერესო პრეზენტაციები. ამ საინტერესო თემას შეეჭიდნენ მონაწილეები, გერმანული ენისა და ავსტრიული ლიტერატურის ფანები – თელავის მეცხრე სკოლა, ქუთაისის უნივერსიტეტი, ბათუმის სკოლა ევრო – 2002, თბილისის ავსტრიული ბიბლიოთეკა, ზუგდიდის მეორე საჯარო სკოლა, გალი – დიხაცურგის სკოლა, რუსთავის მედიათეკა, გორის მუნიციპალიტეტის ახალდაბის საჯარო სკოლა და ჩვენი რეგიონიდან მასპინძლები – დამალის საჯარო სკოლა და სჯსუ-ს ავსტრიული კუთხე.

ძალიან საინტერესო იყო ებრაული მემკვიდრეობის შესახებ ამდენი მოტივირებული ახალგაზრდის პრეზენტაციების მოსმენა – ფრანც ვერფელის, როზე აუსლენდერის, ელიას კანეტის, იოზეფ როტის, შტეფან ცვაიგის, მაშა კალეკოს, ალფრედ პოლგარის, კეტე რეხაისისა და ჰელენ მაიმანის შესახებ. – ასეთი იყო ავსტრიის საელჩოს შეფასება.

უნდა ითქვას, რომ ყველა მონაწილე კრეატიულად წარმოადგენდა ნაშრომს და, ამდენად, შეხვედრა ძალიან საინტერესოდ წარიმართა.

ჩვენი უნივერსიტეტიდან პრეზენტაციები წარადგინეს: **ნინი ჯვარიძემ** – მაშა კალეკოს ბიოგრაფიის, **ბექა ბაღდოშვილმა** – მაშა კალეკოს შემოქმედებაში უსამშობლობის თემისა და **რიტა გრიგორიანმა** – მაშა კალეკოს შემოქმედებაში ენისა და იდენტობის საკითხის შესახებ. ნაშრომებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. გამახარა იმ ფაქტმაც, რომ საინტერესოდ ჩათვალეს პრეზენტაციებში ჩართული მაშა კალეკოს ლექსების ჩემეული თარგმანები.

უნდა აღინიშნოს ღონისძიების ორგანიზატორთა გულისხმიერება – საქართველოში ავსტრიის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი თომას მიულმანი და ქალბატონი მზია გალდავაძე ქმნიდნენ საჭირო განწყობას იმისათვის, რომ ღონისძიება მონაწილეთათვის ახალი კონტაქტებისა და დამეგობრების სტიმული გამხდარიყო. უკვე 31 მაისს, საღამოს, ელჩმა მონაწილენი და ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი – **მაკა ბერიძე** მიგვიწვია ვახშამზე, სადაც ყველა მონაწილე გავიცანით და დავგეგმეთ ღონისძიების შემდგომი ნაბიჯები. აქვე მინდა ხაზი გავუსვა ქალბატონი მაკას დამოკიდებულებას უნივერსიტეტში ჩატარებული ნებისმიერ აქტივობის და

გამოფენა რამდენიმე დღით დარჩა ახალციხეში და დამთვალიერებელს კიდევ ოთხი დღის განმავლობაში ვუწევდი გიდობას ამ საინტერესო მწერლისა და წარმოდგენილი პოსტერების შესახებ, ვაცნობდი მნახველთ პოეტის ლექსების თარგმანებსა და ბიოგრაფიას.

საინტერესო იყო მონაწილეთათვის კულტურული პროგრამაც – ღონისძიების დასასრულს ვესტუმრეთ ახალციხის სინაგოგასა და ახალციხის ციხეს.

უნივერსიტეტი – „ლიტერატურული შაბათ-კვირის“ მასპინძელი

განსაკუთრებით ავსტრიის საელჩოსა და ავსტრიული კულტურის ცენტრის ინიციატივების მიმართ. ასეთი პიროვნული და სამსახურებრივი ურთიერთკონტაქტი გვაძლევს სტიმულს, ვიმუშაოთ თავდადებულად და ნაყოფიერად.

ღონისძიება გაგრძელდა 208-ე აუდიტორიაში, სადაც გაიმართა ჩვენება ფილმის **„კარლ ჯერასი – ჩემი ცხოვრება“.**

ღონისძიებას სჯსუ-ს რექტორთან, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან ერთად, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ. ფილმის დაწყებამდე შეკრებილ საზოგადოებას ავსტრიის ელჩი, თომას მიულმანი და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, მაკა ბერიძე მიესალმნენ და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს (ოფიციალური ინფორმაციიდან).

ფილმი, მართლაც, შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ფილმის ჩვენების შემდეგ კი გაიხსნა ავსტრიელი პოეტის, მწერლისა და პუბლიცისტის **ინგებორგ ბახმანის** გამოფენა. მას გაუძღვა ქალბატონი **მზია გალდავაძე.**

ყველაფერი კი საზეიმო ვახშმით დაგვირგვინდა.

ღონისძიების წარმატებულობა, საუკეთესო ორგანიზებასთან ერთად, ჩვენი უნივერსიტეტის რექტორატის, ადმინისტრაციის, თანამშრომელთა და სტუდენტთა ჩართულობამ განაპირობა. ერთიანი გუნდი ეცადა და კარგი შთაბეჭდილებით გააცილა მონაწილეები.

აქტივობა ასე შეაფასა ავსტრიის საელჩომ:

გასულ შაბათ-კვირას გავაგრძელეთ ორი წლის წინ დაწყებული ტრადიცია და, თბილისის ავსტრიულ ბიბლიოთეკასთან Österreich Bibliothek თბილისი ერთად, კვლავ მოვიწვიეთ ავსტრიული კუთხეების წარმომადგენლები გაერთიანებულ ღონისძიებაზე. ამჯერად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო ჩვენი მასპინძელი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ!

დიდი მადლობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **ირაკლი ლაზარაშვილს** და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველ მოადგილეს, ბატონ **დავით ვარდიაშვილს** ღონისძიებებზე დასწრებისათვის!

არაჩვეულებრივი ღონისძიება შედგა. დიდი მადლობა ყველას მობრძანებისთვის. იმედია, ისევ შევხვდებით მომავალ წელს!

რამდენიმე მონაწილის აზრსაც გაგიზიარებთ:

რიტა გრიგორიანი, *სჯსუ-ს მესამე კურსის სტუდენტი:*

მე უკვე მეორედ მივიღე მონაწილეობა „ავსტრიულ ლიტერატურულ შაბათ-კვირაში“, ზოგადად, ყველაფერი პირველი უფრო დიდ შთაბეჭდილებას და ემოციას ტოვებს ადამიანში, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ეს შეხვედრა არაფრით ჩამოუვარდებოდა პირველს. მეტიც, ეს უფრო ამაღელვებელი იყო ჩემთვის, რადგან ჩვენი უნივერსიტეტი იყო ამ ღონისძიების მასპინძელი და, რა თქმა უნდა, ჩვენც შედარებით მეტი პასუხისმგებლობა გვეკისრებოდა. ღონისძიებაზე მოვისმინეთ პრეზენტაციები ავსტრიულ ლიტერატურაში ებრაელი მწერლების შემოქმედების შესახებ, რაც ჩემთვის, პირადად, უცნობი და ძალიან საინტერესო იყო. შემდეგ ვნახეთ დოკუმენტური ფილმი კარლ ჯერასის შესახებ და ინგებორგ ბახმანის გამოფენა, დასასრულს კი ვესტუმრეთ ახალციხის სინაგოგასა და ახალციხის (რაბათის) ციხეს. აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ბატონ ელჩთან, თომას მიულმანთან და ქალბატონ მზია გალდავაძესთან მეორედ შეხვედრა ჩემთვის დიდი პატივია. ამისათვის დიდ მადლობას ვუხდი ავსტრიის საელჩოს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ჩემს საყვარელ ლექტორს – ლალი ბერიძეს.

ნინი ჯვარიძე, *სჯსუ-ს პირველი კურსის სტუდენტი:*

ავსტრიული ლიტერატურული შაბათ-კვირა წელს ჩემს ქალაქში, ახალციხეში ჩატარდა. ამ მეტად საინტერესო პროექტის წევრი ჩემმა ლექტორმა, ქალბატონმა ლალი ბერიძემ გამხადა. პროექტისთვის მზადება საკმაოდ ადრე დავიწყეთ, თავიდან ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ რამდენად საინტერესო შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ღონისძიებაში მონაწილეობა. მოულოდნელი იყო ელჩი მიულმანის მიერ მონაწილეებთან უშუალო კონტაქტი, მისი ღია კომუნიკაცია და მონაწილეების ერთმანეთთან დაახლოება. ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი და მივხვდი, თუ რამდენად დიდ და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს ავსტრიის საელჩო ახალგაზრდებისთვის. საბოლოოდ ამ პროექტმა მოლოდინს გადააჭარბა და დამიტოვა ბევრი დადებით ემოცია.

ლელა იგრიაული, *თელავის მეცხრე სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი:*

უკვე მესამედ შევხვდით საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მოსწავლეები და პედაგოგები გერმანულენოვანი და, კერძოდ, ავსტრიული წარმოშობის მწერლების შემოქმედების უკეთ გასაცნობად. მადლობა ავსტრიის ელჩს ბატონ მიულმანს და ავსტრიული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს ქალბატონ მზია გალდავაძეს ამ უმნიშვნელოვანესი წამოწყებისათვის.

საინტერესო მოგონებად დაგვრჩება სინაგოგისა და დიდებული ახალციხის ციხე-სიმაგრის მონახულება. მადლობა შეხვედრის ორგანიზატორებს ამ სიამოვნებისათვის. უღრმესი მადლობა ჩემ ახალციხელ კოლეგას, უპირველეს ყოვლისა, და უნივერსიტეტის რექტორს ასეთი დიდი ყურადღებისათვის. თქვენ ჩვენი პატარა ქვეყნის საუკეთესო მხარე ხართ, გამორჩეული სტუმარ-მასპინძლობითა და ისტორიით. მადლობა დიდი. მიყვარხართ.

ლალი ბერიძე
ასოცირებული პროფესორი

საერთაშორისო კონფერენცია

„ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისთვის“

17 ივნისს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას – **„მეცნიერება ერთიანი ინტელექტუალური სივრცისთვის“**. კონფერენცია გაიმართა ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეულის ფარგლებში, რომლის გზავნილიც გახლდათ – **„ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისთვის“.** კონფერენციის ორგანიზატორი განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახლდათ.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები, ასევე იყვნენ მომხსენებლები უცხოური სასწავლო, სამეცნიერო და კვლევითი ცენტრებიდან.

კონფერენცია გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფერსორი **მაკა ბერიძე.** მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ამ კონფერენციით შეუერთდა დიდ სამეცნიერო ღონისძიებას, რომელიც განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეგიდით მიმდინარეობდა.

საქართველოში ტრადიციად იქცა მეცნიერების კვირეულის ჩატარება. საინტერესოა ისიც, რომ ყოველწლიურად ამ ღონისძიებას თავისი გზავნილი აქვს. წლევანდელი კვირეული ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეულია. კონფერენციაში, საქართველოსთან ერთად, მონაწილეობს საბერძნეთი, აშშ, თურქეთი, ესტონეთი, პოლონეთი. მადლობა მათ, მადლობა საქართველოდან მონაწილე თითოეულ მეცნიერს, მადლობა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესურას, დოქტორანტებს. – აღნიშნა რექტორმა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა ათენის ქართული ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **ავთანდილ მიქაბერიძე: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა მაქვს. არაფერს დავიშურებ ამ უნივერსიტეტის კეთილდღეობისთვის. მინდა, წარმატება ვუსურვო კონფერენციის მონაწილეებს. ვიცი, რომ საინტერესო კვლევები იქნება წარმოდგენილი. ნებისმიერ დროს მიგულეთ თქვენ გვერდით.**

სიტყვით გამოვიდა სამეცნიერო სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი **მერაბ ბერიძე: უკვე მერამდენე წელია, რაც სამეცნიერო კვირეულები ტარდება ჩვენი ქვეყნის მასშტაბით და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვენი უნივერსიტეტები გარკვეული სამეცნიერო ანგარიშით წარსდგებიან ხოლმე არა მხოლოდ თავისი ქვეყნის, არამედ საერთოდ მეცნიერების წინაშე, რამდენადაც ამ კონფერენციებში მონაწილეობენ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების წარმომადგენლები, ასევე, ის ქართველები, რომლებიც მოღვაწეობენ საზღვარგარეთ. დღევანდელ კონფერენციას ჰქვია ასე: „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისთვის.“ კონფერენციაში მე და ჩემი დოქტორანტი ერთად ვღებულობთ მონაწილეობას. სწორედ ეს გახლავთ ამ გზავნილის იდეა, აი, ამ სტილის ურთიერთობებზეა საუბარი. წარმატებებს ვუსურვებ ახალგაზრდა მეცნიერებს, ასევე, კონფერენციის ყველა მონაწილეს.**

კონფერენციის მონაწილეებს უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებიც მიესალმნენ, რის შემდეგაც მუშაობა გაგრძელდა სესიების მიხედვით: ენათმეცნიერების; ლიტერატურათმცოდნეობის; ისტორიის; განათლების; ვეტერინარიის; აგრონომიისა და ეკოლოგიის; ეკონომიკისა და ბიზნესის; ინფორმაციული ტექნოლოგიების; ასტროფიზიკის; სამართლისა და საჯარო მმართველობის.



სესიების მუშაობა მათთვის განკუთვნილ აუდიტორიებში მიმდინარეობდა, ხოლო შეჯამებისთვის, კონფერენციის მონაწილენი, პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბნენ. უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ აღნიშნა, რომ საინტერესოა ის უკუშედეგი, რაც ამ კონფერენციის მუშაობას მოჰყვა. შემდეგ სიტყვა სესიების ხელმძღვანელებს გადასცა.

ენათმეცნიერების სესიის მოდერატორი, პროფესორი მერაბ ბერიძე:

მადლობა მინდა მოვახსენო კონფერენციის ყველა მონაწილეს. ჩვენმა სესიამ საინტერესოდ იმუშავა. დასაფასებელია საერთაშორისო ურთიერთობები. ასევე, ჩვენი მეგობარი უნივერსიტეტების ჩართულობა. პროფესორების – ნიკო ახალკაცის, მედეა ბურდულის, თამარ მათიაშვილის, ცირა მესხიშვილის, ვასილ მოსიაშვილის, ზურაბ ოქროპირიძის, ედიშერ ნარიმანიძის, დარეჯან ჟუჟუნაძის მოხსენებები. ძალიან საინტერესო და ორიგინალური იყო მოხსენებები და ვფიქრობთ, თუ დაიბეჭდება ეს მასალები, საინტერესო იქნება.

ლიტერატურათმცოდნეობის სესიის მოდერატორი, პროფესორი ნესტან სულავა:

ლიტერატურათმცოდნეობის სესიაზე 10 მოხსენება იქნა წარმოდგენილი. მნიშვნელოვანი გახლდათ პროფესორ ლალი ბერიძის, დალი ბეთხოშვილის, მაია ივანიძის, მაყვალა დავითაძის, ვახტანგ ინაურის, მარინე შონიას, ქეთინო გრძელიშვილის მოხსენებები. საინტერესო იყო ასოცირებული პროფესორის ნანული კაჭარავას მოხსენება, რომელიც მუჰაჯირი ქართველების შთამომავლების შემოქმედებას ეხებოდა. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ამ შემოქმედებას, რადგან მათ უყვართ საქართველო და საჭიროა მათთან მეტი სიახლოვე. ასევე, საინტერესო იქნება დუზჯეს უნივერსიტეტთან თანამშრომლობა. მადლობა სესიის ყველა მონაწილეს საინტერესო მოხსენებებისათვის.

განათლების მიმართულების სესიის მოდერატორი, ასოცირებული პროფესორი გულიკო ბექაური:

სესიაზე წარმოდგენილი იყო 5 მოხსენება. საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ ჩვენს სესიაში მონაწილეობა მიიღო მოხალისემ ალაბამის უნივერსიტეტიდან ქეროლაინ ბინმა. მნიშვნელოვანი გახლდათ ნინო კარკაძის, ირმა ქურდაძის, ნატო ყრუაშვილის და ჩემი მოხსენებები. ჩვენს სექციაზე დაცული იყო რეგლამენტი. მიმაჩნია, რომ ამ პროცესში განათლების მიმართულება უფრო აქტიურად უნდა იყოს წარმოდგენილი.

სამართლისა და საჯარო მმართველობის სესიის მოდერატორი, ასოცირებული პროფესორი დავით ხოგელია:

ჩვენს სესიაში ყველა დარეგისტრირებულმა მონაწილემ მიიღო მონაწილეობა. დავიცავით რეგლამენტით გათვალისწინებული დრო. საინტერესო იყო ჩვენს კოლეგებთან დისკუსია, რომლებიც გახლდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. ეს კამათი იყო საინტერესო. მსგავსი კონფერენციების გამართვა მნიშვნელოვანია, რადგან იძლევა შესაძლებლობას, გავეცნოთ ჩვენი კოლეგების ნააზრევს და გავცვალოთ მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ვეტერინარიის სესიის მოდერატორი, პროფესორი ლევან მაკარაძე:

ჩვენი სესიის მუშაობა დაიწყო სასიამოვნო მილოცვით. ჩვენ ჩაგვერთო სურსათის ეროვნული საგენტოს უფროსის მოადგილე ბატონი ვასილ ბასილაძე, რომელიც ამავე დროს არის ჩვენი დოქტორანტი. მისასალმებელია, რომ წარმოდგენილ ნაშრომებს შორის უფრო მეტი იყო დოქტორანტების მოხსენებები. თემატიკა იყო საინტერსო. შეეხებოდა ინფექციურ პათოლოგიებს, თერაპიული პროფილაქტიკის საკითხებს, იმუნოდეფიციტის პრობლემებს. ვფიქრობ, რომ ასეთი კონფერენციები ყოველთვის დადებით შედეგს იღებს. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას ასეთ მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის.

აგრონომიისა და ეკოლოგიის სესიის მოდერატორი, ასოცირებული პროფესორი ზაირა ტყებუჩავა:

მადლობა უნივერსიტეტს ასეთი გრანდიოზული კონფერენციის გამართვისთვის. წარმოდგენილი იყო მეტად საინტერესო მოხსენებები. 11 მოხსენებიდან ყველა მომხსენებელმა წარმოადგინა თემა. ყველა მათგანი იყო მნიშვნელოვანი და აღინიშნა, რომ პროფესორ-მასწავლებლებმა და დოქტორანტებმა ამ მიმართულებით უნდა გააგრძელონ კვლევა.

ეკონომიკისა და ბიზნესის სესიის მოდერატორი, პროფრსორი ლავრენტი ჩიბურდანიძე:

კარგ სტარტს კარგი შედეგი აქვს. გვყავდა 14 მომხსენებელი. ეკონომიკა მრავალფეროვანი დარგია. ყველა საკითხი იყო საინტერესო. გვყავდა 3 მომხსენებელი ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტიდან, ასევე, 2 დოქტორანტი. ყველა საკითხი იყო საინტერესო, იყო საქმიანი დისკუსია. მადლობა ყველა მომხსენებელს თემების ასეთ მაღალ დონეზე წარდგენისთვის.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სესიის მოდერატორი, ასოცირებული პროფესორი ლელა წითაშვილი:

სიამაყით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენს სესიაზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები, რომლებიც ნებისმიერ კონფერენციას დაამშვენებდა. წარმოდგენილი იყვნენ თურქეთის სტამბოლის უნივერსიტეტის დოქტორანტები, პროფესორ ვასილ ტაბატაძის ხელმძღვანელობით. მათ სამი სერიოზული კვლევა წარმოადგინეს. ასევე, გვესტუმრა მარკ მეტსი ტალინის უნივერსიტეტიდან. ასევე, მინდა გამოვყო ჩვენი ახალგაზრდა პროფესორებისა და დოქტორანტების მოხსენებები. მიჭირს რომელიმე მათგანი გამოვარჩიო. ჩვენმა სესიამ იმუშავა ნაყოფიერად. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას კონფერენციის ორგანიზებისათვის. ასევე, საინტერესო იყო ასტროფიზიკის სესიის მუშაობა. ამ სესიაზეც წარმოდგენილი იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი მოხსენებები.

მოდერატორების მიერ შემაჯამებელი გამოსვლების შემდეგ, რექტორმა მადლობა მოახსენა კონფერენციის ორგანიზებაში ჩართულ ყველა პირს და აღნიშნა, რომ შემაჯამებელ ღონისძიებაზე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. პირველი გახლავთ საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა. მეორე გახლავთ დოქტორანტების ჩართულობის მნიშვნელობა კონფერენციაში, რაც მისასალმებელია. მესამე – ქართული უნივერსიტეტების მონაწილეობის მნიშვნელობა, რაც ფასეულია ჩვენთვის. დაისვა საკითხი, რომ ბევრი მოხსენება უნდა დაიბეჭდოს და უნდა გავრცელდეს სამეცნიერო წრეებში.

საერთაშორისო კონფერენციის მიზანი იყო სამეცნიერო საზოგადოებისთვის სიახლეების წარდგენა, სხვადასხვა თაობის მეცნიერთა შორის კომუნიკაციის გაღრმავება და მხარდაჭერა, ახალგაზრდა მეცნიერთა როლის გამოკვეთა და ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შორის მჭიდრო სამეცნიერო კავშირების სტიმულირება, რაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონფერენციის მუშაობის დროს ნათლად გამოიკვეთა.

ლიკა ზაზაშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი – იდეა, რომელიც არ მარცხდება!

მოგესალმებით, ჩვენო ძვირფასო მკითხველნო. გთავაზობთ გულახდილი პასუხებითა და გულწრფელი ემოციებით აღსავსე ინტერვიუს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, ქალბატონ მაკა ბერიძესთან.

– მოგესალმებით, ქალბატონო მაკა. როგორია ქალბატონი მაკა ბერიძის ერთი ჩვეულებრივი დღე.

– მოგესალმებით. მივესალმები ჩვენს ძვირფას მკითხველს. არ ვიცი, რამდენად დამიჯერებთ, მაგრამ პირველ რიგში მსურს გითხრათ, რომ არცერთი დღე ერთმანეთს არ ჰგავს. გამიჭირდება, ჩვეულებრივი დღე რომ აღვწერო, რადგან ყველა დღეს თან ახლავს განსხვავებული გამოწვევა, სიურპრიზები, მოულოდნელობები, ინტრიგაც კი *(სახეზე სასიამოვნო ღიმილი დასთამაშებს თან. **რ. ს.**)* კითხვაზე ამგვარად გიპასუხებთ, რა მეორდება ყველაზე ხშირად. რუტინული საქმეა, როდესაც: უნდა გავეცნო და ვუპასუხო ახალ კორესპოდენციას; გავიგო, ვის სურს დღეს რექტორთან შეხვედრა და, დაახლოებით, რა თემის შესახებ; გადავხედო ჩემს გეგმას ... ჩვეულებრივ დილა იწყება დღის გეგმის მონახაზის შედგენით და შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დგება იმიტომ, რომ ამ პროცესს ახლავს უამრავი სიახლე და მე მათ დადებითად განწყობილი ვუყურებ.

– თქვენი ყოველდღიურობა, როგორც აღნიშნეთ, უამრავი დაუგეგმავი ფაქტითაა აღსავსე და, მათ შორის, რა თქმა უნდა, გარკვეული დაბრკოლებებიც იქნება. რა არის ამ დროს თქვენი მთავარი შთაგონება და მასტიმულირებელი წყარო.

– გამოწვევების მხრივ ორ მთავარ გამოწვევას გამოვყოფ. პირველი – დაგეგმილი საქმიანობის შესრულება და მას თან ახლავს ნათქვამი სიტყვის შესრულება. როდესაც ამ გეგმას წარადგენს რექტორი, ბუნებრივია, იგი ყველას მხრიდან აღიქმება, როგორც აუცილებლად შესასრულებელი. ეს ნამდვილად დიდი გამოწვევაა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნათქვამი არც თუ ცოტა და მარტივია. მეორე – ცვალებადი საგანმანათლებლო სივრცე, სადაც სიახლეები არის იმდენად სწრაფი, რომ რექტორისგან ითხოვს მოვლენების წინასწარ განჭვრეტით განსაზღვრას. არა მარტო დღეს რა ხდება, არამედ რა შეიძლება მოჰყვეს დღეს გადადგმულ ნაბიჯს. ჩემი საქმიანობის და ენერგიის მთავარი წყაროა სტუდენტებთან პირისპირ შეხვედრა და საუბარი. მხოლოდ ეს მაძლევს მოტივაციას. როდესაც ყველაზე მეტად მიჭირს, მაშინ ყველაზე ბევრ შეხვედრას ვმართავ სტუდენტებთან და ამ დროს ყველაფერი გვარდება. თან ახლავს სირთულეების პროცესს გადაღლა, შეგრძნება, რომ იქნებ ვერ შევძლოთ; ამ დროს ყველა პასუხი აქვთ სტუდენტებს და ხშირად თავადაც ვერ იაზრებენ, თუ ჩემს გონებაში რამდენ კითხვას გაეცა პასუხი მათთან შეხვედრისას. აქვე დავძენ, რომ ეს შეხვედრები, რა თქმა უნდა, ყოველთვის არ არის ქება-დიდებაზე ორიენტირებული, პირიქით, სტუდენტები ბევრ პრობლემურ საკითხს განიხილავენ ხოლმე. სტუდენტი ჩემთან არ გააჟღერებს საკითხს თუ მოლოდინი არ აქვს, რომ ის გადაწყდება და თუ მოლოდინი აქვს ამის, ის მიიჩნევს, რომ შესაძლებელია. როდესაც სტუდენტი ფიქრობს, რომ შესაძლებელია, მასზე დაფიქრება და შესრულება აუცილებლად ღირს. ამიტომ ეს მე, ფაქტობრივად, მთავარ ენერგიას მაძლევს. ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, როდესაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელი დადებით კონტექსტში იხსენიება რეგიონისა და ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. წარმოიდგინეთ, ერთი შექება უცხოელი პარტნიორის, ერთი დადებითი და პერსპექტივაზე გათვლილი შეფასება და ყველა სირთულე ქრება.

– ქალბატონო მაკა, ყველაზე ხშირად რა პრობლემების გადასაჭრელად მოგმართავენ სტუდენტები ?

– თავდაპირველად სამი მთავარი მიმართულება იკვეთებოდა: მატერიალურ -ტექნიკური ბაზა, სასწავლო პროცესის წარმართვა, რაც გულისხმობს ლექციებისა და გამოცდების სრულფასოვნად წარმართვას, ხოლო მესამე გახლავთ უნივერსიტეტის სივრცეში ურთიერთობები. მსურს გითხრათ, რომ ნელ-ნელა იკლებს მატერეალურ -ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირბული პრობლემები. მე მახსოვს პირველი შეხვედრები, როდესაც სტუდენტები მხოლოდ ამ საკითხებზე იყვნენ ორიენტირებულნი. დღეს გვაქვს უკვე რეალობა, როდესაც, მაგალითად, სტუდენტები აღარ მისვამენ საკითხს, რომ აუდიტორიებში არ შეუძლიათ სრულფასოვნად პრეზენტაციის წარმართვა. სტუდენტი უნივერსიტეტში მოდის განსხვავებული მოლოდინით. მთავარი პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც სტუდენტების დიდი ნაწილი არ დადის ლექციებზე და ვინც დადის, მათ კითხვის ნიშანი აქვთ შემდეგ, რომ მათთვის იმავე ხარისხით მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი. არცერთ შემთხვევაში უნდა დაზარალდეს სტუდენტი, რომელიც მარტო მოდის, რადგან მისი ჯგუფელები ვერ მოდიან. სიმართლე გითხრათ, ამ საკითხზე ბევრი ვიმუშავეთ და ჩვენ ნელ-ნელა მივეჩვიეთ ინდივიდუალურ მუშაობასაც, რომ სიტყვები „არავინ არის“, მაშინ, როდესაც ერთი სტუდენტი არის აუდიტორიაში, ეს დებულება უკვე მცდარია. მესამე პრობლემა გახლავთ გაუგებრობები სტუდენტებს ან სტუდენტებსა და პროფესორებს შორის. მე ძალიან გულწრფელი ვარ ახლა, რადგან თუ სტუდენტები წაიკითხავენ ინტერვიუს, არ მსურს მათ გაუჩნდეთ განცდა, რომ მე ვერ ვხედავ ამ პრობლემას. ხშირად მეუბნებიან, რომ ისინი არ სვამენ ამ პრობლემას შეფასებებისთვის, ისინი ურთიერთობებზე ზრუნავენ. მე მიხარია იმიტომ, რომ ჩვენი სტუდენტები ურთიერთობებსა და შეფასებებს თანაბარ სიმაღლეზე აყენებენ, მეტიც, მათთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია ურთიერთობები, ობიექტურობის განცდა. სტუდენტები არ ურიგდებიან იმ რეალობას, რომელშიც ობიექტურობა არაა და ჩემგან ითხოვენ, მინიმუმ, ამ პროცესის შეფასებას. ახლა რომ გითხრათ, აპრიორად ყველა ამ საკითხში სტუდენტთა გამართლების წილი ცალსახადაა, არა, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ საუნივერსიტეტო განათლება მხოლოდ ცოდნის მიღებას, გადაცემასა და მოხმარების უნარს არ გულისხმობს. საუნივერსიტეტო განათლება მაღალი საზოგადოებრივი შეგნების, მაღალზნეობაზე დაფუძნებული ურთიერთობების უნარსაც გულისხმობს. ჩვენ გვქონდა შემთხვევები, როდესაც გარკვეული კონფლიქტური სიტუაციების შემდეგ ხმამაღლა განვაცხადე, მე ვამაყობ, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა, ეს არის ის, რაც ეკადრება უნივერსიტეტს.

– უნივერსიტეტის ამჟამინდელ წარმატებებსა და მნიშვნელოვან სიახლეებზეც რომ გვიამბოთ.

– გადაუჭარბებლად გეტყვით, რომ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ გასულიყვნენ და მათ თავიანთი ღირსეული სიტყვა არ ეთქვათ. მადლობა ყველა იმ სტუდენტს, რომელთაც მოისურვეს და ერგოთ პატივი, რეგიონისა თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ღირსეულად წარმოედგინათ თავიანთი საგანმანათლებლო დაწესებულება. ყველგან იგრძნობა მათი აჩქარებული გულისცემა, არათუ მოდუნებული, არამედ სიცოცხლისათვის თავგანწირული ძალისხმევა. ეს ჩემთვის უმნიშვნელოვანესია.

ახლა მე ხაზგასმით ვისაუბრებ უნივერსიტეტის ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვან მოვლენაზე, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია და რომელიც განასხვავებს ჩვენს უნივერსიტეტს სხვათაგან. ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ სამცხე-ჯავახეთში უნივერსიტეტის გახსნის იდეა ცოცხალია, ძალიან ძლიერია და ცოცხლობს, თავად ბადებს არსს, ემსახურო შენს ქვეყანას. მე მსურს, აფხაზური ცენტრის გახსნას შევეხო. რომ გითხრათ, რომელიმე ფაკულტეტის ან სპეციალობისაა, რომელიმე კონკრეტულ პრობლემას ეხება-მეთქი, ძალიან ცუდად დანახული იქნება ცენტრის ფუნქცია და მნიშვნელობა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას ახალი სიცოცხლე შთაბერეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში აფხაზური ცენტრი არსებობს. ეს წელი გახლდათ უნივერსიტეტის გამოცდის წელი, თუ რამდენად შევძლებდით განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებისთვის ალღო აგვეღო და სწორად გაგვეანალიზებინა. ვგულისხმობ აკრედიტაციის პროცესებს, რომელიც იყო განსხვავებული, ეგრეთ წოდებული კლასტერული აკრედიტაცია. აქაც ყველაფერი წარმატებულად დასრულდა. ყველაზე დიდი მიღწევა კი არის უნივერსიტეტის ახალი წესდება. ძალიან მალე ჩვენ გვექნება ახალი საშტატო განრიგი, რომელშიც აისახება ყოველვე ის, რაზეც სტუდენტები და ექსპერტები გვესაუბრებიან. ახლა მიმდინარეობს საზოგადოების ხვადასხვა ნაწილთან საუბრები ამ საშტატო განრიგზე.

– ახლოვდება ყველაზე ამაღელვებელი და მნიშვნელოვანი პროცესი კურსდამთავრებულთათვის. როგორია წინასაზეიმო სამზადისი, როგორი იქნება წლევანდელი კურსდამთავრებულის ცერემონიალი?

– მოდით, გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ წინა წლებში დიდი წილით ვიყავი ჩართული ამ გეგმებში. წელს დავიწყეთ ამგვარად. სტუდენტური თვითმმართველობა მთავარ ორგანიზატორად გვევლინება ამ ღონისძიების დაგეგმვისას. მათი დამოკიდებულება იყო ამგვარი: მოდით, დავიწყოთ რეგისტრაციის პროცესი და როგორც კი გარკვეული რაოდენობა დაფიქსირდება, მათთან ერთად დავგეგმოთ ღონისძიება. ცოტა არ იყოს, სარისკოა ეს ყოვლივე, თუმცა, საინტერესო. აქვე გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ გეგმა აუცილებლად გვაქვს, თუ სტუდენტობა ვერ შეთანხმდა. პირველი – სიცხეში სათანადოდ ვერ ხერხდება სტუდენტების ბოლომდე ჩართულობა და მთელი შინაარსის ბოლომდე გაგება. ამიტომ წელს კვლავ ღია სივრცეში იგეგმება ღონისძიება, თუმცა, შუადღის შემდეგ, როდესაც ერთმანეთს ემოციებს გავუზიარებთ სიცხისგან შეუწუხებლად. მეორე – აუცილებლად განსხვავებული იქნება გარემო, რომელიც დახვდებათ კურსდამთავრებულებს. მესამე – ჩვენ აუცილებლად მივულოცავთ წარმატებულ კურსდამთავრებულებსაც, მივულოცავთ წითელი დიპლომის მფლობელებს და ასევე, განსხვავებით წინა წლებისგან, გავთქვამ საიდუმლოს – ვაწესებთ ნომინაციებს. ყველა ფაკულტეტს ეყოლება ამა თუ იმ ნომინაციაში წარმოდგენილი სტუდენტები. უმთავრეს როლს თამაშობენ მშობლები. დგება დრო, როდესაც ისინი ისმენენ, როგორი მადლიერია უნივერსიტეტი მათი და რომ მთავარი „დამნაშავე“ ამ დიდ ამბებში თავად არიან. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ემოციის მატარებელია ეს მოვლენა. ამიტომ ჩვენ კვლავ მოვიწვევთ მშობლებს. დანარჩენი სტუდენტური თვითმმართველობის საინტერესო და განსაკუთრებული გეგმებია, ელიან კურსდამთავრებულთა იდეებსაც.

– უნივერსიტეტის ახალი თაობა. კიდევ ერთი სასწავლო წელი გახდება უამრავი ახალგაზრდის წარმატების საწინდარი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიმართეთ აბიტურიენტებს, რომლებიც სულმოუთქმელად ელიან ამ დიდ ოჯახში შემობიჯებას.

– სიამოვნებით. ჩვენს სტუდენტებს, თუკი ინდომებენ, ბევრ საკითხში ბადალი არ ჰყავთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა არ იყოს განსხვავებული ვითარება არის აბიტურიენტებთან. მათ უნივერსიტეტის მისამართით ბევრი კითხვისნიშანი აქვთ. ვფიქრობ, მოვიკოჭლებთ საზოგადოებასთან ურთიერთობაში. ალბათ, ამ წარმატებულ ისტორიებს ნაკლებად ვაცნობთ საზოგადოებას. აბიტურიენტები სვამენ კითხვებს – შეეძლებათ კი ახალციხიდანაც წასვლა გაცვლით პროგრამებზე? ან შეეძლებათ, ახალციხეში მიიღონ ისეთი განათლება, რომელიც კონკურენტული იქნება მთელი ქვეყნის მასშტაბით? მოახერხებენ ყველა ღონისძიებაში ჩართვას? არადა, ზოგჯერ პირიქითაა, ჩვენი სტუდენტები პირველები, ზოგჯერ ერთადერთები არიან და ამ დროს აბიტურიენტებს კითხვის ნიშნები აქვთ. რატომ დავიწყე საუბარი ამ თემით? ყოველივე ზემოთ ხსენებულის მიუხედავად, როდესაც აბიტურიენტი მაინც შეაჩერებს არჩევანს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, გამოუცხადებს ნდობას, ჩემი პასუხისმგებლობა მის მიმართ არის ორმაგი. ყველა აბიტურიენტს ვპირდები, და ეს პირობა ჩემი გამოწვევაა, რომ ის აბარებს არა უნივერსიტეტში, სადაც მოხვდება ჯგუფში, კურსზე, სადაც იქნება სტუდენტობის ნაწილი, არამედ ის აბარებს უნივერსიტეტში, სადაც იქნება ერთი სტუდენტი, ინდივიდუალური და მასზე იზრუნებენ. ამის შემდეგ იქნება ჯგუფი, კურსი, სტუდენტობა და ასე შემდეგ. მათ ვპირდები, რომ მათი ძალისხმევა არ დარჩება სათანადო დადებითი რეაგირების გარეშე. ვერ გეტყვით, რომ გამონაკლისის გარეშე ყველა ნაბიჯზე შევძლებთ რეაგირებას, მაგრამ მონდომება, სურვილი, ძალისხმევა და შრომა, რომელსაც ისინი მიუძღვნიან განათლებას, აუცილებლად დაფასდება უნივერსიტეტში, რადგან ჩვენი უნივერსიტეტის წარმატებას სწორედ ის სტუდენტები ქმნიან, რომელთაც ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები აქვთ.

წარმატებას ვუსურვებ ყველა აბიტურიენტს ამ საკმაოდ რთულ პერიოდში. თუ არ დაზოგავენ საკუთარ შესაძლებლობებს და სურვილი მძაფრი იქნება, ისინი განწირულები არიან წარმატებისთვის და მე ამ თაობის ძალიან მჯერა, მე მათ ვეღოდები! აბიტურიენტთა ყველა ნაკადმა თავისი სიტყვა თქვა. როდესაც მიდიან, ტოვებენ განსხვავებულ კვალს, რომელიც არ მეორდება. ველოდებით თაობას, რომელიც გააგრძელებს უნივერსიტეტის ისტორიას. ისინი 2024-2025 სასწავლო წელს ჩაირიცხებიან ჩვენთან. 2025 წელს 35 წლის იუბილეა უნივერსიტეტის ანუ საიუბილეო მიღებაა ჩვენი სტუდენტების. მე დარწმუნებული ვარ, რომ მოდის თაობა, რომელიც თავის წესებს შემოგვთავაზებს, თავის ისტორიას დაწერს, თავის პროზასა და პოეზიას შეთხზავს. ჩვენ გვექნება საშუალება ვთქვათ, რომ გვყავს საოცრად კარგი ახალი თაობა!

– და ბოლოს, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი არის...

– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის იდეა, რომელიც არ მარცხდება, რომელსაც არ აქვს დრო, ის მარადიულია. მას არ აქვს სივრცე იმიტომ, რომ სამცხე-ჯავახეთიდან შეიძლება საუკუნეების წინანდელ იდეას გადასწვდეს და თაობათა სამომავლო ოცნებებს მისწვდეს. აი, ამდენად გაშლილია სივრცეში და არა აქვს დასასრული.

– უღრმესი მადლობა საინტერესო პასუხებისთვის. წარმატებები უნივერსიტეტსა და სტუდენტობას.

ინტერვიუერი რიმა სუდაძე
ქართული ფილოლოგიის
სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტი

„ეს არის, რაც არის“

პირველი გვერდიდან

ავტორს ქართული ენის გრამატიკის საუკეთესოდ მცოდნე და დიდი მასწავლებელი უწოდა, რომელთან ურთიერთობაც, ადამიანის შეცნობის რთულ გზაზე, კარგ სკოლას გაატარებს პიროვნებას. დასძინა, რომ საზოგადოება ხვდება ადამიანს, ვისგანაც საქმისადმი, პროფესიისადმი, ადამიანებისადმი სიყვარულის სწავლაა შესაძლებელი.

ყველას – სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, ადმინისტრაციას, პროფესორ-მასწავლებლებს თავისი ქალბატონი ნათელა ჰყავს. ეპითეტები, რომლითაც სტუდენტები გამოხატავენ მის მიმართ სათქმელს, შესაშურია. ბევრ კოლეგას უთქვამს – მან ჩემი ცხოვრება შეცვალაო. ბევრჯერ მომისმენია სიტყვები – დედასავით მზრუნველიაო. ყველა ვერ იმსახურებს ასეთ სიყვარულს. ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ მისი კონსპექტები, ჩანიშნული გამოცდილების ჩანაწერები დღესაც სახელმძღვანელოა ჩემთვის. მეგონა, რომ მან ყველაფერი გვასწავლა, მაგრამ დღესაც, ბევრ საკითხზე, ის ჩვენი შეუცვლელი მრჩეველია. – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ და განაგრძო საუბარი იმის შესახებ, რომ წიგნში თითოეულ საკითხთან დაკავშირებით იბადება კონცეფცია – ავტორი სვამს კითხვას და შემდეგ განმარტავს, სახავს გზას საკითხის გადასაჭრელად, მკითხველი ქართული ენის გრამატიკის სამყაროში შეჰყავს. საინტერესოა მისი შეხედულებები განათლების სფეროზე. ამ თემების განხილვისას, მკითხველი გებულობს, საიდან მოვდივართ, საით მივემართებით, როგორი უნდა იყოს განათლება, რა საკითხებია აქტუალური განათლების მიმართულებით. **არაა საკითხი, რასაც ავტორი არ შეეხო ამ წიგნში და არსებული პრობლემები არა მარტო წარმოაჩინა, არამედ ეცადა მათი გადაჭრის გზებზე საუბარსაც. კი აწერია წიგნს სათაურად – „რაც არის, ეს არის“, მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან სტუდენტთა კონფერენციაზე მან, როგორც თემის ხელმძღვანელმა და მსმენელმა, ხუთი ახალი სერიოზული მოსაზრება წამოსწია და თითოეული სრულიად თანამედროვე კონცეფციაა; და რომ ქალბატონ ნათელას კვლავ ძალიან ბევრი რამ ექნება დასაწერი...**

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **გულიკო ბექაურმა** აღნიშნა, რომ წიგნში ასახულია ის საკითხები, რომლის გარეშეც ქვეყნის, საზოგადოების, ადამიანის განვითარება წარმოუდგენელია. ეს საკითხებია – პიროვნების ზნეობრივი, გონებრივი განვითარება, განათლების მნიშვნელობის გონივრული გააზრება, ოჯახისა და მასწავლებლის როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში. ქალბატონმა გულიკომ თანამედროვე საზოგადოებისათვის წიგნი შეაფასა, როგორც მნიშვნელოვანი და ღირებული. **სათაურის მიღმა ავტორის ინტერესები, მისწრაფებები, ავტორის დამოკიდებულებები ჩანს. ისინი ძალიან ბევრია და კვლავ ბევრი რამ არის სათქმელი. ჩემთვის ეს წიგნი და მასში მოცემული შეფასებები არის პიროვნების თავისუფლება. წიგნში ქალბატონმა ნათელამ შეძლო რთული საკითხის გადაწყვეტა. განსაკუთრებულად მომეწონა ქალთა სწავლა-აღზრდის საკითხი. ეს ის საკითხებია, რაზეც დღესაც ვსაუბრობთ. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ძალიან ცვალებად სამყაროში ვცხოვრობთ, მაგრამ წიგნში განხილული პიროვნული და ზნეობრივი კატეგორიები მაინც მნიშვნელოვანი რჩება.**

ქალბატონი გულიკოს შეფასებით, ქალბატონი ნათელა ინდივიდუალური და უნიკალურია. ის არის ადამიანი, რომელიც ჰგავს საკუთარ პიროვნებას: **იგი გახლავთ უაღრესად ემპათიური პიროვნება, რომელიც ორიენტირებულია იმაზე, რომ თავისი როლი შეასრულოს ცხოვრებაში. ის არის საუკეთესო ლექტორი, დედა, მეუღლე, მეზობელი, ნათესავი, მეგობარი... ხშირად სტუდენტებს უთქვამთ – ქალბატონი ნათელა ჩვენი დედააო. მისი ორგანიზებულობა, მოვალეობის ასე ღირსეულად შესრულება, სამაგალითოა. მინდა გისურვოთ წარმატებები, ქალბატონო ნათელა.**

წიგნის შესახებ ისაუბრა სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ლალი ბერიძემ: გარეკანის ფოტოები, რომლის ავტორი ქალბატონი ნათელას ვაჟი ვასილ ბერიძეა, ისეთი ხალისის მომგვრელია, როგორც შეშემოდგომებული და დაბრძენებული ქალბატონი ნათელაა, გარშემომყოფთათვის თავისი ფერადოვნებითა და გამორჩეული სტილით რომ იძლევა სტიმულს და დაბერების უფლებას არ გვაძლევს.**

ქალბატონმა ლალიმ აღნიშნა, რომ წიგნი გამოცემულია 2023 წელს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რედაქტორი გახლავთ პროფესორი **მაკა ბერიძე-კაჭკაჭიშვილი;** შემდგენელ-რედაქტორი – საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი **მარინა ზედელაშვილი;** წიგნი გამოიცა უნივერსიტეტის გამომცემლობაში **ლარისა გურგენიძისა** და **ლია გზირიშვილის** მიერ. წიგნი 465 გვერდიანია, იგი მოიცავს, როგორც ნათელა ნაცვლიშვილი – ბერიძის სტატიებს, ინტერვიუებს, ასევე, პროფესორების, მეგობრებისა და სტუდენტთა შეფასებებს. **წიგნის შინაარსს შეიძლება დაემატოს უნივერსიტეტისათვის, სამცხე-ჯავახეთისათვის, მეცნიერებისათვის მეუღლის– მერაბ ბერიძის მიერ გაწეული შრომა და ნაღვაწი. სწორედ ქალბატონი**

ნათელასავით ერთგული დასაყრდენი და მხარდამჭერი მეუღლის დამსახურებაა ბატონი მერაბისადმი ხელშეწყობა საქვეყნო საქმეების კეთებაში, რისთვისაც ქალბატონმა ნათელამ თავისი პროფესიონალური და პირადი ინტერესები უკან გადასწია. ერთმა გოგონამ უწოდა „თბილი ქარიშხალი ცივ, ყინულოვან უდაბნოში“. ქალბატონმა ნათელამ უნდა გააგრძელოს „თბილი ქროლვა“ და გახარება კოლეგების, სტუდენტების, შვილებისა და შვილიშვილების, ასე რომ დაამშვენეს წიგნის პრეზენტაციის შეხვედრა.

წიგნის შემდგენელ-რედაქტორმა, გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ რედაქტორმა **მარინა ზედელაშვილმა** აღნიშნა, რომ წიგნზე მუშაობის პროცესი იყო სასიამოვნო. შეიქმნა წიგნი მრავალფეროვანი, მნიშვნელოვანი და ღირსეული თემატიკით, ისეთივე ფერადოვანი, როგორიც ქალბატონი ნათელას სულიერებაა. აღნიშნა, რომ ქალბატონი ნათელა უიშვიათესი რესპოდენტია: **რამდენიმე ინტერვიუ ჩავწერე მასთან ამ ხნის მანძილზე. ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, სასიამოვნოა არა მხოლოდ ის პროცესი, როდესაც ვიწერ და ვუსმენ, არამედ ის პროცესიც, როდესაც ვშორდები მას, ვრჩები ჩანაწერთან და ისევ მასთან ვგრძნობ თავს. უამრავი რამ მახსოვს ქალბატონი ნათელას ინტერვიუებიდან, უამრავი სასიკეთო რამ ჩამრჩა... მათგან ერთ-ერთი განსაკუთრებული ფრაზა – „როცა სახლში მივდივარ, ვაღებ კარებს და ვიძახი ხმამაღლა – „დედა სახლშია!“. ამით ბევრი რამ თქვა ქალბატონმა ნათელამ... ქალბატონო ნათელა, მადლობა თქვენი არსებობისათვის; ვამაყობ თქვენი მეგობრობით.**

პროფესორმა **ნესტან სულავამ** გაიხსენა სტუდენტობის პერიოდი. ქალბატონი ნათელა, მისი მეუღლე – მერაბ ბერიძე და ქალბატონი ნესტანი თანაკურსელები იყვნენ: **ის იყო ლამაზი, მშვენიერი, ტანადი, არაჩვეულებრივი გარეგნობის გოგონა. მთელი კურსი იყო ქალბატონი ნათელას და ბატონი მერაბის ლამაზი სიყვარულის მოწმე. თუკი ქალბატონ ნათელაზე, როგორც ბურჯზე, ვისაუბრებთ, მე ის ქართლის დედის პარადიგმად წარმომიდგება. აი, ამგვარად ვხატავ მის დამსახურებას ოჯახსა და საქართველოს წინაშე. მან სამი ქართველი ვაჟკაცი გაზარდა, იზრდებიან შვილიშვილები. მან შექმნა ნიმუში, როგორი უნდა იყოს ქართული ოჯახი.**

ქალბატონმა ნესტანმა ისაუბრა წიგნის შესახებ. აღნიშნა, რომ კონცეპტუალური თვალსაზრისით წიგნი ძალიან საინტერესოა. ის იწყება ჟურნალ “ცისკარზე” მსჯელობით და ნაშრომით – **„ჟურნალი ცისკარი” და „განათლების პრობლემები XIX ს-ის II ნახევარში”.** დასძინა, რომ ის საკითხები, რაც XIX საუკუნის II ნახევარში იდგა, ახლაც აქტუალურია. ამიტომ, წიგნი ახალგაზრდებმა აუცილებლად უნდა წაიკითხონ. პროფესორმა ხაზი გაუსვა წიგნში ქალთა საკითხების გაშუქების ამსახველ მასლებს: **უნდა გამოვყო ქალბატონ მარინა ზედელაშვილის მიერ ჩაწერილი ინტერვიუ ნათელა ბერიძესთან. ძალიან სავსე ინტერვიუა, რომელიც არა მარტო ნათელასა და მერაბის ოჯახის, ან ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიისა და დაარსების შესახებ, არამედ ზოგადად განათლების მნიშვნელობის შესახებ გვიქმნის წარმოდგენებს და გვესაუბრება საკითხებზე, რომლებიც ესოდენ აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის. ეს არის გლობალური საკითხები, რომლებიც ავტორმა წარმოადგინა და დასვა. მარტო ამ ინტერვიუსათვის იმსახურებდა ნათელა ჯილდოს. ეს ჯილდო საყოველთაო სიყვარულია, მე ასე მგონია.**

ამაღელვებელი გახლდათ სტუდენტთა მისალოცი გამოსვლებიც.

„მიჩვეული ვარ ოჯახურ გარემოს, იქ სადაც უყვართ, სადაც აფასებენ და სულ ვამბობ, რომ სჯუნი არის ჩემი ოჯახი და ქალბატონი ნათელა არის ჩემი დედიკო ამ ოჯახში. უნივერსიტეტს რომ დავამთავრებ და რომ მეტყვიან – შენს გამზრდელს ვენაცვალეო, ქალბატონი ნათელა გამახსენდება. რომ გავა დრო და მეტყვიან – რა კარგი ადამიანი ხარო, ქალბატონი ნათელა გამახსენდება. მე უსასრულოდ შემიძლია ამ ქალბატონზე ვისაუბრო... უბრალოდ, ძალიან, ძალიან უყვარს ქალბატონი ნათელა მის კუდრაჭა რიმულიკოს“. – ქართული ფილოლოგიის მესამე კურსის სტუდენტი **რიმა სუდაძე.**

„წიგნის დასასრულში წარმოდგენილია „გამოხმაურება”, სადაც დაბეჭდილია სტუდენტების და არა მხოლოდ სტუდენტების დამოკიდებულება და სიყვარული ქალბატონი ნათელას მიმართ. მათ შორისაა ჩემი ლექსი – “ქართული ენის სადარაჯოზე”. ეს არის პირველი წიგნი, რომელშიც დაიბეჭდა ჩემი შემოქმედება. ქალბატონი ნათელა, პირველი კურსიდან მოყოლებული დგას ჩვენ გვერდით და ყოველთვის გვიმაგრებს ზურგს. ის ჩვენი დიდი დამრიგებელია. ვულოცავ მას, დიდი სიყვარულით, წიგნის პრეზენტაციას“. – ქართული ფილოლოგიის მეორე კურსის სტუდენტი **იური ბალახაძე.**

„ეს არის, რაც არის“ ჩემთვის ჩვეულებრივი წიგნი არ არის. ეს წიგნია, რომელშიც ჩემი პატარა ნაწილიცაა შესული. მახსოვს, როდესაც ქალბატონმა ნათელამ ლექციაზე მითხრა – წიგნი დაიბეჭდაო და მაჩუქა, როგორი სიხარული ვიგრძენი, როდესაც გადავშალე. მითხრა, პირველი ხარ ჩემი სტუდენტებიდან, ვისაც ეს წიგნი ვაჩუქეო. ეს იცით, რამდენს ნიშნავდა ჩემთვის? მთელი ცხოვრება რომ გაგყვება სასიხარულოდ, აი, იმდენს...” – ქართული ფილოლოგიის მეორე კურსის სტუდენტი **სალომე ხმალაძე.**

„ყოველთვის მახსოვს ქალბატონი ნათელას სიტყვები: „ცოდნას, რომელსაც მე გაძლევთ, ვერცერთ წიგნში ვერ ნახავთ“. მინდა გითხრათ, რომ მართლაც დავრწმუნდი ამაში. პირველ კურსზე როცა ვსწავლობდით მორფოლოგიას, სემინარების მომზადებისას ვიყენებდი იმ რვეულს, რომელშიც მისი ნაკარნახევი ლექცია მქონდა დაწერილი. დღეს აქ რომ ვდგავარ, ასე რომ ვსაუბრობ ქართულად, ქალბატონი ნათელას დამსახურებაა ეს. მადლობა ამისთვის, ქალბატონო ნათელა“. – დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი **ანა მიქაელიანი.**

„თავდაპირველად ამ უნივერსიტეტში ვსწავლობდი მოსამზადებელ კურსზე. რა თქმა უნდა, ჩემი ლექტორი გახლდათ ნათელა ბერიძე. რაც მე მინდოდა მეპოვნა სკოლაში, მასწავლებლებში, ის მე ვიპოვნე ქალბატონ ნათელაში, ურთიერთობისა და ფსიქოლოგიის მხრივ. ამისთვის დიდი მადლობა მას.“ – ბიზნესის ადმინისტრირების მეორე კურსის სტუდენტი **ანა გევორქიანი.**

ქალბატონ ნათელას წიგნის გამოცემა მიულოცეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **როინ თათეშვილმა,** ასოცირებულმა პროფესორებმა – **ნატო ყრუაშვილმა, ვახტანგ ინაურმა, ნათელა მელიქიძემ,** სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის დირექტორმა **ციური ლაფაჩმა,** გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა **ავთანდილ ბერიძემ.**

რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, ქალბატონი ნათელას მეუღლემ, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** მადლობა მოახსენა ყველას, ვინც წიგნის შექმნაში მიიღო მონაწილეობა. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისთვის, სტუდენტებისთვის, პროფესორ-მასწავლებლებისთვის, მათი შთამომავლობისთვის წიგნი მნიშვნელოვანი და საინტერესოა: **რაღაც გაკეთებულა, რაღაც გვიშრომია, რომ დიდედას თურმე მარტო კარგი ღვეზელების ცხობა კი არ შეძლებია, ბევრი რამე სხვაც**

→

ხელეწიფება. ეს არ არის ადვილი. მადლობა ყველას, თითოეულ თქვენგანს, ქალბატონო მაკა, ქალბატონებო, ბატონებო, რომ მობრძანდით და ძალიან კარგი დღე აჩუქეთ ნათელას და მეც მასთან ერთად.

ბატონმა მერაბმა გაიხსენა სამცხე-ჯავახეთში უნივერსიტეტის შექმნის პროცესი და აღნიშნა, რომ იმ პერიოდში თბილისიდან მასთან ერთად ქალბატონი ნათელაც წამოვიდა და რომ არა მეუღლის გვერდშიდგომა, ამ საქმეს მარტო ვერ გააკეთებდა: **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა განაყოფები, ჩვენ გარდა, ისტორიის მიღმა დარჩნენ, ჩვენ კი ჩამოვყალიბდით, როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს მარტო ვერ გაკეთდებოდა. იდეის მსახურებაა ყველაზე დიდი საქმე. ამ იდეის მსახურებაში ხშირად მაგალითს ნათელასგან ვიღებდი. 50 წელზე მეტია, რაც ერთად ვართ. მეც მინდა მადლობა გადავუხადო მას. ისე უცებ შემოგვაღამდა, რომ ვერაფერი გავიგეთ. ჯანმრთელობა მინდა ვუსურვო და ჩვენი წვრილშვილის კარგად ყოფნა. ამ წიგნს კიდევ უნდა მოჰყვეს სხვა. უნდა გაკეთდეს ის, რაც გასაკეთებელია... ნათელა, აქედან სადღა უნდა წავიდეთ – ეს არის, რაც არის! და რაც არის, კარგია! ეს უნდა დავინახოთ. მადლობა ყველაფრისათვის.**

მისალოცი გამოსვლების შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას თავად წიგნის ავტორმა მიმართა: **ვნერვიულობ, დაბნეული ვარ, სხვა განზომილებაში ვიმყოფები. ეს განცდა არის ჩემი ბედნიერების განცდა და მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ ყველას.**

ქალბატონმა ნათელამ გაიხსენა მისი დიდი პედაგოგები. აღნიშნა, რომ მათგან ბევრ მაგალითს იღებდა. კავკასიოლოგიის კათედრაზე მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, ამბობდნენ, მარტივად სწავლობდა კავკასიურ ენებს, გრამატიკას, თუმცა, მაშინვე გაყო ცხოვრება ორად – ოჯახად და მეცნიერებად. ამ ორ ფრონტზე, რომელშია უკეთესი, არ იცის. ამიტომ დაარქვა წიგნს – „ეს არის, რაც არის.“ **ბევრს ვკითხულობ და ჩემს სფეროში ბევრი რამ ვიცი, ლიტერატურაშიც. მაგრამ პირველი ჩემი ოჯახი იყო და არის ჩემი ოჯახი! ხანდახან ვფიქრობ, რატომ ხდება ისე, რომ ყველას დედობა მინდა გავუწიო. ალბათ, ამ ორ ფრონტზე ყოფნის გამო, უკმარისობის გრძნობა მქონდა ჩემს შვილებთან. ამიტომ ვარ ასეთი სტუდენტებთან.**

ქალბატონმა ნათელამ აღნიშნა, რომ წიგნის გამოცემის სურვილი ჟურნალისტ მარინა ზედელაშვილის მიერ მასთან ჩანერილმა ინტერვიუმ გაუჩინა. მადლობა მოახსენა ყველას, ვინც წიგნის შექმნასა და გამოცემაში მიიღო მონაწილეობა: **მერაბმა მომიტანა წიგნისთვის აკინძული მასალა – აი, შენი წიგნი და რა დავარქვათო. მე რა ვიცი, რაც გინდა დაარქვი, ეგ არის, რაც არის-მეთქი და ასეც დაერქვა. აქ ჩემი გულის ნაწურია ჩადებული. მადლობა ყველას ამ ლამაზი დღისთვის.**

წიგნის პრეზენტაციის ღონისძიება უნივერსიტეტის რექტორმა შემდეგი მიმართვით დაასრულა: **უნივერსიტეტის ეზოში გრიგოლ ხანძთელის ძეგლი დგას. აქ შემოაბიჯებ თუ არა, გახსენდება, რომ „ქართულად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, სადაც ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის.“ უნივერსიტეტი ტაძარია, სადაც ყოველდღე „ჟამი შეიწირვის“. იმისთვის, რომ „ქართულითა ენითა“ ჟამი შეიწიროს, ერთ-ერთი მთავარი ჟამთაღმწერელი ქალბატონი ნათელა გახლავთ და ძალიან დიდი მადლობა მას ამისთვის.**

ლიკა ზაზაშვილი

● **22 მაისს,** უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციამ დაიწყო მუშაობა. კონფერენცია ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **გულიკო ბექაურმა** გახსნა. **სტუდენტთა კონფერენცია არის მნიშვნელოვანი, რადგან არის წინგადადგმული ნაბიჯი მათი სამეცნიერო უნარების განვითარებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართულობის თვალსაზრისით. მინდა, მადლობა ვუთხრა სტუდენტებს და მათი თემების ხელმძღვანელებს ასეთი აქტიური მონაწილეობისათვის.** – აღნიშნა ქალბატონმა გულიკომ.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** კონფერენციაში მონაწილეობა მიულოცა სტუდენტებს: **რას ემსახურება ეს კონფერენცია? პირველ რიგში – თვითშეფასებას. როდესაც „რექტორის საათზე“ შევხვდებით, მნიშვნელოვანი იქნება, გამიზიაროთ შეხედულებები სამეცნიერო კონფერენციასთან დაკავშირებით, როგორ შეაფასებთ თქვენს წარდგენას საზოგადოების წინაშე. მინდა, ეს კონფერენცია იყოს ერთმანეთის უკეთ გაცნობის, პროფესორთა წინაშე პასუხისმგებლობის კიდევ უფრო ამაღლების, სამეცნიერო კვლევების უნარების განვითარების ხელშეწყობის, სხვადასხვა ტრანსფერული უნარების განვითარების მექანიზმი.**

სამეცნიერო სამსახურის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** აღნიშნა, რომ წელს, ფაკულტეტზე, კონფერენციაში მონაწილე სტუდენტთა რიცხვი გაზრდილია და ეს მისასალმებელია: **როდესაც ფაკულტეტზე 67 ავტორი ღებულობს კონფერენციაში მონაწილეობას იმ დარგებში, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საფუძველია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაქვს საინტერესო იდეა – რამდენიმე გამორჩეულ მოხსენებას კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ და გავაგზავნოთ ეს სტუდენტები სხვა კონფერენციებზე. ეს იქნება საინტერესო და მნიშვნელოვანი. მინდა ყველას გისურვოთ წარმატება.**

● ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტთა კონფერნცია 28-29 მაისს გაიმართა. პავლე ზაზაძის საკონფერენციო დარბაზში შეკრებილ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **ცისკარა ზარანდია** მიესალმა: **მადლობა სტუდენტებს, რომ გამოთქვეს კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი, მადლობა მათი თემების ხელმძღვანელებს. გუშინ ახალქალაქში უკვე მოვისმინეთ სტუდენტების 10 მოხსენება; მათ ძალიან მაღალ დონეზე წარმოადგინეს თემები. იყო მცირე მითითებები. იმედი მაქვს, დღევანდელი კონფერენცია საინტერსო და ნაყოფიერი იქნება.**

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი **როინ თათეშვილი: დღევანდელი დღე მოსალოცია, რადგან უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია – ეს არის სწავლის განვლილი პერიოდის შეჯამება და აქ მონაწილეობა მნიშვნელოვანია. სასწავლო კომპონენტთან ერთად, კვლევა აუცილებელია, რათა სრულყოფილად მოხდეს საგნის შესწავლა. აქედან გამომდინარე, მოხარული ვარ, რომ ჩაერთეთ კონფერენციაში.**

● **21 მაისს,** კონფერენცია გაიმართა ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. კონფერენცია ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **ლევან მაკარაძემ** გახსნა. მან აღნიშნა ვეტერინარიის მიმართულების სტუდენტის **ლევან ჯალაღონიას** წარმატება, რომლის თემამაც წლის საუკეთესო ნაშრომის სტატუსი მიიღო. **გილოცავთ კონფერენციის გახსნას. მომავალში თქვენ იქნებით წარმატებული სპეციალისტები და ყოველთვის გაგახსენდებათ ის დრო, როდესაც წარსდექით აუდიტორიის წინაშე საკონფერენციო თემით. თქვენ ხართ ფაკულტეტის წარმატებული სტუდენტები და თქვენით ჩვენ ვამაყობთ.** – აღნიშნა ბატონმა ლევანმა.

კონფერენციის მონაწილეთ მიესალმნენ პროფესორი **რევაზ ჭიღლაძე** და ასოცირებული პროფესორი **ლელა წითაშვილი.** სექციური მუშაობის დაწყებამდე, მოსმენილ იქნა **ლევან ჯალაღონიას** პრეზენტაცია სიმულატორებთან დაკავშირებით.

● სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია იურიდიულ ფაკულეტზე 22 მაისს გაიხსნა. დამსწრე აუდიტორიას მიესალმა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი **დავით ხობელია: გილოცავთ კონფერენციის გახსნას. მისასალმებელია ის გარემოება, რომ ბევრი სტუდენტი იღებს მონაწილეობას. იმედს გამოვთქვამ, რომ საინტერესო თემები იქნება წარმოდგენილი. გისურვებთ წარმატებებს.**

გახსნითი ღონისძიებების შემდეგ სტუდენტები სექციებში გადანაწილდნენ და მოხსენებები წარადგინეს. როგორც შემაჯამებელ სხდომაზე სექციების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, მოხსენებები შეესაბამებოდა საკონფერენციო თემებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, იყო მაღალ დონეზე წარმოდგენილი, თუმცა, იყო შენიშვნები და მითითებებიც. შემაჯამებელი ნაწილის შემდეგ სტუდენტებს გადაეცათ სერთიფიკატები.

ჩვენი კორესპონდენტი

ადამიანებს ვაცილებთ, მოგონებებს ჯი ვიტოვებთ

მწამს, რომ თითოეულ ადამიანს ცხოვრებაში საკუთარი მისია აქვს, როგორც ჰქონდა ჩვენს ლექტორს, ბატონ **იუსუფ ქუმმუზს.** იგი 5 წლის განმავლობაში დაუღალავად შრომობდა და მაქსიმუმს აკეთებდა, რაც შეიძლება კარგად ესწავლათ სტუდენტებს თურქული ენა. მოგეხსენებათ, ენის შესასწავლად გარემოს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ იგი ცდილობდა, შეექმნა ის გარემო, რაც დაგვეხმარებოდა, უკეთესად შეგვეცნო თურქული ენა და კულტურა.

რა თქმა უნდა, რასაც აქვს დასაწყისი, აქვს თავისი ლოგიკური დასასრულიც, ხანდახან ძალიან სევდიანი და გულდამწყვეტი, მაგრამ აქვს. 29 მაისს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში რამდენიმე ღონისძიებამ ერთდროულად მოიყარა თავი. ბევრი ემოცია იყო, ძალიან ბევრი. ლექტორ-პროფესორების მიერ ორგანიზებული პოეზიის საღამო, რომელზეც გვესტუმრნენ საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენელი, განათლების მრჩეველი ბატონი **ერჯან გულსუიუ** და საქართველოს უნივერსიტეტის ლექტორი ბატონი **სალიჰ უჩაქი.** რა თქმა უნდა, ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი, ქალბატონი **მაკა ბერიძე** და პროფესორი, ქალბატონი **მაკა შონია,** როგორც ყოველთვის, იყვნენ სტუდენტების გვერდით. პოეზიის ჰარმონიული ენერგიითა და სასიამოვნო ემოციებით ავსებულ დარბაზში წამიერი დუმილი ჩამოვარდა, ლექსები დამთავრდა, მაგრამ არა ჩვენი სათქმელი...

პოეზიის საღამოს სიურპრიზად მოჰყვა ჩვენს მიერ ორგანიზებული გაცილების საღამო ბატონი იუსუფისთვის, სადაც თითეულმა ჩვენგანმა დამსწრეთ გავუზიარეთ ის ტკბილი და ძვირფასი მოგონებები, რომლებიც წლების განმავლობაში დაგვიგროვდა.

ბევრჯერ გაჟღერდა წინადადება – „დამშვიდობება ყოველთვის ძალიან რთულია“ და ახლა, როდესაც ვწერ ამ სტატიას, ვიაზრებ, მართლა რაოდენ რთული ყოფილა დამშვიდობება... თითოეულ ჩვენგანს გვჯერა, რომ აუცილებლად შევხდებით ერთმანეთს ისევ. ჩვენ არ ვიყავით, უბრალოდ, ლექტორი და სტუდენტი, წლებმა თავისი საქმე გააკეთეს და ისეთი მეგობრები გავხდით, რომლებიც მზად ვართ, დედამიწის ნებისმიერი კუთხიდან, მხარი დავუჭიროთ და დავეხმაროთ ერთმანეთს...

აცილებ ადამიანს, მაგრამ მისგან რაღაც რჩება, რჩება ის, რაც ყოველთვის გვახსენებს ერთად გატარებულ ძვირფას წუთებს.

ვარსენიკ ვართანიანი

აფხაზთა ხმა ახალციხეში

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზურმა ცენტრმა, 30 ივლისს, გამართა ღონისძიება – **„მოვისმინოთ აფხაზთა ხმა ახალციხეში“.** აღნიშნული ღონისძიებისთვის უნივერსიტეტს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მაცხოვრებელი აფხაზები ესტუმრნენ. ღონისძიება პირველი სასწავლო კორპუსის აფხაზურ ცენტრში დაიწყო. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** მადლობა მოახსენა სტუმრებს მობრძანებისთვის და მათ ცენტრის გახსნის ისტორიასა და ცენტრის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ მოუთხრო. შემდეგ სტუმრებმა და მასპინძლებმა მეორე სასწავლო კორპუსში გადაინაცვლეს. ღონისძიების მეორე ნაწილი უნივერსიტეტის რექტორმა გახსნა. **დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიული დღეა იმიტომ, რომ უნივერსიტეტში სტუმრად გვყავს აფხაზები. ასევე, შევიკრიბეთ იმისთვის, რომ მოვისმინოთ აფხაზთა ხმა. დღეს ამ დარბაზში მყოფი თითოეული მონაწილე გახდება მოწმე გულწრფელი დიალოგის.** – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ.

სტუმრებს აფხაზაური ცენტრის – **„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“,** შესახებ პრეზენტაცია ცენტრის წევრმა **რიმა სუდაძემ** წარუდგინა. რიმამ ისაუბრა ცენტრის დაარსების, მათი სურვილებისა და მიზნების შესახებ და გამოსვლა ასე დაასრულა: **ჩვენი ცენტრის სახელით გავაჟღერებ – ძვირფასო აფხაზო მეგობრებო, ჩვენ თქვენ გვახსოვხართ, ჩვენ თქვენ გვჭირდებით, გვიყვარხართ, გვენატრებით. მომავალ შეხვედრამდე!**

უნივერსიტეტის რექტორმა ღონისძიების ფორმატი გააცნო დამსწრე საზოგადოებას. შეხვედრა სამ პანელად წარიმართა. პირველ პანელში მონაწილეობა მიიღეს აფხაზმა სტუმრებმა – **ადა ქუთელიამ, ნატალია ლაზბამ, სევერიან აკვაძბამ, ნერიმან აშლარბამ.** რა გვჭირდება საზოგადოებას იმისთვის, რომ ქართველთა და აფხაზთა ერთ საზოგადოებად ჩამოყალიბებას შევუწყოთ ხელი? – რექტორის მიერ დასმულ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შეეცადნენ პირველ პანელში მონაწილეები.

ქალბატონმა **ადა ქუთელიამ** მადლობა მოახსენა უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ მაკა ბერიძეს, ა(ა) იპ ქართველთა და აფხაზთა ერთობის საზოგადოების „ერთობა ხვალისთვის“ თავმჯდომარეს გიორგი შერვაშიძეს და თავმჯდომარის მოადგილეს შორენა ახალაიას მოწვევისთვის და მსგავსი ღონისძიების მოწყობისთვის. ქალბატონმა ადამ ისაუბრა 70 წლის უკან მის ურთიერთობაზე ახალციხესთან, დამსწრე საზოგადოებას კი შემდეგი მოახსენა: მე ვარ აფხაზი აფხაზეთიდან. ჩემთვის საქართველო ერთია. არ არსებობს საქართველო ცალკე, აფხაზეთი ცალკე. ბათუმში, სოფელ ფერიაში, კომპაქტურად ცხოვრობენ აფხაზები. იქ ხშირად ტარდება ღია გაკვეთილები. ერთ-ერთი გაკვეთილის თემა იყო, თუ რა იცოდნენ აფხაზეთზე მოსწავლეებმა. ერთმა მეათეკლასელმა დიდი თაიგული მოიტანა, სხვადასხვა ყვავილებით შეკრული. მითხრა, ქალბატონო ადა, მე აფხაზეთზე ლაპარაკი მიჭირს და აფხაზეთს ვხედავ ისეთს, როგორიც ეს თაიგულიაო. აი, ასეთი ლამაზია აფხაზეთი. – აღნიშნა ქალბატონმა ადამ და გამოსვლა ახალგაზრდებისადმი აფხაზურ ენაზე მიმართვით დაასრულა.

ქალბატონმა **ნატალია ლაზბამ** მადლობა მოახსენა უნივერსიტეტს, სტუდენტებს გულთბილი შეხვედრისთვის: ვამბობთ, რომ გვიყვარს აფხაზები. ჩნდება კითხვა, რატომ გვიყვარს? ის აფხაზი ფიქრობს – არ მიცნობს, არ იცის, სად ვცხოვრობ, რა წესი მაქვს, რა ტრადიცია. ჩვენ ვსაუბრობთ მხოლოდ ჩვენი გადასახედიდან 30 წელია. რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი. ჩვენ ის ხალხი გვჭირდება, ის გულები გვჭირდება. ფრაზების დონეზე შევცვალეთ საუბარი. მეორე, ეს არის ერთიანი სივრცეების შექმნა, რომლითაც დაინტერესებული იქნება ორივე მხარე. ეს რთულია, მაგრამ უნდა მოვახერხოთ.

ბატონმა **სევერიან აკვაძბამ** მისასალმებელი სიტყვა ყველა იმ პირისადმი მადლობით დაიწყო, რომელთა ძალისხმევითაც შედგა აღნიშნული ღონისძიება, ისაუბრა მათი გვარისა და მათი ბათუმში დასახლების ისტორიის შესახებ. აღნიშნა, რომ ის ქართველთა გვერდით გაიზარდა ისე, როგორც ერთმანეთის დები და ძმები: სატრაბახოც კი მაქვს, რომ გადახრილი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. მინდა მომავალ თაობას მოვუწოდო, რომ არ იფიქრონ წარსულ საქმეებზე, ის რაც იყო, უნდა დავივიწყოთ, არ ვეძიოთ, სად არის დანაშაული, ვერ გავარკვევთ და დავრჩებით უფრო დაშორებული. ახალგაზრდებო, გისურვებთ წარმატებებს.

ნერიმან აშლარბამ შემდეგი განაცხადა: მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში მიმდინარეობს აფხაზური ენის შესწავლა ახალგაზრდებისთვის. წარსულის გამო ვისჯებით ის ახალგაზრდები, ვისაც გვინდა ერთობა, სიყვარული, მეგობრობა. დიდი სურვილი მაქვს, ჩვენმა სახელმწიფომ გააკეთოს ისე, რომ დავიწყოთ ეკონომიკური, კულტურული, სოციალური ნაბიჯებით ურთიერთობა. წინ რთული გზაა.

მეორე პანელში მონაწილეობა მიიღეს აფხაზმა ქალბატონებმა – **ნუნუ ასაძბამ, ნონა ჩამბამ, მადინა ქუთელიამ** და **თამილა აიკუცბამ.** რექტორის მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რას ელოდებიან მესხი ახალგაზრდებისგან სტუმრები, მეორე პანელში მონაწილე ქალბატონებმა შემდეგი განაცხადეს:

ნუნუ ასაძბა: გაოცებული ვარ ამ ახალგაზრდებით იმიტომ, რომ დიდი სიყვარული გამოხატეს ჩვენს მიმართ. ასევე, ისინი აფხაზურ ენას სწავლობენ და ეს მნიშვნელოვანია. მე ვიცი აფხაზური ენა, მაგრამ ჩემს შვილებს ვერ ვასწავლე, სამწუხაროდ. გამაოცა იმან, რომ ახალგაზრდებს, რომლებსაც არ აქვთ შეხება აფხაზებთან, სწავლობენ ამ ენას. დღევანდელმა შეხვედრამ მაჩვენა სულ სხვა მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით და ეს მისასალმებელია. პირველ რიგში, იქაური აფხაზების გული უნდა მოვიგოთ.

ნონა ჩამბა: აჭარაში ბევრი აფხაზი ვართ, მაგრამ მსგავსი შეხვედრა ახალგაზრდებთან არ გვქონია. აფხაზური ურთულესი ენაა და რომ აქვთ ამ ახალგაზრდებს სურვილი, ისწავლონ ეს ენა, ზოგადად, მათი სითბო და სულისკვეთება, არის ნამდვილად მოულოდნელი ფაქტი. ჩვენ, ადამიანებს, მათი გულები გვაქვს ჯერ დასაბრუნებელი, შემდეგ ტერიტორიები. რთული გზა გვაქვს წინ, მაგრამ იმედია, დავძლევთ.

მადინა ქუთელია: ჩემმა შვილებმა ქართული კარგად იციან, მაგრამ აფხაზური უჭირთ ცოტა. აფხაზური ენის ცოდნა ჩვენთვის გასაკვირვი არ არის ბათუმში მცხოვრები აფხაზებისთვის, მაგრამ ამ ახალგაზრდებისგან ეს ძალიან სასიხარულოა. მთავარია, თითოეული ნაბიჯი იყოს სიყვარულით გადადგმული და ჩვენ ყველაფერს დავძლევთ.

მესამე პანელის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა **მერაბ ბერიძემ,** ქართველთა და აფხაზთა ერთობის საზოგადოების „ერთობა ხვალისთვის“ თავმჯდომარემ **გიორგი შერვაშიძემ** და თავმჯდომარის მოადგილემ **შორენა ახალაიამ.** აღნიშნულ პანელში მონაწილეები შეეცადნენ, გაეცათ პასუხი რექტორის კითხვაზე – საიდან იღებენ ენერგიას ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობების, ამ დიდი საქმის კეთების დროს, პრობლემების გადაჭრის დროს?

მერაბ ბერიძე: სკოლის პერიოდიდან თუ რაიმე დავისახე, დღესაც იმას ვემსახურები. მართალია, ფორმები იცვლება, მაგრამ ის, რაც მაშინ ჩემს თავს იდეების დონეზე დავუსახე, იმ საქმეს მივყვები დღესაც. როდესაც ემსახურები რაიმე საქმეს, ჩემთვის წმინდაა ეს. მე, პირადად, სწორედ ეს მაძლევს ნებისმიერი საქმის დაძლევის ძალას.

გიორგი შერვაშიძე: ჩემთვის გულწრფელობაა მთავარი. დაბრკოლების გადალახვის დროს, ყოველთვის ვგრძნობ უფალს. ენერგიას მმატებს, ასევე, თითოეული თქვენგანი. მიხარია, თუ მე რაიმე შემიძლია გავაკეთო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში და ამ ნდობის აღდგენაში. აფხაზური ცენტრის წევრებს რომ შეხედავთ, ჩემო მეგობრებო, ხომ წარმოუდგენელია გარდა მეგობრობისა, სიყვარულისა, სხვა რაიმე მოდიოდეს ამ ახალგაზრდების წრფელი თვალებიდან?! ეს არის ჩემი ენერგიის წყარო. ამ საკითხის გარშემო ჩვენი ერთიანობაა ჩემი ენერგიის წყარო.

შორენა ახალაია: დღევანდელმა ღონისძიებამ მოლოდინს გადააჭარბა. ის, რაც დღეს აქ ხდება, ის, რომ ერთმანეთის წინ ვზივართ ქართველები და აფხაზები და ერთმანეთს ვუმტკიცებთ, თუ როგორ გვიყვარს ერთმანეთი, აქ ყველაფერი ნათელია. აქ არიან ახალგაზრდები, რომლებიც ჭეშმარიტების გზას მიყვებიან. ეს ქვეყნის მსახურების გზაა. ამაზე დიდი რა უნდა იყოს! ეს მაძლევს ოპტიმიზმის ძალას.

ღონისძიებას ესწრებოდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთიდან დევნილი, ქალბატონი **ნანა ჯღარკავა,** რომელმაც შემდეგი განაცხადა: ვფიქრობ, სწორედ ახალი თაობა შეძლებს ამ საკითხის მოგვარებას. ამას დიდი დრო სჭირდება, მაგრამ ჩვენ ამას შევძლებთ. აქ ითქვა, რომ დავიბრუნებთ აფხაზეთსო, მაგრამ ჩვენ, ჩემი მეგობრები ვამბობთ – დავბრუნდებით აფხაზეთში.

პანელური მუშაობის დასრულების შემდეგ აფხაზური ცენტრის „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ წევრებმა საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს და არაერთი კითხვა დაუსვეს აფხაზ სტუმრებს; სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთმანეთი დაასაჩუქრეს და გადაიღეს არაერთი სამახსოვრო ფოტო.

ღონისძიება უნივერსიტეტის რექტორმა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: დღეს მოვისმინეთ აფხაზთა ხმა, ასევე, სტუდენტთა ხმა. მინდა ვთქვა, რომ არ დარჩება არცერთის გზავნილი უპასუხოდ. ითქვა, რომ ჩვენ უნდა შევძლოთ აფხაზთა თვალით შევხედოთ რეალობას. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ, არ უნდა გავჩერდეთ. მოდით, ერთად კიდევ ერთხელ მადლობა მოვახსენოთ ჩვენს აფხაზ სტუმრებს. შეიძლება გვიან, მაგრამ ჩვენ მაინც შევხვდებით ერთამანეთს.

ლიკა ზაზაშვილი

ყველაფერი – სტუდენტთა განვითარებისთვის

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის მიმართულება კონკურენტული ინოვაციური ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – „ვეტერინარიის მიმართულებით სწავლებაში თანამედროვე, ინოვაციური მეთოდების დანერგვა და შესაბამისი მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა" – გამარჯვებულია. აღნიშნული პროექტის შესახებ გვესაუბრება ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელი, პროფესორი ლევან მაკარაძე.

– ბატონო ლევან, გვესაუბრეთ პროექტის შესახ.

– ვიდრე უშუალოდ თქვენ მიერ დასმულ კითხვას გავცემდე პასუხს, მინდა აღვნიშნო, რომ ვეტერინარიის მიმართულებით სამსცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების განხორციელება დაიწყო 2019 წლიდან, როდესაც ახლად შემუშავებულმა ვეტერინარიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია წარმატებით გაიარა. შემდეგ იყო განსაკუთრებული წარმატება, როდესაც უნივერსიტეტის ანგარიშგასაწევი ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა 2022 წელს მოგვეპოვებინა აკრედიტაცია ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე. ყოველივე აღნიშნული იყო არა მარტო სერიოზული წარმატება, არამედ უნივერსიტეტისა და ვეტერინარიის მიმართულებით სწავლება/სწავლის პროცესში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების აღიარება, რამაც ერთიანობაში ხელი შეუწყო უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებას.

წარმატება თავისით არ მოსულა, მას წინ უძღოდა უნივერსიტეტისა და ვეტერინარიის მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის შედეგზე გათვლილი წარმატებული მუშაობა. კერძოდ, გაფორმდა ძალიან მნიშვნელოვანი მემორანდუმი თურქეთის კავკასიის უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტთან ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში. ეს ის ფაკულტეტია, რომელმაც მოიპოვა უფლება, გამხდარიყო ევროპის ვეტერინარული განათლების დაწესებულებების საერთაშორისო ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი. ხელშეკრულების ფარგლებში ვეტერინარიის 22-მა სტუდენტმა კვალიფიკაცია აიმაღლა აღნიშნული ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო ბაზაზე, დაგეგმილია ახალი შემოთავაზება, რომელზედაც წინასწარ არ მინდა საუბარი. ასევე, ჩვენ შევძელით, აქტიურად გვეთანამშრომლა ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ საქართველოში განხორციელებული საინვესტიცო პროექტში – **„ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში SQIL"**. პროექტში აქტიური ჩართულობითა და სრული ფინანსური მხარდაჭერით უნივერსიტეტის 20-მა წარმატებულმა სტუდენტმა პრაქტიკა გაიარა საქართველოს წარმატებულ ვეტერინარია-მეცხოველეობის მიმართულების საწარმოო დაწესებულებებში. ასევე, წარმატებით დასრულდა SQIL პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღება, რამაც საშუალება მოგვცა ვეტერინარიის მიმართულებით შეგვესყიდა სხვადასხვა დანიშნულების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, გაგვეუმჯობესებინა სასწავლო ბაზა მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგიის ლაბორატორიის, ქირურგია-გინეკოლოგიის სასწავლო ბლოკში და პროზექტურაში, სასწავლო სივრცეში შეიქმნა კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია და სხვა. ამ ეტაპზე, ყურადღებას აღარ გავამახვილებ სხვა აქტივობებზე, ვინაიდან თქვენს კითხვას მინდა გავცე პასუხი.

ვეტერინარიის მიმართულებიდან კონკურენტული ინოვაციური ფონდის (CIF) მიერ გამოცხადებულ კონკურსში ჩვენი უნივერსიტეტიდან წარდგენილი იქნა საგრანტო პროექტი – **„ვეტერინარიის მიმართულებით სწავლებაში თანამედროვე, ინოვაციური მეთოდების დანერგვა და შესაბამისი მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა"**. პროექტმა კონკურსში წარმატებას მიაღწია და უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მაკა ბერიძემ და პროექტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ლევან მაკარაძემ** მიიღეს შემდეგი სახის შეტყობინება: **გვსურს, მოგილოცოთ CIF-ის მეორე საგრანტო კონკურსში წარმატებული მონაწილეობა და გაცნობოთ, რომ თქვენ მიერ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით წარმოდგენილი საგრანტო განაცხადი: „ვეტერინარიის მიმართულებით სწავლებაში თანამედროვე, ინოვაციური მეთოდების დანერგვა და შესაბამისი მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა", დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ჯამურად, საშუალოდ 16.25 ქულით შეფასდა და რანჟირების ერთიან სიაში მე-4 ადგილი დაიკავა. შესაბამისად, თქვენი საგრანტო პროექტი დასაფინანსებელ საგრანტო პროექტთა სიაშია.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მასშტაბით წარდგენილი იყო 100-ზე მეტი განაცხადი, მიღწეული წარმატება ძალიან მნიშვნელოვანია და კარგ სამომავლო პერსპექტივას ქმნის, ვეტერინარიის მიმართულებით სწავლება/სწავლის პროცესი მაქსიმალურად დაუახლოვდეს ევროკავშირის (EU) კანონმდებლობაში არსებულ მოთხოვნებს, ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH), ვეტერინარული დაწესებულებების ევროპული ასოციაციისა (EAEVE) და ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) სტანდარტებსა და მოთხოვნებს, რაც ვეტერინარიის მიმართულებით აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე (ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო და ვეტერინარიის სადოქტორო) საერთაშორისო (ევროპული) აკრედიტაციის მოპოვების რეალური წინაპირობაა.

– ბატონო ლევან, რა არის პროექტის მიზანი?

– პროექტის მიზანია სტუდენტზე ორიენტირებული ვირტუალური გარემოს შექმნა თანამედროვე სავეტერინარო ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, რომელიც უკავშირდება სავეტერინარო პათოლოგიებისა და შემთხვევების მოდელირებას, მიზნობრივი კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესწავლა/დემონსტრირებას, სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების გამომუშავება/დადასტურებას სიმულაციურ (ვირტუალურ) გარემოში. აუდიტორიულ სწავლებაში ვირტუალური გარემოს შექმნა და სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, ვეტერინარიის მიმართულებით პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარების შესაძლებლობას იძლევა. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან (პოტენციურ დამსაქმებლებთან) კავშირის გაძლიერებას, სასწავლო გარემოს სწრაფ მოდერნიზაციას, რომელიც მიმართული იქნება მაღალი კომპეტენციის მქონე, შიდა და საგარეო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი ვეტერინარიის მაგისტრისა და მკვლევარის

მომზადებისაკენ. ასევე, აღნიშნული მნიშვნელოვანი წინაპირობაა ვეტერინარ სპეციალისტებზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბალანსის დეფიციტის აღმოფხვრა/შენარჩუნების კუთხით.

– რა შედეგს მოუტანს პროექტი სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს?

– ჩვენ მიერ შემუშავებული პროექტი სწორედ რომ შედეგზე ორიენტირებული პროექტია და მისი დადებითი შედეგი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. კერძოდ: სხვადასხვა სახის სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება საშუალებას მოგვცემს სწავლების პროცესში მაქსიმალურად შევამციროთ, ზოგიერთ შემთხვევაში კი თავიდან ავიცილოთ ცოცხალ ცხოველებზე სწავლებისათვის აუცილებელი სხვადასხვა მანიპულაციების განხორციელება და მოსალოდნელი სტრესული რეაქციები, რაც აღნიშნული ცხოველთა კეთილდღეობის საერთაშორისო ნორმებისა და ჩვენს მიერ შემუშავებული ბიოეთიკის დებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. ამავდროულად, სწავლებაში განხორციელდება მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება/სწავლის პროცესი მაქსიმალურად შევუსაბამოთ აკრედიტაციის საერთაშორისო (ევროპული) სტანდარტების მოთხოვნებს, რომელიც საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით ვეტერინარიის პრეკლინიკურ და კლინიკურ სასწავლო კურსების სწავლებაში დანერგილი იქნება სწავლისა და შეფასების ისეთი თანამედროვე ინოვაციური მეთოდები, როგორიცაა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური (OSCE) და პრაქტიკული (OSPE) მეთოდი, პარალელურად ჩამოყალიბდება პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორია.

პირველ რიგში, ვეტერინარიის პროფილის საგანმანათლებლო აუდიტორიულ სწავლებაში OSCE და OSPE მეთოდების შემოტანა და ვირტუალური გარემოს შექმნა არის ინოვაცია, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სწავლების პირველივე კურსიდან ვეტერინარ სტუდენტებში განვავითაროთ საექიმო/კლინიკური აზროვნება. სტუდენტი ადრეული კურსებიდანვე ეჩვევა საკუთარი თავის ექიმის როლში ყოფნას და პროფესიულ პასუხისმგებლობას. სტუდენტი აუდიტორიული სწავლების პირობებში იძენს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რასაც წარმატებით გამოიყენებს სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკის პირობებში და შემდგომ საქმიანობაში. ფაქტობრივად, ეს არის თანამედროვე სავეტერინარო განათლების გამოწვევა.

გარდა აღნიშნულისა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონას უადვილდება სწავლების პროცესში თეორიული ცოდნის პრაქტიკულად წარმოჩენა სიმულატორების გამოყენებით, ასევე, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, უცხოელ კოლეგებთან ერთად, ჩაატარონ მასტერკლასები, აიმაღლონ პროფესიული მომზადების დონე და სხვა.

ვსარგებლობ შემთხვევით და ვეტერინარი პროფესურის სახელით დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ მაკა ბერიძეს და მის გუნდს, ვეტერინარიის მიმართულებით რეფორმების განხორციელებაში თანადგომისათვის. რომ არა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობა, მსგავსი სახის წარმატების მიღწევა, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

– გმადლობთ, ბატონო ლევან.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის"

2 მაისს, ორგანიზაცია – **„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის",** შეხვდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **მაკა ბერიძეს,** ფაკულტეტების დეკანებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

ორგანიზაციის წევრებმა ისაუბრეს იმ შთაბეჭდილებებზე, ემოციებსა და გამოცდილებებზე, რაც ქ. ბათუმში, 23-26 აპრილს, პროექტის ფარგლებში მიიღეს.

შეხვედრაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და დეკანატმა მოისმინა თითოეული წევრის იდეა, განიხილეს სამომავლო პროექტები და მხარდაჭერა გამოუცხადეს ორგანიზაციას „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის".

მედიაწიგნიერების სწავლების დასაწყისი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** და ComCom-ის წევრმა **ნათია კუკულაძემ,** 24 მაისს, ხელი მოაწერეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კომუნიკაციების კომისიას შორის დაგეგმილია მედიაწიგნიერების საგნის კიდევ უფრო ფართოდ ინტეგრირება სხვადასხვა სპეციალიზაციის საგანმანათლებლო პროგრამაში, ასევე, სემინარებისა და თემატური კონფერენციების ჩატარება და მედიაწიგნიერების მიმართულებით ლექტორებისა და სტუდენტებისთვის ერთობლივი პროექტების განხორციელება. ხელმოწერას დაესწრნენ მედიაწიგნიერების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **მარიამ დახუნდარიძე** და დეპარტამენტის სხვა წარმომადგენლები, უნივერსიტეტის მხრიდან რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე,** ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი **როინ თათეშვილი** და ხარისხის სამსახურის სპეციალისტი **თეა თათენაშვილი.**

მემორანდუმის ხელმოწერამდე სტუმრებს უნივერსიტეტის რექტორმა უმასპინძლა. შეხვედრაზე ქალბატონმა მაკამ სტუმრებს უნივერსიტეტის ისტორია გააცნო და რეგიონში მის მისიაზე გაამახვილა ყურადღება, ისაუბრა მედიაწიგნიერების როლზე და გარკვეულ სპეციალობებზე ამ საგნის სწავლების აუცილებლობაზე.

მემორანდუმის გაფორმების პირველივე დღეს, ComCom-მა სჯსუ-ს სტუდენტებისთვის ჩაატარა საჯარო ლექცია თემაზე – **„მედიაწიგნიერების განვითარება საქართველოში".** მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია კომუნიკაციების კომისიის მედიაწიგნიერების განვითარების მიმართულებით საქმიანობის შესახებ. შეხვედრაზე განხილული იქნა თანამედროვე, ციფრული გამოწვევების ეპოქაში მედიაწიგნიერების როლი და მნიშვნელობა, ყალბი ამბების, დეზინფორმაციისა და მისი ინფორმაციის აღმოჩენის ხერხები და სხვა.

ქალბატონმა მაკამ გამოთქვა სურვილი, მედიაწიგნიერების საკითხებთან დაკავშირებით, მსგავსი შეხვედრა ახალქალაქში, უნივერსიტეტის მესამე კორპუსშიც მოეწყოს.

ჩვენი კორესპონდენტი

„ახალციხობა - 2024“

30 ივნისს გაიმართა **„ახალციხობა – 2024“**. აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისა და განსაკუთრებული დამსახურებისათვის 2024 წლის საპატიო ახალციხელის სტატუსი მიენიჭათ:

ნიკოლოზ ვაშაყმაძეს – პირველი ქვეითი ბრიგადის მე-13 ბატალიონის მეთაურს. მას წარმატებით აქვს გავლილი უწყებრივი ყველა საკარიერო კურსი, მიღებული აქვს მრავალი სახელმწიფო და უწყებრივი ჯილდოები და მადლობები, მათ შორის აღსანიშნავია ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ჯილდო. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში და რუსეთ-საქართველოს საომარ კონფლიქტში ასეულის მეთაურის პოზიციაზე.

ზოია ბალიაშვილს – ღვაწლმოსილ პედაგოგსა და ორი მოწვევის საკრებულოს წევრს. იგი 50 წელზე მეტია მუშაობს საგანმანათლებლო სფეროში, როგორც პედაგოგად ასევე ხელმძღვანელ პოზიციებზე. ქალბატონი ზოია დღესაც აქტიურად განაგრძობს პედაგოგიურ საქმიანობას და დიდი პატივისცემით სარგებლობს ქალაქ ახალციხეში. სხვადასხვა დროს დაჯილდოებულია მადლობის სიგელებით.

ასთხიკ მეიტარჯიანს – ღვაწლმოსილ პედაგოგს. იგი 54 წლის განმავლობაში ქალაქ ახალციხის №2 და №3 საბავშვო ბაგა-ბაღებში მუშაობდა აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე. მან არაერთი თაობა აღზარდა და დღემდე დიდი სიყვარულით იხსენებენ.

დაჯილდოვდნენ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სტიპენდიატები.

მერიის სტიპენდია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 33-მა წარჩინებულმა სტუდენტმა მიიღო. სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა სტიპენდიატებს სერტიფიკატები გადასცეს, სწავლაში მიღწეული შედეგები მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს მერიისგან 500 ლარის ოდენობით სტიპენდია ჩაერიცხა.

ქალაქის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება გალაკონცერტითა და საზეიმო ფოიერვერკით დასრულდა.

სამეცნიერო კონფერენციაზე – პირველები

ორგანიზაცია „კანონის უზენაესობის ცენტრის“, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ნორვეგიის მხარდაჭერით, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ჩატარდა კონფერენცია თემაზე – **„თანასწორობის მნიშვნელობა, დისკრიმინაციის აკრძალვა“**. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ, საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტები – **მარიამ ზედგინიძე** და **ამალია ნააპეტიანი.** მარიამ ზედგინიძის საკონფერენციო ნაშრომი შეეხებოდა **„გენდერის ნიშნით ოჯახში ძალადობას“**. წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი იყო გენდერის ნიშნით ოჯახში ძალადობის პრობლემური საკითხის წამოჭრა და მისი პრევენცირება.

პრეზენტაციის ფარგლებში განხილული იყო – რა არის გენდერი, რა არის ოჯახში ძალადობა და რა სტერეოტიპები არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით; გენდერის ნიშნით ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები, ოჯახში ძალადობა გენდერის ნიშნით მსოფლიოსა და საქართველოში, კერძო სექტორებისა და მედიის როლი გენდერის ნიშნით ოჯახში ძალადობისას, ასევე, მოძალადისაგან მსხვერპლის დაცვის რა მექანიზმები არსებობს და რამდენად ეფექტურია მათი გამოყენება. მარიამი პირველი ადგილის მფლობელი გახდა და მას ჯილდოს სახით გადაეცა „ბიბლუსის” 400 ლარიანი ვაუჩერი.

ამალია ნააპეტიანის ნაშრომი ეხებოდა **„თანასწორობის განვითარება საქართველოში”.** ნაშრომში ამალია საუბრობს თანასწორობის კუთხით რა გზა გვაქვს გავლილი, როგორც ისტორიულ, ასევე მართლმსაჯულების კუთხით. ასევე, საუბარი იყო ქალთა პირველ მანიფესტზე, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოში. მთავარი თემა ნაშრომის იყო ის, რომ თანასწორობა ჩვენთვის არ არის ახალი ცნება, ის ჩვენი ისტორიული არჩევანია. მისი არგუმენტები გამყარებული იყო შესაბამისი მაგალითებით, როგორც მართლმსაჯულებიდან, ასევე ისტორიასა და ლიტერატურიდან. ამალია გახდა მეორე ადგილის მფლობელი და ჯილდოს სახით გადაეცა „ბიბლუსის” 300 ლარიანი ვაუჩერი.

ჩვენი კორესპონდენტი

ერთად – სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობისთვის

ერაზმუს + VETPRO-ს პროექტის ფარგლებში, 30 მაისს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთათვის დასაქმების ფორუმი გაიმართა. ამ დღეს, უნივერსიტეტს, ვეტერინარიის მიმართულებით პარტნიორი ორგანიზაციები – საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, სხვადასხვა კომპანიების, ასევე, სავეტერინარო კლინიკების ხელმძღვანელი პირები ეწვივნენ.

ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა VETPRO-ს პროექტის მენეჯერი, საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი სპეციალისტი **გურანდა მოდებაძე.** ქალბატონმა გურანდამ ისაუბრა VETPRO-ს პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ და მადლობა მოახსენა სტუმრებსა და პროექტში მონაწილე პირებს მობრძანებისათვის: **პროექტის ფარგლებში განხორციელდა არაერთი აქტივობა. ჩვენს რეგიონში ჩატარდა კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ ვეტერინარიის მიმართულებით ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ამიტომ ვცდილობთ, სტუდენტებს დავეხმაროთ განვითარებასა და მომავალი კარიერის დაგეგმვაში. დღევანდელი დღე არის დასტური იმის, რომ სტუდენტებს შევუწყოთ ხელი დასამქმებაში.**

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, VETPRO-ს პროექტის მეცნიერ-მკვლევარმა, პროფესორმა **ლევან მაკარაძემ** ისაუბრა უნივერსიტეტში ვეტერინარიის სპეციალობის არსებობის მნიშვნელობის შესახებ. აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით უნივერსიტეტი სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს: **ის ახალგაზრდები, რომლებიც დღეს აქ არიან, არიან ისტორიის ნაწილი, რადგან იქნებიან პირველი გამოშვება ამ მიმართულებით. მადლობა პოტენციურ დამსაქმებლებს, რომლებიც მობრძანდნენ უნივერსიტეტში. ვიცით, რომ ვეტერინარიის პროფესია დეფიციტურ პროფესიათა ჩამონათვალშია. ის ღონისძიებები, რომლებიც ტარდება ამ მიმართულებით, დარწმუნებული ვარ, ხელს შეუწყობს ამ დეფიციტის აღმოფხვრას.**

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი **როინ თათეშვილი: დღევანდელი დღე მოსალოცია, რადგან სტუდენტები, დამსაქმებლები და პროფესორები ერთად ვიკრიბებით და ვფიქრობთ მომავალზე. სტუდენტების დამსაქმებლებთან ურთიერთობა არა მხოლოდ დიპლომის აღების შემდეგ უნდა ხდებოდეს, არამედ მთელი სწავლების პროცესში. მინდა, მადლობა ვუთხრა დამსაქმებლებს, რადგან ვეტერინარიის მიმართულებით პროგრამის შემუშავებაში დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართულები. ეს მნიშვნელოვანია. ჩვენ ყველა ერთად ერთ დიდ საქმეს ვაკეთებთ.**

ფორუმზე დამსაქმებლებმა და სტუდენტებმა ერთმანეთის შესახებ ინფორმაცია გაცვალეს. ასევე, სტუდენტები გაეცვნენ კომპანიების საინფორმაციო ბუკლეტებს. შემდეგ სტუდენტებმა მათთვის საინტერესო კომპანიის წარმომადგენლებს საკუთარი CV გადასცეს.

დამსაქმებლებთან გასაუბრების შემდეგ, სტუმრებმა უნივერსიტეტში არსებული ვეტერინარული ლაბორატორიები დაათვალიერეს.

დასაქმების ფორუმის მიზანი გახლდათ – ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები გაცნობოდნენ სავეტერინარო მიმართულებით დასაქმების პერსპექტივებს.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა გზამკვლევები ფერმერთათვის შემდეგ მიმართულებებში – „ღორის მოშენება“, „მეფრინველეობა“ და „თევზის მოშენება“. ვეტერინარიის მიმართულების პროფესურა, აქტიურად იყო ჩართული ზემოხსენებული სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში.

სიახლეებისა და თანამედროვე მიდგომების გაცნობის მიზნით, გამოცემული გზამკვლევები გადაეცათ სამცხე-ჯავახეთის მასშტაბით მომუშავე ფერმერებსა და იმ დაწესებულებებს, რომლებსაც აქვთ შეხება ვეტერინარიის მიმართულებასთან.

ლიკა ზაზაშვილი

სადოქტორო ნაშრომების წარდგენა დარგობრივი კომისიის სხდომაზე

● **25 ივნისს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, აგრონომიის მიმართულების დარგობრივი კომისიის სხდომა, დოქტორანტ **ირინა ხელისუფალის** სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვისთვის თემაზე – **ენტომოპათოგენური ნემატოდების (Steinernema, Heterorhabditis) გამოყენება მავნე მწერების ბიოკონტროლისათვის სამცხე-ჯავახეთში.**

სადისერტაციო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელები გახლავთ: **ნონა მიქაია** – ბიოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. თანახელმძღვანელი – **ავთანდილ კორახაშვილი** – აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი.

წინასწარი დასკვნა დაცვისთვის მოამზადეს ექსპერტებმა: ბიოლოგიურ მეცნიერებთა აკადემიურმა დოქტორმა, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიოლოგიური კონტროლის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა **მ. კახაძემ;** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დოქტორმა **მ. ჭურღულია-შურღაიამ.** მეცნიერებმა დადებითად შეაფასეს სადისერტაციო ნაშრომი და უფლება მისცეს დისერტანტს, მოეხდინა დარგობრივ კომისიაზე მისი დაცვა.

დარგობრივი კოლეგიის შემადგენლობაში იყვნენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორები: **შ. ყანჩაველი, თ. კაჭარავა, ამირან თხელიძე, ქ. ჩხაიძე, ნ. ჩაკვეტაძე, ლ. ალფაიძე, თ. გვარამაძე.**

სადისერტაციო ნაშრომის რეცეზენტები იყვნენ: **მედეა ბურჯანაძე,** ბიოლოგიის დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და **მზია ბერუაშვილი,** ბიოაგროწარმოების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიეროკვლევითი ცენტრი.

რეცეზენტებმა საინტერესოდ და დამაჯერებლად შეაფასეს დისერტანტის ნაშრომი და რეკომენდაცია გაუწიეს ძიებული ხარისხის მოსაპოვებლად.

დისერტანტმა ყველა დასმულ კითხვას გასცა დამაჯერებელი პასუხი, რითაც კომისიის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებაში დიდი მოწონება დაიმსახურა.

დარგობრივმა კოლეგიამ დისერტანტ ირინა ხელისუფალის სადისერტაციო ნაშრომს მისცა შეფასება „კარგი“ და უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე გაუწია რეკომენდაცია აგრონომიის დოქტორის ხარისხის მისანიჭებლად.

● **18 ივლისს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის, ეკონომიკის მიმართულების დარგობრივი კოლეგიის სხდომა, დოქტორანტ **ვახტანგ თაქთაქიძის** სადოქტორო ნაშრომის საჯარო დაცვისთვის თემაზე – **„მეფუტკრეობის, როგორც საექსპორტო დარგის განვითარების ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში“.**

სადისერტაციო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლავთ **ცისკარა ზარანდია** – ეკონომიკის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

წინასწარი დასკვნა დაცვისთვის მოამზადეს: ეკონომიკის დოქტორმა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **თინა გელაშვილმა,** ეკონომიკის დოქტორმა, ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **ნიკოლოზ ჩიხლაძემ.**

მეცნიერებმა დადებითად შეაფასეს სადისერტაციო ნაშრომი და უფლება მისცეს დისერტანტს, მოეხდინა დარგობრივ კომისიაზე მისი დაცვა.

დარგობრივი კოლეგიის შემადგენლობაში იყვნენ პროფესორები – **როინ თათეშვილი, გიორგი ბუცხრიკიძე, თინა გელაშვილი, ავთანდილ გაგნიძე, თორნიკე ხოშტარია, ილია ბოცვაძე;** ასოცირებული პროფესორები – **მაია გელაშვილი, ნანა ზაზაძე, ამალია შაყულაშვილი, ნანა ჯღარკავა.**

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები იყვნენ: **ლავრენტი ჩიბურდანიძე,** ეკონომიკის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; **ბართლომიეი სუხოდოლსკი,** ეკონომიკის დოქტორი, სიედლცეს (პოლონეთი) უნივერსიტეტის პროფესორი. რეცენზენტებმა საინტერესოდ და დამაჯერებლად შეაფასეს დისერტანტის ნაშრომი და რეკომენდაცია გაუწიეს ძიებული ხარისხის მოსაპოვებლად.

დისერტანტმა ყველა დასმულ კითხვას გასცა დამაჯერებელი პასუხი. დარგობრივმა კოლეგიამ დისერტანტ ვახტანგ თაქთაქიძის სადისერტაციო ნაშრომი „ფრიადზე“ შეაფასა და უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე გაუწია რეკომენდაცია ეკონომიკის დოქტორის ხარისხის მისანიჭებლად.

ამერიკელ ლექტორებთან დამშვიდობების საღამო

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2023-2024 სასწავლო წელი კიდევ ერთი გამორჩეული წელი იყო. ფულბრაითის პროგრამისა და მშვიდობის კორპუსის მოხალისე წარმომადგენლები – **ჰანა ბრედშტაინი** და **ბილი ჩანი,** მთელი წლის განმავლობაში, უნივერსიტეტის ლექტორებთან ერთად, ეხმარებოდნენ სტუდენტებს კითხვის, წერის, საუბრისა და მოსმენის უნარების სრულყოფაში. ეს სტუდენტებისთვის მართლაც რომ ღირებული შესაძლებლობაა. მთელი წლის მადლიერება კი ლექტორებმა, სტუდენტებმა და მთელმა უნივერსიტეტმა მათი გაცილების საღამოზე გამოხატეს 27 მაისს. როგორც ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი **გულიკო ჯანოვა** აღნიშნავს, „ეს იყო თბილი, მეგობრული, სიყვარულით სავსე, მაგრამ ოდნავ სევდანარევი საღამო, რადგან ვემშვიდობებოდით ჩვენს ამერიკელებს.“ იყო ტრადიციული ტორტი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფულბრაითის პროგრამისა და მშვიდობის კორპუსის ლოგოებით მორთული. სტუდენტების, ჩვენი პედაგოგების – ასოცირებული პროფესორის – **მაკა მურვანიძის, მარიკა ზედგინიძის,** განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის – **გულიკო ბექაურის** მისასალმებელი სიტყვებით, ჰანას და ბილის სამადლობელი და სურვილებით აღსავსე სიტყვებით.

ქალბატონი გულიკო ჯანოვას თქმით: ჰანას და ბილის სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში გატარებული ერთი წელი ნაყოფიერი იყო. ისინი პასიურად ესწრებოდნენ ლექციებს, შემდეგ კი ჩვენს პედაგოგებთან ერთად ატარებდნენ ლექციებს. საათები ისე დავანაწილეთ, რომ არც ერთი ჯგუფი არ დარჩენილიყო მათ გარეშე. ამის გარდა, ორივე მუშაობდა ახალციხის ამერიკის კუთხეში. ლექციებთან ერთად ორივე ჩართული იყო კურიკულუმის გარე აქტივობებში. ჰანა უფრო მეტად უნივერსიტეტის აქტივობებში იყო ჩართული, აქტიური მონაწილეობა მიიღო ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტთა ინგლისურენოვან კონფერენციაში – **„აღმოაჩინე ამერიკა“,** კერძოდ, უხელმძღვანელა ორ სტუდენტს. ასევე, მისი უშუალო მონაწილეობით ჩატარდა „Spelling Bee” (შეჯიბრი წარმოთქმაში). ბილიმ ჩვენი მესამე კურსელები ჩააბა ამერიკის კუთხის პროექტში.

მინდა გაგაცნოთ ამონარიდი მათი ჩანაწერიდან:

მე ახალციხეში, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ჩამოვედი იმ იმედით, რომ შევძლებდი სტუდენტთა გამოცდილების შეცვლას უკეთესობისკენ. მოვახერხე ეს თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ ერთი მინდა დაბეჯითებით აღვნიშნო – მე ნამდვილად შევიცვალე უკეთესობისაკენ... მინდა უნივერსიტეტს ვუსურვო აღმავლობა, განვითარება და მრავალი ნიჭიერი სტუდენტის აღზრდა (ჰანა ბრედშტაინი).

ნამდვილად კმაყოფილი ვარ ამ ერთი წლით, სასწავლო მასალით, ტექნიკური აღჭურვილობით, სტუდენტებით, უნივერსიტეტის მხარში დგომით. იმედი მაქვს, რომ ჩვენი შრომა მომავალი თაობებისთვის წინსვლის მტკიცე საფუძველი იქნება. ახლა შესაფერისი დრო და ადგილია განვითარებისათვის, წინსვლისა და ცვლილებებისთვის. ნუ გეშინიათ, თქვით სათქმელი, იყავით გაბედულები. (ბილი ჩანი).

მათ, მართლაც, ბევრი რამ გააკეთეს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ვინაიდან ენის სწავლა და დახვეწა არაა მარტივი პროცესი. ისინი მუდმივად ცდილობდნენ, შემოეტანათ სწავლების განსხვავებული სტრატეგიები, რომელიც დაეხმარებოდა სტუდენტს მასალის უკეთ ათვისებაში. მთელი წლის განმავლობაში ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, რამაც გავლენა არა მხოლოდ სტუდენტებზე, არამედ მათზეც იქონია. ჰანა ბრედშტაინი გვიამბობს: **ძალიან იღბლიანი აღმოვჩნდი, რადგან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოვხვდი. ჩემი კოლეგები, ლექტორები ძალიან კეთილგანწყობილები იყვნენ ჩემს მიმართ, ჩემი სტუდენტები კი მუდმივად მაოცებდნენ ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონით. მიხაროდა მათი პროგრესისთვის თვალის დევნება მთელი წლის განმავლობაში. განსაკუთრებით მომეწონა ღონისძიებები, „Spelling Bee” და სტუდენტთა ინგლისურენოვანი კონფერენცია ამერიკის შესახებ. ამ წელს შესანიშნავი გამოცდილება მივიღე, რომელიც დამეხმარა განვითარებულიყავი პროფესიულად და პიროვნულად. გამოსამშვიდობებელი საღამო სასწავლო წლის შესანიშნავი დასასრული იყო – გარშემო სიყვარული ტრიალებდა და თავს დაფასებულად ვგრძნობდი. მინდა მივულოცო დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს და ყველას წარმატება ვუსურვო.**

არა მხოლოდ ჰანასთვის, ბილისთვისაც გამორჩეული იყო ჩვენს უნივერსიტეტში გატარებული ერთი წელი: **დამშვიდობების ღონისძიება შესანიშნავი იყო! იშვიათად ვხედავდი ჩემს ყველა სტუდენტს ერთად, ამიტომ შანსი მომეცა, ყველასთვის ერთად გამეზიარებინა ჩემი შთაბეჭდილებები. როგორც იცით, არ ვმუშაობ ჰანასთან და არც დეპარტამენტის ყველა ლექტორთან, ეს ფიზიკურად შეუძლებელია. ამიტომ სასიამოვნო იყო ყველას ერთად ნახვა. ჩემთვის გამორჩეული იყო ღონისძიების ის ნაწილი, როცა ყველა კურსის სტუდენტი გამოვიდა და თავისი მადლიერება გამოხატა ჩვენს მიმართ. ჩვენ ორივე ვცდილობდით, მოტივაცია აგვემაღლებინა სტუდენტებისთვის, რომ ყოფილიყვნენ უშიშრები და უფრო მეტი ესაუბრათ ინგლისურად. ვამაყობ, რომ სტუდენტებმა ეს შეძლეს დახმარების გარეშე. ეს წელი სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში არაჩვეულებრივად გავატარე, რადგან ვგრძნობ, რომ შევასრულე ჩემს მიერ წლის დასაწყისში დასახული მიზანი – შემექმნა სასწავლო სტრუქტურა ლექტორებთან და სტუდენტებთან ერთად, რომელიც წლების მანძილზე გაგრძელდებოდა, მაშინაც კი, როცა მე აქ აღარ ვიქნებოდი. ვფიქრობ, რომ ჩემს სტუდენტებს მოსწონდათ სწავლების სტილი, რადგან ეს მათ ეხმარებოდა, განევითარებინათ მათი შესაძლებლობები.**

აღსანიშნავია, რომ ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებს 2002 წლიდან აქვთ შესაძლებლობა, ჰყავდეთ ამერიკელი ლექტორები. ამჯერადაც ვემშვიდობებით ჩვენს ამერიკელებს, მაგრამ ვიცით, რომ მომავალ წელს ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებს კვლავ ექნებათ შესაძლებლობა, ისწავლონ ინგლისური ამერიკელებთან და ჩვენი უნივერსიტეტის პროფესიონალებთან ერთად.

ნინო ზედგინიძე
ინგლისური ფილოლოგიის
მე-4 კურსის სტუდენტი

„ჩვენ დავბრუნდებით, თან - აუცილებლად!“

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ეს მომენტი ჩემგან, ჩვენგან ძალიან შორს იყო და წინ კიდევ დიდი ხანი გვქონდა, რომ დავმტკბარიყავით სტუდენტური ცხოვრებით.

ეჰ, თურმე როგორ ვცდებოდი. ისე მალე, მოულოდნელად შემოგვეპარა, ვერც კი გავიაზრე... თვალი დავახამხამე და უცბად გაიფრინა ოთხმა წელმა და გავიაზრე, რომ მორჩა... ეს, რა თქმა უნდა, დასასრული არაა, უბრალოდ, ახლა ეს ზღაპრული 4 წელი დამთავრდა, 4 წელი, რომელიც სავსე იყო ბევრი საინტერესო მომენტით, რთული სიტუაციებით, ამოცანებით, ბედნიერი, ხანდახან კი სევდიანი დღეებით. თითოეული ემოცია, შეგრძნება, განცდა, აბსოლუტურად ყველაფერი, რის გავლაც კი მოგვიწია სჯსუ-ში, ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ზუსტად იმ სირთულეების მეშვეობით ვისწავლეთ ფეხზე მყარად დგომა.

ხშირად ვაბობ, სჯსუ იყო და არის ჩვენი ერთი დიდი ოჯახი, სადაც თითოეული ჩვენგანი ცდილობს, იზრუნოს ერთმანეთის კეთილდღეობაზე.

6 ივნისს, ზუსტად ამ დღეს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სტატუსით ბოლოჯერ, განსაკუთრებულად გადავუხადეთ მადლობა თითოეულ ლექტორსა და თანამშრომელს განეული შრომისათვის. ხშირად გვესმოდა, რომ არ უნდოდათ ჩვენთან დამშვიდობება, რაც გარდაუვალი იყო. ამიტომ ვიფიქრეთ, განსაკუთრებულად მაინც დავემშვიდობოთ უნივერსიტეტს, პედაგოგებს, თანამშრომლებს და ჩვენს ტკბილ მოგონებებს, რომლებთანაც ფიზიკურად თუ ვერ ვიქნებით, ჩვენი სულის პატარა ნაწილი მაინც მათთან დარჩება.

ნეტავ შევძლო, გადმოვცე ის ყველაფერი, რაც იმალება ამ ღონისძიების სამზადისში, აი ზუსტად ის, რაც კულისებს უკან იმალება... სიამაყე, ბედნიერება, სევდა, ცრემლები, ოჰ, ზღვა ემოცია, თან ყველაფერი ერთდროულად. ვინ იფიქრებდა, რომ იმ ადამიანებზე საუბარი, ვინც გაგვზარდა, ასე რთული იქნებოდა...

ხანდახან ისეთი მომენტი დგება, როცა სიტყვები უძლურია და საუბრისას ხმის კანკალი და აცრემლებული თვალები გადმოსცემს იმ ყველაფერს, რაც წინადადებებში ვერ ჩავტიეთ. მჯერა, ღონისძიებაზე თითოეულ მათგანზე საუბრისას იგრძნეს ის დიდი სიყვარული და პატივსცემა, რასაც მათ მიმართ ვგრძნობთ. ბოლოს კი ჩვენთვის უაღრესად ძვირფასი წინადადება გაჟღერდა: აი, ამ თქვენმა ცრემლებმა, ემოციებმა და თბილმა დამოკიდებულამ დაამტკიცა, თუ როგორი ძვირფასია უნივერსიტეტი თქვენთვის, დაამტკიცეთ ის, რომ 4 წელი დაუღალავად შრომობდით და სჯსუ მართლა თვქენი სულის ნაწილი გახდა. ამით ყველაფერი ნათქვამია.

ეს და სხვა უამრავი კეთილი სურვილი მოვისმინეთ, რაც ფასდაუდებელია.

თურმე „გამარჯობა“ და „ნახვამდის“ ერთი და იგივე ყოფილა, ვინაიდან, როცა ერთ რაღაცას ვემშვიდობებით, სხვას ვესალმებით. ასეა აწყობილი ეს ცხოვრება. ყველა დასასრული რაღაც ახლის დასაწყისია.

ზუსტად ასე ტკბილად დავამთავრეთ ჩვენი ღონისძიება. 6 ივნისს დავემშვიდობეთ ერთმანეთს, მაგრამ პირობაც დავდეთ, რომ დავბრუნდებით, თან – აუცილებლად!

ვარსენიკ ვართანიანი

აკაკი წერეთელი ამბობდა – „მხოლოდ განათლება იყო და არის წყარო ყოველგვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა“

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის ზრუნავდა, დღესაც ზრუნავს და მომავალშიც იზრუნებს იმ წყაროზე, რომელსაც ხალხის ბედნიერება და კეთილდღეობა მოაქვს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ზრუნავს არამხოლოდ სტუდენტთა პიროვნულ და კარიერულ წარმატებაზე, არამედ რეგიონის განვითარებასა და მის პოპულარიზაციაზე. „სტუდენტური ფესტივალი – 2024“ – ის ფარგლებში, მხარს უჭერს სტუდენტთა წამოწყებულ პროექტებს – მინი ფეხბურთი, ესსეების კონკურსი, ხალხური ცეკვები, მოხალისეობა, სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრი – ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ფუტძალი, ინტელექტუალური შეჯიბრი – რა? სად? როდის? კოორდინირებას უწევდა პროფესორი **როინ თათეშვილი.** ამათგან შერჩეულ იქნა მოხალისეობა.

სიმაყით მინდა გაგიზიაროთ ჩვენი პროექტის შესახებ, რომლის მასშტაბმაც მოლოდინს გადააჭარბა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა – ნანა ჭეიშვილმა, თეკლა კუბლაშვილმა, რიტა გრიგორიანმა, მარიამ აღდგომელაძემ, ციალა მანველოვმა, ხაჩატურ მარქარიანმა, საბა მექოშვილმა და მე – თორნიკე ბერიძემ, უნივერსიტეტის, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური და უნივერსიტეტის სტუდენტთა ფართო ნაკადის მოხალისეობრივი მხარდაჭერით, სული შთავბერეთ „სტუდენტური ფესტივალი – 2024“-ის მოხალისეობრივი კომპონენტის ფარგლებში პროექტს – **„აღმოაჩინე ადიგენი“.**

უნივერსიტეტის სტუდენტებს გაგვაჩნია რეალური რესურსი, ხედვებითა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან მჭიდრო ურთიერთობით, წვლილი შევიტანოთ ისტორიული ობიექტების შესახებ ცნობადობის გაზრდაში.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა – „მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა და თავისი ვინაობა“.

სტუდენტური ფესტივალი – 2024

პროექტი – „აღმოაჩინე ადიგენი“

11 მაისს, პროექტის „აღმოაჩინე ადიგენი“-ს ფარგლებში, ადიგენის მუნიციპალიტეტის ეგიდით, განვახორციელეთ პირველი გასვლა ისტორიით გამორჩეულ, სიბრძნით გამორჩეულ და ბუნებით გამორჩეულ ადიგენში.

ბატონი როინ თათეშვილის, ქალბატონი დალი ბეთხოშვილის, ბატონი გიორგი ბერიძის-(ბერჯავახი), ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებისა და მოხალისე სტუდენტთა მონაწილეობით მოვინახულეთ XIV საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც „ჭულის“ ან „ჭულევის“ მონასტრად მოიხსენიება. მოვინახულეთ მონასტერთან ახლოს მდებარე ჩანჩქერი. ვესტუმრეთ „შოშხოთს“, სადაც ხშირი ტყით დაფარულ ადგილას შემორჩენილია დარბაზული ეკლესია და ძლიერ დანგრეული მოზრდილი ტაძარი, რომლის დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე შეუძლებელია მისი არქიტექტურული ტიპის დადგენა. „შოშხოთი“ მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა ნაპირას მდებარეობს, რომელმაც სულში პოეტური განცდების გაღვივება შეძლო.

პროექტის მნიშვნელობით აღფრთოვანებულები ვეწვიეთ მუნიციპალიტეტში მდებარე ზარზმის მონასტერს, რომლის დაარსების დროის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს (VIII-IX საუკუნე). ზარზმის მონასტერი, თავდაპირველად, სასულიერო მოღვაწეს სერაპიონ ზარზმელს დაუარსებია.

ჩვენი პროექტი – „აღმოაჩინე ადიგენი“, რომელმაც აღიარება მოიპოვა, არ დასრულებულა, „ეს მხოლოდ დასაწყისია“.

19 მაისს, „სტუდენტური ფესტივალი – 2024“–ის ჟიურის თანამონაწილეობით განვახორციელეთ პროექტი „აღმოაჩინე ადიგენი“. ამჯერად დავლაშქრეთ ადიგენის მუნიციპალიტეტში არსებული „ოქროს ციხე“, რომლის ისტორია საუკუნეებს ითვლის. „ოქროს ციხე“ ჯაყელთა ერთ-ერთი უმთავრესი სიმაგრეთაგანი იყო და იგი, სხვა ციხეებთან ერთად, დამცველ სიმაგრეთა მთელ სისტემას ქმნიდა ათაბაგთა სამფლობელოს შუაგულის გარშემო.

ლაშქრობის დასრულების შემდეგ ფესტივალის მონაწილეებმა წარმოვადგინეთ პრეზენტაცია პროექტის შესახებ. შეკითხვას, გაიმარჯვებს თუ არა ჩვენი პროექტი პროექტთა შორის ? ვპასუხობთ – ჩვენ უკვე გავიმარჯვეთ!

მადლობა „სტუდენტური ფესტივალი – 2024“-ის ინიციატორებს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ადიგენის მუნიციპალიტეტს იმისათვის, რომ გვაძლევს საშუალებას, ვიყოთ ძლიერები ძლიერთა შორის.

„ეს მხოლოდ დასაწყისია“! გეფერები ადიგენო

მერგო პატივი ამ მიწის ხილვის,
ამ მარგალიტის, ამ ნორჩ მხარეში,
აღარ ენახოს დალოცვილ მიწას,
ქართველთ მოძულე მტერთა თარეში.
ბუნების ნაზი წალკოტი გშვენის,
ამაყად დგახარ მტრების ჯინაზე,
ვერ გამაკვირვებს სხვათა ბუნება,
მაბრუებს, მათბობს შენი სინაზე.
გშვენის ჩანჩქერი დალოცვილ ჭულის,
მაშინაც ნაზობ, როცა იავდრებს,
დალოცვილი ხარ, ფარად გაქვს ზეცა
და ოქროს ციხე ზურგს კვლავ გიმაგრებს.
შენ დაგელოცოს მესხური ჰავა,
ტკბილი შოშხოთი რითმებს მილაგებს
ქართული დროშით, ქართული ჰიმნით,
დღეს ადიგენი კვლავაც იმარჯვებს.
აქეთ ზარზმა კი ავედრებს ზეცას,
სულს ამშვიდებს და ტკივილს გიამებს,
„დედისიმედის“ ძირძველ აკვანში,
ქართველი დედაც შვილს აფრთიანებს.
გშვენის არალი მისი კოტატბით,
იქეთ სოფელი თბილი სამყურე
ვნახე გომარო, მოხე, დერცელი,
მერე პატარა სმადას გავყურე.
აბასთუმანიც გიქარგავს კალთებს,
მისი დიდება ზეცას აჰყურებს,
ჩვენ დაგილოცავთ ადიგენის ცას,
ამ მარგალიტს რომ დაბლით დაჰყურებს.

თორნიკე ბერიძე
დაწყებითი განათლების საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი

დაუვიწყარი ემოციები უნივერსიტეტის დამთავრების ჟამს...

„გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“... მინდა, ამ სიტყვებით დავიწყო ეს სტატია. უკვე ოთხი წელი გავიდა, რაც უნივერსიტეტის ეზოში შემოვდგი ფეხი და დაიწყო ფერადი დღეები. აი, უკვე მეოთხე წელია... ვამთავრებთ უნივერსიტეტს და დაგროვდა ბევრი საინტერესო მოგონება, რომელსაც დამატება ბოლო გასვლითი ლექცია ნოქალაქევში.

ამ ოთხი წლის განმავლობაში სად არ ვიყავით წასული გასვლით ლექციებზე, რა არ მოვინახულეთ, მაგრამ ყველაფერზე მეტად აღგვაფრთოვანა ნოქალაქევის ციხე-სიმაგრემ, რომელიც არქეოპოლისად ინოდება, იგი ითარგმნება როგორც ძველი ქალაქი.

მეტად საინტერესო არეალზეა განლაგებული – ერთი მხრიდან მდინარე ტეხურა ჩამოედინება, მეორე მხრიდან დიდი მთა აკრია გარს, მესამე მხრიდან კი ამშვენებს უდიდესი გალავანი. გალავნის შიგნით შევხვდებით ბევრ შენობა-ნაგებობას. ესენია: სასახლის ნაშთები, ეკლესიების ნანგრევები, აბანოები ცხელი, ცივი და გრილი განყოფილებებით. გვირაბი, რომელიც მდინარეს უკავშირდება. გვირაბში ჩასასვლელი კიბეები არის მარმარილოთი ნაგები. ასევე, ბავშვების მოსანათლი ადგილი, გმირების დაჯილდოების ადგილი და ასე შემდეგ.

ნაქალაქარზე არის ექვსი ეკლესიის ნანგრევი. ამათგან მხოლოდ ერთია დღესდღეობით შემორჩენილი – ორმოცმოწამეთა სახელობის ეკლესია, რომელიც შემოსევების დროს დაზიანდა. აღდგენის დროს გუმბათოვან ეკლესიად გადაუკეთებიათ, ხოლო როდესაც გვიან, შუასაკუნეებში, დადიანები გამოჩნდნენ, მათ კვლავ გადააკეთეს და მოხატეს კიდეც. სამწუხაროდ, ფრესკები არაა შემორჩენილი, მასზე ეტყობა ვანდალიზმის კვალი, ფრესკების ჩამოფხეკა.

აქ მცხოვრები მოსახლეობა მაღალ დონეზე რომ ცხოვრობდა, მიუთითებს აქ აღმოჩენილი სამეფო და სამოქალაქო აბანო. მათ იმ დონეზე ჰქონდათ ყველაფერი მოწყობილი, რომ დაბინძურებულ წყალს პირდაპირ მდინარეში არ უშვებდნენ. ჰქონდათ ცალკე ამოჭრილი ჭები, რომლებიც წყალს ფილტავრდნენ და ისე ჩაედინებოდა მდინარეში. ყველაფრის ნახვა იყო საინტერესო, შთამბეჭდავი და დაუვიწყარი.

მინდა, მადლობა გადავუხადო ქალბატონ ხათუნა მათიაშვილს. მან მთელი ოთხი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად იშრომა. საინტერესო ლექციებთან ერთად, მეტად საინტერესო იყო გასვლითი ლექციები, რომლებიც არასდროს დაგვავიწყდება. ეს იყო ჩვენი ბოლო გასვლითი ლექცია, რომელიც ასე შთამბეჭდავად დასრულდა და ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მერი ასპანიძე
ისტორიის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი

საინტერესო კონკურსი და მისი გამარჯვებულები

ფულბრაიტის პროგრამის ინგლისური ენის ასისტენტ-მასწავლებელმა **ჰანა ბრედშტაინმა** პროფესორ **გულიკო ჯანოვასთან** და ასოცირებულ პროფესორ **მაკა მურვანიძესთან** ერთად, კიდევ ერთ ტრადიციულ კონკურსს ჩაუყარა საფუძველი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 29 აპრილს, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა Spelling Bee-ს კონკურსი. კონკურსის ფარგლებში სტუდენტებს ევალებოდათ ინგლისური სიტყვების „სპელინგი“, რაც გულისხმობს სიტყვების ასოების ანბანური სახელწოდების მიხედვით გამოხატვას. ეს გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ვინაიდან ინგლისურ ენაში სიტყვები ისე არ გამოითქმის, როგორც იწერება.

კონკურსში მონაწილეობას იღებდნენ ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტები. კონკურსის დასასრულს გამოვლინდა გამარჯვებული ხუთეული: **ანნა პიჭიკიანი** (I ადგილი), **ნინო ხვედლიძე** (II ადგილი), **ტერეზა სეროპიანი** (III ადგილი), **ნინო ზედგინიძე** და **იგორ მანუელ პრეირა-სტეპანოვი.** კონკურსის ორგანიზატორებმა გამარჯვებულები წიგნებით დააჯილდოვეს, ხოლო ყველა მონაწილეს გადასცეს სერთიფიკატები.

პირველი ადგილის მფლობელი, IVკურსის სტუდენტი, ანნა პიჭიკიანი ამბობს, რომ მისი გამარჯვება მოულოდნელი და ძალზედ სასიხარულო იყო. ამისათვის მას დიდი ძალისხმევა დასჭირდა და მოხარულია, რომ შრომა დაუფასდა. მეორე ადგილზე ასევე, IV კურსის სტუდენტი, ნინო ხვედელიძე გავიდა. როგორც ის აღნიშნავს, დიდი გამოცდილება მიიღო და იმედოვნებს, მომავალში ეფექტურად შეძლებს მის გამოყენებას. ის მადლობას უხდის კონკურსის ორგანიზატორებს და ყველა მონაწილეს.

აღსანიშნავია, რომ კონკურსში მონაწილე სტუდენტები მოხარულნი არიან, რადგან უნივერსიტეტმა მათ შანსი მისცა, მონაწილეობა მიეღოთ მსგავს კონკურსში. როგორც კონკურსის ერთ-ერთი მონაწილე, I კურსის სტუდენტი, **მარიამ გელენიძე** ამბობს, მონაწილეობა Spelling Bee-ს კონკურსში იყო დიდი გამოცდილება, რომლის გამოტოვებაც, წაგების მიუხედავად, ნამდვილად არ ღირდა. კონკურსი ძალიან საინტერესო იყო. ჩემთვის მთავარი იყო მონაწილეობის მიღება და არა მოგება. – ამბობს **იგორ მანუელ პრეირა-სტეპანოვი.**

ნინო ზედგინიძე
ინგლისური ფილოლოგიის მე-4 კურსის სტუდენტი

ამჯერად, ჩვენი გაზეთის სტუმრები მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები – ნიკა გოგბიძე და ქრისტი ჩხიკვაძე არიან.

„თეატრი ის ჯადოსნური ადგილია, სადაც მსახიობს შეუძლია, უამრავ ფერში დაინახოს და შეიცნოს საკუთარი თავი“

– შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენი პირველი, სადებიუტო როლი? რომელი პერსონაჟი განასახიერეთ და რა ემოცია ახლდა თან?

– ქრისტი: ჩემს პირველ სადებიუტო როლად მივიჩნევ უნივერსიტეტში სწავლის დროს შესრულებულ საკურსო სპექტაკლს „დრო და ქონვეის ოჯახი”, რომელშიც უმცროსი დის, ჰეიზელის როლს ვთამაშობდი. ეს იყო ჩემი პირველი პროფესიული წარდგენა ფართო აუდიტორიის წინაშე, რაც ძალიან დიდ ემოციებთან და პასუხისმგებლობასთან ასოცირდება ჩემთვის. დიდი მადლიერების და ბედნიერების განცდა მქონდა სპექტაკლის დასასრულს, თუმცა, ისიც კარგად მახსოვს, როგორ ვნერვიულობდი სცენაზე გასვლამდე.

– ნიკა: ჩემი პირველი სადებიუტო როლი შედგა ზღაპარში „ნაცარქექია“. ძმიშვილის როლს ვთამაშობდი; 8 წლისა ვიყავი, თუმცა, კარგად მახსოვს მაყურებელთან გასვლამდე განცდილი ემოციები – სანამ ფარდა გაიხსნებოდა, მის უკან, სცენაზე ვიჯექი, ეიფორიას, ნერვიულობასა და დიდ პასუხისმგებლობას ერთდროულად ვგრძნობდი, რაც მაყურებლის ხმის გაგონებასთან ერთად უფრო გამიმძაფრდა.

– რთული იყო სამსახიობო კარიერის დაწყება და ამ სფეროში პირველი ნაბიჯების გადადგმა?

– ნიკა: გულწრფელად რომ ვთქვა, ჩემთვის – არა. ბავშვობიდან ვდგავარ სცენაზე, ხოლო სანამ თამაშს დავიწყებდი, კულისებში დგომა და გულშემატკივრობა მიწევდა ხოლმე. მოგეხსენებათ, ჩემი ოჯახის წევრები მსახიობები არიან, ამიტომ მეც პატარაობიდანვე მივეჩვიე ცხოვრების ამგვარ რიტმს. ვფიქრობ, უფრო პირველი, პროფესიული ნაბიჯები ამ საქმეში, საინტერესო უფრო იყო, ვიდრე რთული.

– ქრისტი: პირველი ნაბიჯების გადადგმა ამ პროფესიაში ჩემთვის უფრო საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი, თუმცა, რა თქმა უნდა, სირთულეების გარეშეც არ ჩაუვლია.

– რა გრძნობაა, როდესაც სცენაზე ერთად დგახართ, ერთ სცენაში მონაწილეობთ და იქაც თამაშობთ წყვილის როლს?

– ქრისტი: ჩემთვის ნიკასთან ერთად სცენაზე დგომა და თამაში ძალიან კომფორტულია, ვინაიდან ჩვენ ცხოვრებაშიც ძალიან კარგად ვიცნობთ ერთმანეთს. ეს პროცესი არის, გარკვეულწილად, აღმოჩენის, გამორკვევის, შეგუების, გაზიარების და ურთიერთგაგების დაუსრულებელი ციკლი. მეც და ნიკაც ერთობლივი მუშაობით და აქტიურობით ვზრდით, ვავითარებთ და ვაუმჯობესებთ ერთმანეთს.

– ნიკა: ჩემთვის, ქრისტისთან ერთად თამაში უფრო რთულია, ვიდრე მარტო. როცა ერთად ვთამაშობთ, ნერვიულობის ხარისხი და პასუხისმგებლობა ორმაგდება. ასეთ დროს ვფიქრობ არა მხოლოდ ჩემზე, არამედ ქრისტიზეც, რაც თამაშის დროს განცდილ შეგრძნებებს ამძაფრებს; ნერვიულობა, პასუხისმგებლობა, ბედნიერება და სათანადო პარტნიორობის გაწევა, ყველაფერი ერთად იყრის თავს.

– გქონიათ როლი, რომელიც იმდენად რეალური იყო, რომ თამაში გაგიჭირდათ?

– ქრისტი: თამაში არ გამჭირვებია. უბრალოდ, როლზე მუშაობისას აწყდები გარკვეულ სირთულეს, რომლის ამოხსნაც და მისი დაჯერება-გამართლება შეიძლება არცთუ ისეთი მარტივი აღმოჩნდეს. ასეთ დროს პერსონაჟს უნდა მოუძებნო ეგრეთ წოდებული „გასაღები”, რომელიც ამოხსნის გმირის ნამდვილ ზეამოცანას და რეზულტატამდე წარმატებით მიგიყვანს.

– ნიკა: როცა როლზე მუშაობას ვიწყებ, ჯერ რეალურ ადამიანებზე დაკვირვებას და ჩემი პერსონაჟის მათთვის შედარებას ვიწყებ. ძალიან მომწონს, როცა ჩემი შექმნილი პერსონაჟი რეალურია და დიდი კავშირი აქვს რეალურ ადამიანებთან. თეატრი არის ცხოვრება და ჩვენი განსახიერებული გმირებიც უნდა ჰგავდნენ რეალურ, ნამდვილ ადამიანებს.

– აკაკი წერეთლის „გამზრდელში“ საფარისა და ნაზიბროლას როლს ირგებთ. რიგითი მაყურებლისთვის კონკრეტული სცენის, სცენების ხილვა მეტად დამთრგუნველი და მძიმეა, გამომდინარე მისი რეალურობიდან. რთული იყო მუშაობის პროცესი?

– ნიკა: პროცესი რთული და, ამავე დროს, საინტერესო იყო, რადგან საფარბეგის პერსონაჟი, ჩემი პიროვნების აბსოლუტური ანტიპოდია, თუმცა, იმ აზრს ვეთანხმები, რომ ყველა ადამიანში არსებობს ნებისმიერი პერსონაჟი, ვინაიდან ჩვენ ვართ ყველაში ისევე, როგორც ყველაფერია ჩვენში. განსხვავება მხოლოდ ინდივიდების მიერ გაკეთებულ ცხოვრებისეულ არჩევანშია – როგორ მომავალს ვირჩევთ და რა საშუალებით ვაგრძლებთ მისკენ სვლას.

– ქრისტი: უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ ამგვარი სიტუაციის გათამაშება, ნიკასთან ერთად, პირველი გამოცდილება იყო ჩემთვის. ეს პროცესი ცალსახად რთული არ ყოფილა, თუმცა, იმის დაჯერება, რომ ადამიანი, რომელიც რეალურ ცხოვრებაში გიყვარს, შენზე ძალადობს... რაღაც დროს არასასიამოვნოა, მაგრამ ამ დროს გახსენდება, რომ ეს არის საქმე, პროფესია, შემოქმედება და ჩვენ პიესაში არსებული გმირების ცხოვრებას ვაცოცხლებთ სცენაზე.

– პერსონაჟზე მუშაობისა და შემდგომ მისი სცენაზე გადმოტანის პროცესში ყველაზე დიდი სირთულე რაში მდგომარეობს?

– ქრისტი: სცენაზე თამაშის დროს ყველაზე რთული, ჩემი აზრით, არის მსახიობის მიერ უკვე გათამაშებული – შესწავლილი სიუჟეტისა და ბიოგრაფიის გადმოტანა ისე, თითქოს ეს ყველაფერი ჯერ არ მომხდარა და ახლა უნდა მოხდეს, პროცესის გავლა იმ მომენტში, იმ კონკრეტულ ადგილას, ყოფნა მუდმივად აქ და ახლა.

– ნიკა: ჩემთვის ყველაზე რთული არის ის, რომ შეიძლება მსახიობი პერსონაჟის მორალსა და ღირებულებებს არ იზიარებდეს, მაგრამ მან როლი ისე უნდა მოირგოს და ითამაშოს, რომ ერთის მხრივ მაყურებელი მის სიმართლეში დაარწმუნოს და ემპათიის გრძნობა გაუჩინოს, ხოლო მეორეს

მხრივ დააჯეროს – ნებისმიერ ქმედებას თავისი მიზეზი აქვს.

– სცენას მართლა აქვს უხილავი ძაფები, რომელიც ადამიანს აჯაჭვებს და აღარ აძლევს გასაქანს, მის გარეშე იცხოვროს, თუ მას რაღაც უფრო სხვა სიღრმე აქვს, რომელსაც ხშირად სცენის მტვერის სიყვარულსაც უწოდებენ?

– ქრისტი: ალბათ, ინდივიდუალურია. ჩემთვის სცენას აქვს ყველაფერი ერთად: უხილავი ძაფებიც, სიღრმეც, მისტიურობაც, რომელიც აახლოებს და აჯაჭვებს მსახიობს სცენასთან.

– ნიკა: მარტივად რომ ვთქვა, თეატრი სამყაროა. ეს ის ჯადოსნური ადგილია, სადაც შენ, როგორც მსახიობს, შეგიძლია, საკუთარი თავი უამრავ ფერში დაინახო და უკეთ შეიცნო. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი დამოკიდებულს გხდის მასზე. მსახიობობა საკუთარი თავის აღმოჩენის, ზრდისა და განვითარების შეუქცევადი, მუდმივი პროცესია.

– ყველაზე ხშირად რა ემოციას გრძნობთ მაყურებლისგან?

– ნიკა: ყველაზე ხშირად აღფრთოვანებას ვგრძნობ...

– ქრისტი: ყველაზე ხშირად ემპათიას ვგრძნობ, თამაშის დროს მაყურებლისა და ჩემგან ენერგიის გაცვლა-გამოცვლის მომენტში, ხოლო სპექტაკლის დასასრულს მადლიერებას, ზოგჯერ ცრემლსაც.

– ადამიანისთვის სცენა, თეატრი არის ცხოვრება თუ ცხოვრებაა ერთი დიდი სცენა და თეატრი?

– ქრისტი: ჩემთვის თეატრი არის ცხოვრება, მაგრამ ცხოვრებაშიც არის მომენტები, როცა შეიძლება თავი პიესის გმირად წარმოიდგინო.

– ნიკა: როგორც ზემოთ აღვნიშნე, თეატრი არის ცხოვრება, თუმცა, დავამატებ იმასაც, რომ ასევე ცხოვრებაც არის თეატრი.

– გაქვთ ისეთი როლი, რომელსაც, შესაძლებლობა რომ გქონდეთ, დაივიწყებდით, რათა მასზე თავიდან მუშაობა შეგეძლოთ?

– ქრისტი: წარსულში შესრულებულ როლებში რაღაც ცვლილებებს შევიტანდი, თუმცა, მათი დავიწყება და თავიდან შექმნა არ მსურს. ალბათ, ჯერ არ მითამაშია ამგვარი გმირი და ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის.

– ნიკა: ზრდასთან ერთად, ადრე ნათამაშებ როლებში, ახლა შესაძლებლობა რომ მქონდეს, გარკვეულ ცვლილებებს, ალბათ, შევიტანდი, თუმცა, ფუნდამენტურს – არა.

– რა რჩევას მისცემდით ადამიანებს, დამწყებ, მოყვარულ, მომავალ თუ მოქმედ მსახიობებს, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად გამოადგებოდათ მათ?

– ნიკა: ვურჩევ, თითოეულ დეტალს უფრო მეტად დაუკვირდნენ. ამასთან, ყურადღებით დააკვირდნენ გარშემომყოფ ადამიანებს რეალურ ცხოვრებაში, ისინი, შესაძლოა, გარკვეულ ინსპირაციად გამოიყენონ.

– ქრისტი: შეინარჩუნონ ამ პროფესიის მიმართ სიყვარული, არ დაკარგონ ენთუზიაზმი და სურვილი მუდმივი მოძრაობის, განვითარების. ასევე, იყვნენ გუნდურები და არ დაკარგონ პატივისცემა კოლეგების მიმართ.

– ამ პროფესიის ყველაზე საინტერესო და, ამავე დროს, რთული მხარე რა არის?

– ქრისტი: ამ პროფესიის ყველაზე საინტერესო თვისება არის ის, რომ შეიცავს ყველა არსებულ დარგსა თუ პროფესიას, არის მულტიფუნქციური და მსახიობისთვის სირთულეც, ალბათ, ის არის, რომ იყოს მუდმივად აქტიური, ავთენტური და ორგანული, ჰქონდეს გამძლეობის, მოთმინების, ნებისყოფისა და მუდმივი, თავდადებული სიყვარულის უმაღლესი გრძნობა.

– ნიკა: ძიება და შენარჩუნება.

ინტერვიუერი
ნატალია ვარდიძე

ინფორმაცია

● **2-3 ივნისს,** (Erasmus+ ICM)-ის მობილობის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქმიანი ვიზიტით სლოვაკეთის რესპუბლიკის რუჟომბეროკის კათოლიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **მარტინ პინკოჟი** ეწვია.

საერთაშორისო მობილობის ფარგლებში იგი შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **მაკა ბერიძეს,** ადმინისტრაციის, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს.

სტუმარმა დამსწრე საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა არსებული მობილობების შესაძლებლობებზე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.

სჯსუს ადმინისტრაციის მხარდაჭერით სტუმარმა მოინახულა მხარეში მდებარე ისტორიული ძეგლები და კულტურული ღირსშესანიშნაობები.

რუჟომბეროკის კათოლიკური უნივერსიტეტი სჯსუ-თან 2019 წლიდან თანამშრომლობს და ამ წლების განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ჩართულობით, სტუდენტთა ოთხი და პროფესორ-მასწავლებელთა სამი მობილობა განხორციელდა.

● **2-8 ივნისს,** (Erasmus+ ICM)-ის პროფესორ-მასწავლებელთა მობილობის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ნუგზარ თევდორაძე** მონაწილეობდა საერთაშორისო მობილობაში რუმინეთში, კერძოდ – ქალაქ იასიში „Alexandru Ioan Cuza" სახელობის უნივერსიტეტში. მან სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს წაუკითხა ლექციები: **„პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების რამდენიმე საფუძველი, შედარებით სამართლებრივ ჭრილში".**

მობილობა დაფინანსებული იყო Erasmus+ -ის პროგრამის ფარგლებში, რაც კიდევ უფრო ხელშემწყობია პარტნიორ უნივერსიტეტებთან დაახლოების და ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის მხარდასაჭერად.

● **14 ივნისს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, გაცნობითი ვიზიტის ფარგლებში, სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაბაკინის საჯარო სკოლის მოსწავლეები, სჯსუ-ს წარმატებული კურსდამთავრებულის და ამჟამად ტაბაკინის საჯარო სკოლის გერმანული ენის პედაგოგის, **ლია წაქაძის** ორგანიზებით ეწვია.

მოსწავლეებს უნივერსიტეტის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა **მაია ქუქჩიშვილმა,** ხოლო გერმანული ენის კაბინეტში სტუმრებს უმასპინძლა და საჩუქრად წიგნები გადასცა გერმანული ენის ლექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ლალი ბერიძემ.**

აბიტურიენტებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს უნივერსიტეტში არსებული პროგრამების შესახებ.

შეხვედრას ორგანიზება გაუწია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

პირველი გაკვეთილის თანმხლები მღელვარება

მე ვარ მომავალი მასწავლებელი და ვფიქრობ, რომ ამ პროფესიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკას.

თავიდან მქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩვენს უნივერსიტეტში მეძლეოდა საშუალება, სწავლასთან ერთად, პრაქტიკებზე სიარულის, პატარებთან მუშაობის, ჩემი მორიდებულობის დაძლევისა და მიღებული ცოდნის გამოყენების. ძალიან დიდი ემოციით წავედი პირველ დღეს პრაქტიკაზე და, ამასთან ერთად, ნერვიულობაც იყო. როდესაც კლასში შევედი და დავინახე ამდენი ბავშვის ღიმილი, სიხარულის განცდა დამეუფლა, ყველა მათგანს ვუღიმოდი. მინდოდა, თითოეულთან მივსულიყავი ახლოს...

დაიწყო გაკვეთილი, სია ამოიკითხა მასწავლებელმა. ვცდილობდი, ყველა დამემახსოვრებინა სახეზე. როდესაც ცოტა მომეშვა დაძაბულობა, მასწავლებელმა მთხოვა, რომ ბავშვებისთვის დავალებები შემემოწმებინა. ყველამ სათითაოდ მომიტანა რვეული და მომმართავდნენ, როგორც მასწავლებელს – თაკო მასწავლებელო, აგერ, ჩემი დავალების რველიც... ამ მომართვამ დიდი ემოცია დატოვა ჩემში, ვერ წარმოვიდგენდი თუ ოდესმე ვიქნებოდი მასწავლებელი და ბავშვები ასე მომმართავდნენ. შევუსწორე დავალებები, რაც რთული აღმოჩნდა, რადგან ვღელავდი, ბავშვებისთვის შეუფერებელი შეფასება არ დამეწერა. მინდოდა, ისინიც წამეხალისებინა და, ამასთან, სამართლიანი ვყოფილიყავი პირველივე ჯერზე. ყველამ ძალიან კარგი შეფასება მიიღო და მათი ბედნიერი სახეები დღემდე მახსოვს. ერთ-ერთ მოსწავლეს, როგორც ვიგრძენი, ძალიან მოვეწონე და თმისამაგრებიც კი მაჩუქა – ეს თქვენ, თაკო მას... იმწამსვე გავიკეთე, რათა მეგრძნობინებინა, რომ მეც ძალიან მომეწონა. ამ დროს ზარიც დაირეკა. გაკვეთილი დასრულდა. ბავშვები სწრაფად ადგნენ და დერეფანში გავიდნენ. მე კი ვესაუბრებოდი მათ მასწავლებელს, რომელიც მაძლევდა რჩევებს, მიყვებოდა თავისი პირველი გაკვეთილის შესახებ, რამაც უფრო მეტად წამახალისა.

წასვლის დროს, გასასვლელში, ბავშვები დიდი სისწრაფით გამოიქცნენ ჩემკენ, მთხოვდნენ, რომ კიდევ მივსულიყავი... მე, რა თქმა უნდა, დავპირდი, რომ აუცილებლად მივიდოდი კიდევ ბევრჯერ. ასეთი სიყვარულით გამომაცილეს. მეც საოცრად კმაყოფილი ვიყავი ამ დღით, რომელმაც კიდევ ერთხელ დამაფიქრა ჩემს პროფესიაზე და მიმახვედრა, რომ სწორი გზა ავირჩიე, რომ ეს ის პროფესიაა, რომელიც მე მჭირდება. დავრწმუნდი იმაშიც, რომ ძალიან სასიამოვნოა პატარებთან ურთიერთობა.

დღემდე უკვე ძალიან ბევრი პრაქტიკის დღე მქონდა და ამ ყველაფერმა უფრო მეტი რამ მასწავლა, სტიმული მომცა და თავდაჯერებული გავხდი. კლასში შესვლისას აღარ ვღელავ, ვიცი, რა უნდა გავაკეთო და როგორ უნდა გამოვიყენო ჩემი თეორიული ცოდნა პრაქტიკაში. ეს ყველაფერი კი ძალიან დამეხმარა თვითრეალიზაციაში.

თამარ ტაბატაძე
დაწყებითი განათლების საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 კურსის სტუდენტი

დაუვიწყარი ექვსი თვე სლოვაკეთში

საზღვარგარეთ სწავლა და მოგზაურობა, ალბათ, ყველა სტუდენტის ოცნებაა. ამ სტუდენტთა შორის ერთ-ერთი მეც ვიყავი. სჯსუ-ში სწავლის დაწყების პირველივე დღიდან მქონდა მიზანი, გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ მესწავლა.

უნივერსიტეტი არის ადგილი, სადაც ყველა სტუდენტის ოცნების ახდენა შესაძლებელია, მათ შორის, ჩემიც. Erasmus+ -ის მობილობის ფარგლებში გავხდი გაცვლითი პროგრამის გამარჯვებული, მოვიპოვე გრანტი და სწავლა გავაგრძელე სლოვაკეთის რუზომბეროკის უნივერსიტეტში. დარწმუნებული ვიყავი, რომ კარგად ჩაივლიდა ყველაფერი, მაგრამ არ მეგონა, ამდენად აღფრთოვანებული თუ დავრჩებოდი. ეს იყო დაუვიწყარი 6 თვე ჩემს ცხოვრებაში, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემს განვითარებაში.

ჩემი მთავარი მიზანი იყო ახალი კულტურის შესწავლა, ასევე ვგრძნობდი უდიდეს პასუხისმგებლობას, რომ ჩვენი კულტურა გამეზიარებინა ევროპელებისთვის. ამ მიზნით, პირველი რაც გავაკეთე, ჩემი ახალი უცხოელი მეგობრები ქართულ რესტორანში წავიყვანე. მახსოვს, რამდენად აღფრთოვანებულნი დარჩნენ ჩვენი კერძებით. ფრანგმა გოგონამ კი თქვა: „პირველი, რასაც გავაკეთებ საფრანგეთში დაბრუნებისას, ვესტუმრები ქართულ რესტორანს." მან ნამდვილად გააკეთა ეს, საფრანგეთში დაბრუნებისთანავე, ინსტაგრამ გვერდზე გააზიარა ჩვენი კერძები. რა თქმა უნდა, შევისწავლე მათი კულტურაც – სლოვაკური ენა, ისტორია და ა.შ. ვესტუმრეთ ისტორიულ ადგილებს და მუზეუმებს.

ჩემი აზრით, პირველი რამ, რაც აჩერებს სტუდენტს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისგან, არის შიში საზღვარგარეთ მარტო ცხოვრების. ეს ასე არ არის.

თებერვალი იყო, ჩავფრინდი სლოვაკეთში. ეს იყო ჩემი პირველი გამოცდილება მარტო მოგზაურობის. თუმცა, როგორც ჩვენი, ისე სლოვაკეთის უნივერსიტეტებიდან მიღებულმა მხარდაჭერამ და დახმარებამ არ მომცა შიშის უფლება. ჩასვლისთანავე დამხვდა ჩემი კოორდინატორი, გამაცნო ქალაქი, უნივერსიტეტი და სტუდენტთა საცხოვრებელი, სადაც უნდა დავრჩენილიყავი.

პროგრამაში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. აქედან გამომდინარე, მეგობრები შევიძინე სამყაროს სხვადასხვა კუთხიდან. ყოველი დღე განსხვავებული იყო მეორისგან, სავსე ემოციებითა და შთაგონებით. ჩვეულებრივად ვესწრებოდით ლექციებს, რომლებიც ჩვენ მიერ იყო არჩეული. სიტყვებით ვერ გადმოვცემ, რამდენად საინტერესო და ნაყოფიერ ლექციებს ვესწრებოდი. ჩემი სასაუბრო ინგლისური ნამდვილად გაუმჯობესდება, რადგან ლექციებს კითხულობდნენ ინგლისურენოვანი ლექტორები. ვმონაწილეობდი სხვადასხვა სტუდენტურ აქტივობებში. მაგალითად, ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებმა დამპატიჟეს პოდკასტზე, სადაც სხვადასხვა საკითხები განვიხილეთ. ამ პროგრამის უდიდესი უპირატესობა არის ის, რომ სწავლასთან ერთად მოგზაურობის შესაძლებლობაც გექნებათ.

6 თვის განმავლობაში ვიმოგზურე 10 ქვეყანაში, მათ შორის ვნახე საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი და ა. შ. საზღვარგარეთ სწავლა დამეხმარა პიროვნულ და კარიერულ განვითარებაში, შევიძინე მრავალი უნარი, რომელიც ძალიან დამეხმარება ჩემს მომავალ კარიერაში. მადლობა სჯსუ-ს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ამ არაჩვეულებრივი შესაძლებლობისთვის.

სილვა პეტროსიანი
ინგლისური ფილოლოგიის მე-3 კურსის სტუდენტი

„ჩვენ ვირჩევთ, ვინ გვინდა ვიყოთ“

ვარსენიკ ვართანიან – ასე ჟღერს იმ გოგონას სახელი და გვარი, ვინც საზოგადოებასა და უნივერსიტეტს თავი არა მარტო კარგი სწავლით, არამედ პოლიგლოტობის საოცარი უნარით დაამახსოვრა. მასზე საუბრისას ყველას განსხვავებული რეაქცია და ემოცია აქვს. იგი ინგლისური ფილოლოგიის მეოთხე კურსის სტუდენტია, მისი მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება ნელ-ნელა დასასრულისკენ მიდის და ბოლო აკორდებს ითვლის... ბევრი სირთულის, წყენისა თუ გაუგებრობის მიუხედავად აქაური გარემოს მიტოვება უძნელდება, მაქსიმალურად უნდა, ყველა ის მოგონება ღრმად ჩაიბეჭდოს გონებაში, რომელიც ამ ოთხ წელს ახლდა თან. მომავალს არ უფრთხის, იმედიანად შეჰყურებს და სჯერა, რომ ამ სამყაროში საკუთარ როლსა და თავის წილ პასუხისმგებლობას პირნათლად გაართმევს თავს.

ვარსენიკს (მეგობრებისთვის, უფრო შინაურულად, ვარსს) არასდროს უოცნებია, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაეგრძელებინა ბაკალავრის საფეხურზე სწავლა, მას უფრო სხვა გეგმები და მიზნები ჰქონდა, თუმცა, ამჟამინდელი გადმოსახედიდან ამ ნაბიჯს არცერთი წამით არ ნანობს. ქართულ ენაში მოსამზადებელ, ეგრეთწოდებულ, ნულ კურსზეც სწავლობდა. მართალია, ენა თავიდანვე კარგად იცოდა, მაგრამ ასე უფრო მარტივი იყო, ნაცვლად იმისა, რომ ოთხი საგანი ჩამებარებინა, ერთი გამოცდით ჩავბარე, პლუს ენაც უფრო გავაუმჯობესე და დავხვეწეო, აღნიშნავს იგი.

ლექტორებთან მეგობრული და ახლო ურთიერთობა აქვს, მათი დანახვისას მუდამ იმის შეგრძნება აქვს, რომ აუცილებლად უნდა მოიკითხოს, კომუნიკაციაში შევიდეს და მხოლოდ ამის შემდეგ გააგრძელოს გზა.

ვარსის წარმატებასა და წინსვლაში ლექტორებს, მის უფროს მეგობრებს, განუზომლად დიდი როლი აქვთ. აღნიშნავს, რომ არა ისინი, აქამდე მოსვლა გაუჭირდებოდა: **ყოველთვის ვამბობ, რომ ქალბატონი გულიკო ჯანოვა არის პიროვნება, ვინც ჩემში აანთო ჩამქრალი ნაპერწკალი, მან დამაყენა სწორ გზაზე, იმედი ჩამისახა და დამეხმარა, ყოველთვის მზად იყო, ჩემს გვერდით ყოფილიყო. არ მომცა დანებების უფლება. და მაინც, ჩემი სტუდენტური წლების უმნიშვნელოვანესი პიროვნება, ქალბატონი მაია მესხიძე, ოხ, როგორ ვთქვა და გადმოვცე მისი მნიშვნელობა და ადგილი ჩემს ცხოვრებაში, არ ვიცი. ქალბატონი მაია იყო ის, ვინც უდიდესი წვლილი შეიტანა, რომ ასეთი ადამიანი გავმხდარიყავი. მაია მესხიძე ჩემთვის ცალკე სამყარო და ოჯახის წევრივითაა. მთლიანი დედამიწა ერთ მხარეს და მაიკო – ცალკე.**

ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ მის ცხოვრებაში ძალიან დიდი როლი აქვს უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციას, ლექტორებსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც მის შრომასა და ძალისხმევას ხედავს. ვარსი ამჟამად ხუთ ენაზე საუბრობს, მეექვსეს სწავლობს, ხოლო დამატებით ფლობს ჟესტების ენას საბაზისო დონეზე. სხვების მხრიდან ამის ხმამაღლა გაჟღერება, ერთის მხრივ, საამაყო, ხოლო მეორეს მხრივ – უხერხულია მისთვის. როგორც თავად ამბობს, ენები თავისით „შემოესწავლა“, განსაკუთრებული სტიმული და მიზანი არ ჰქონია, რომელიმე მათგანს დაუფლებოდა, მაგრამ ერთ დღეს, თავისდაუნებურად, გააცნობიერა, თუ როგორი დიდი მიდრეკილება ჰქონდა, მარტივად აეთვისებინა ახალი სასაუბრო ენა. ჟესტების ენა საბაზისო დონეზე, სულ რაღაც, სამ გაკვეთილში ისწავლა.

ვარსენიკი საკუთარ თავს, სომხურ-თურქულ გადაუჭრელ საკითხში, როგორც მშვიდობის ელჩს, ისე ხედავს. თუქრული ენა უნივერსიტეტში ძალიან პრაგმატული და მარტივი მიზეზის გამო აირჩია, თუმცა, მალევე გააანალიზა, რომ ამ ყველაფერს რეალურად უფრო ღრმა მიზეზი და საფუძველი ჰქონდა. დადებითი ემოციებით ივსება, როცა თურქეთზე, იქ გატარებულ დროსა და იმ მოგონებებზე საუბრობს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში დააგროვა. მიზნად დაისახა, რომ ერებს შორის მშვიდობა და თანასწორობა დამყაროს, რასაც წარმატებით ართმევს თავს. საზოგადოების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია; ეროვნებით სომეხია, ამიტომ არაერთი სირთულისა და წინაღობის გადალახვა უწევს მთელი ამ პროცესის განმავლობაში, თუმცა, სიამაყით აღნიშნავს, რომ ბევრმა ადამიანმა დამოკიდებულება შეცვალა და არსებული რეალობა სულ სხვანაირად დაინახა, რაც მისი პირადი გამარჯვებაა.

მეორე კურსის შემდეგ, ზოგადად, სწავლისა და თურქულისადმი განსაკუთრებული ინტერესი გაუჩნდა, გადაწყვიტა, საკუთარი თავისა და წარმატებისთვის უფრო მეტი გაეკეთებინა, გადაელახა ბარიერები და ებრძოლა. შრომა დაუფასდა და მალევე ესტურმა თურქეთს, მისი წინაპრები ერზრუმიდან და ყარსიდან იყვნენ, სწორედ იმ ადგილიდან, სადაც ვარსენიკმა თურქეთში პირველად ვიზიტისას ათი დღე დაჰყო. **ოდესმე გიგრძვნია, რომ სული გიყვავდება? განსაკუთრებულ ბედნიერებას რომ გრძნობ და ჰარმონია გეუფლება? ყოველ ჯერზე ასე მიყვავდება შინაგანი სამყარო იქ ყოფნისას. –** გვეუბნება გაბრწყინებული სახით.

თურქეთი მისი ცხოვრებისა და ყოველდღიური ყოფის განუყოფელ ნაწილად იქცა, არასდროს არ ტოვებს იდეა, რომ თავად უნდა გახდეს ამ ორ ერს შორის სრულფასოვანი მშვიდობის ელჩი, უნდა იყოს ის, ვინც ამდრომდე გადაულახავ და დაუძლეველ პრობლემას ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარებს. ჯაჭვური რეაქციის საწყისი თავად გახდა, ახლა კი, სხვებმაც უნდა შეიტანონ საკუთარი წვლილი და, საბოლოო ჯამში, ერთობლივი ძალებით შეძლონ, საერთო საქმეს წარმატებით მიაღწიონ. არცერთი წამით არ ავიწყდება თავისი ისტორიული სამშობლო, მისი ტრაგედია, გადატანილი სირთულე თუ ის წინაღობები, რაც არაერთგზის გამოუცდია სომხეთს, თუმცა, ვარსენიკისთვის ადამიანები, ადამიანური ღირებულებები და მშვიდობა ნებისმიერ კონფლიქტსა თუ დაპირისპირებაზე მაღლა დგას, ამიტომ საკუთარი გულისა თუ გონების კარს ყოველგვარ სიახლეს ფართოდ უღებს.

მთავრდება სტუდენტობის წლები და მის პარალელურად ახალი შესაძლებლობები, სავალი გზები და ასპარეზი ჩნდება ვარსის ცხოვრებაში. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, თავის საყვარელ პროფესორ-მასწავლებლებსა და იმ ადამიანებთან უწევს განშორება, ვინც ბევრი რამ შეცვალა მის ცნობიერებაში. ამაზე ფიქრი მას აღონებს, თუმცა, ძალას აძლევს ის ფაქტი, რომ მოგონებები არასდროს დატოვებს. მუდამ ემახსოვრება ის ამბები, რაც უნივერსიტეტმა ხუთი წლის განმავლობაში აჩუქა და მისცა.

მისი მთავარი ძალა მხარდამჭერი ადამიანები იყვნენ, ის ხალხი, ვისაც უპირობოდ სჯეროდა მისი. ონლაინ სწავლა უჭირდა, ფეხი ვერ აუწყო ამ სისტემას, თუმცა, მესამე კურსიდან ნაბიჯ-ნაბიჯ, სტაბილურად და მიზანდასახულად მიიწევდა წინ: **გაცვლითი პროგრამით რამდენჯერმე ვიმყოფებოდი თურქეთსა და სომხეთში. ორივეგან ჩემი სამშობლოს წარმომადგენელი ვიყავი. ვფიქრობ, ადამიანს ყოველ წამს უნდა გახსოვდეს, რომ საქართველოდან ხარ, მთლიანი უნივერსიტეტისა და ქვეყნის სახე ხარ საზღვრებს გარეთ; სად – მნიშვნელობა არ აქვს, როცა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით ხარ, უნდა აჩვენო, რომ ჩვენ აქ პატარა ოჯახი გვაქვს, ბევრი შესაძლებლობით.**

ვარსენიკი იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ერთდროულად სამი ქვეყნის წარმომადგენელია. იგი საკუთარ თავში აერთიანებს სომხეთს, საქართველოსა და თურქეთს. ერთდროულად უყვარს სამივე და ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი გააკეთოს. ბევრი ისტორია აქვს, მათ შორის, იმასთან დაკავშირებით, რომ მას, როგორც სომეხს, ხშირად ვერ უგებენ, არ ესმით მისი, როდესაც ხედავენ, თუ როგორი მიმღები, ღია, შემწყნარებელი და თავისუფალია სხვა ქვეყნისა და ეროვნების წარმომადგენელების, მათ შორის, თურქების მიმართ.

სტუდენტებს ურჩევს, რომ არ დანებდნენ და სჯეროდეთ – ცხოვრების ღრუბლიან დღეს ერთადერთი მიზანი აქვს ჩვენს ყოფიერებაში, ის გვამცნობს, რომ უნდა დავისვენოთ. ყველაფრისთვის უნდა იყოს ადამიანი მზად. ხოლო, როდესაც ბევრი მუშაობის შემდეგ ცაზე ღრუბელი ჩნდება, ეს ნიშნავს, რომ დასვენების დროა. ვარსი აღნიშნავს, რომ ეს არც წაგებას, არც დამარცხებასა და დაცემას არ ნიშნავს. ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ უნდა დავისვენოთ. ცხოვრებას პოზიტიურად უყურებს და, უამრავი სირთულის მიუხედავად, სჯერა, რომ მზე აუცილებლად გამოანათებს, გაფანტავს ღრუბლებს და მზადება მზიანი დღეებისთვის აუცილებლად გამოიღებს კარგ შედეგს.

ნატალია ვარდიძე
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

რატომ ავირჩიე ისტორიის სპეციალობა

მეხუთე კლასში ვიყავი, როდესაც დავიწყეთ ისტორიის საგნის შესწავლა. დამაინტერესა თუ როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, რა წესჩვეულებები ჰქონდათ, როგორ შეინარჩუნეს ჩვენი კულტურა და ტრადიციები.

როდესაც სკოლაში მსოფლიო ისტორიის საგანი დაგვემატა, უფრო საინტერესო ხდებოდა ისტორიის შესწავლა. დამაინტერესა, თუ რა ხდებოდა სხვადასხვა საუკუნეში საქართველოში და, პარალელურად, მსოფლიოში.

მე-12 კლასში უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ისტორიის სპეციალობას ავირჩევდი, ამ მიმართულებით ჩავაბარებდი და ისტორიკოსი გავხდებოდი. დიდია ჩემი ისტორიის მასწავლებლის როლი პროფესიის არჩევის დროს.

ერთ დღეს სკოლაში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გვესტუმრა და უნივერსიტეტის შესახებ დეტალურად მოგვაწოდა ინფორმაცია. სხვა უნივერსიტეტის არჩევა არც მიფიქრია. ეროვნული გამოცდების განაცხადში მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტი ჩავწერე.

ჩავაბარე და საუკეთესო სიტუაციაში მოვხვდი, პროფესიონალი ადამიანების გვერდით. ლექტორები ჩვენი მეგობრებიც გახდნენ. სტუდენტებისადმი მათი დამოკიდებულება და პროფესიონალიზმი გვაძლევს იმის მოტივაციას, რომ ვიყოთ სწავლაზე ორიენტირებულები და გავხდეთ ჩვენი საქმის პროფესიონალები.

მაინორ პროგრამის არჩევის დროს კიდევ ერთი საინტერესო გამოწვევის წინაშე დავდექი. მაინორად მასწავლებლის მომზადების პროგრამა ავირჩიე, რადგან მსურს ვასწავლო ბავშვებს ჩვენი ქვეყნის ისტორია და ჩემი ცოდნა გადავცე. ილია ჭავჭავაძის სიტყვებს მოვიშველიებ: „ერი მაშინ წაიბილწების, როდესაც საკუთარი ქვეყნის და ხალხის ისტორიას დავიწყებს“. მსურს ილიას, აკაკის, იაკობის გზა გავაგრძელო და გადავცე მომავალ თაობას ჩვენი წინაპრების ისტორია, თუ რგორი ბრძოლით და თავდადებით შეინარჩუნეს ჩვენი ქვეყნის კულტურა და ტრადიციები.

გიორგი კაჭკაჭაშვილი
ისტორიის სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტი

პროფესია, რომელმაც საკუთარი თავი მაპოვნინა

სტუდენტობა პიროვნული და გონებრივი აღმაფრენის ლამაზი პერიოდია, დროის მონაკვეთია, რომლის განმავლობაშიც ახალგაზრდებს ირგვლივ ყველაფერი განსაკუთრებულად და ფერადად მიაჩნიათ.

დავრწმუნდი, რომ ცხოვრების ამ ეტაპზე გადასულს მომიწევდა ახალ სამყაროში, ახალ რეალობაში შესვლა, ასევე, იმ გზის გავლა, რომლის დასრულების შემდეგაც არ ვინანებდი, რასაც ამ გზაზე შევეჭიდებოდი.

პირველი კურსის დასრულებამდე უცხო გარემოს ეჩვევი, ეჩვევი და გგონია, რომ თითქოს ახალბედა პერსონაჟი ხარ იმ თავგადასავლის, რომელსაც სტუდენტობა ჰქვია. ფიქრობ, რამე არ შეგეშალოს, არ მოიქცე ისე, რომ ხვალ, ზეგ და, ზოგადად, მომავალში ჩამოგენგრეს ის კაპიტალი, რომელიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დააშენე ერთმანეთს მცირე აგურების მსგავსად.

მეორე კურსის სტუდენტის სტატუსის ტარება სულ სხვა ელფერსა და მნიშვნელობას ატარებს ჩემთვის. უკვე იცი სტუდენტობის არსი და შენზე უმცროსებს, პირველკურსელებს ეხმარები საჭიროებისამებრ, უწვდი დახმარების ხელს. მათგან წამოსული მადლიერების გრძნობა უფრო მეტად გაძლევს მოტივაციას და შემართებას, რომ არ დაკარგო რწმენა და სიყვარული იმ საქმის, რომელიც აირჩიე მომავლის განუყოფელ ნაწილად.

პროფესია მიმაჩნია ადამიანის ცხოვრების თანმდევ ნაწილად, რადგან პროფესიის გარეშე ადამიანი თითქოს შედევრია მნიშვნელოვანი დეტალის გარეშე...

გახლავართ ჩვენი მშობლიური სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი და ვთვლი, რომ ჩემ მიერ არჩეული პროფესია ფაქიზი და განსაკუთრებულია. რატომ? იმიტომ, რომ შენ ხარ მომავალი ვეტერინარი, ცხოველის ერთადერთი იმედი გაჭირვებისა და ჯანმრთელობის გაუარესების დროს. სწავლობ, თუ როგორ გაუგო მათ უსიტყვოდ, მათ ხომ საუბარი არ შეუძლიათ და ვერ გახვედრებენ, რა გასაჭირში არიან. ცხოვრობ მათთან ერთად და ეს პროცესი სიამოვნებას განიჭებს. შესაბამისად, გარწმუნებს, რომ შენ ხარ იქ, სადაც საკუთარი თავი უნდა იპოვო. გარდა ამისა, ცხოველებთან ურთიერთობის შედეგად ადამიანებსაც ადვილად უგებ და მარტივად შედიხარ მათთან კომუნიკაციაში. შესაბამისად, მეტად სოციალური ხდები, რაც თანამედროვე ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია.

როდესაც შენი თანატოლი ახალგაზრდები გკითხავენ რჩევას პროფესიულ საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობ, რომ ამ ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი ადამიანი ვარ, რადგან საკუთარი მომავლის მნიშვნელოვანი და მასულდგმულებელი საკითხის შესახებ მკითხეს რჩევა, მენდნენ და პატივი დამდეს, გავმხდარიყავი მათი მომავალი თავგადასავლის მრჩეველი და შთაგონების წყარო.

პროფესიის არჩევისთვის ასაკსა და სხვა ფაქტორებს მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია გქონდეს სულისკვეთება და ყველაფერი შესანიშნავად იქნება.

ჩემი მცირე რჩევაა – „დაიდე ბინა იქ, სადაც არ ჩათვლი, რომ ზედმეტი ხარ“. მე ავირჩიე ვეტერინარია და ვთვლი, რომ სწორ „ბინაში“ მოვხვდი. აირჩიე ისეთი პროფესია, რომლის თავგადასავალსაც მრავალფეროვნებას შენ შემატებ...

პაკო ტატალაშვილი
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი

წითელი ფარდის მიღმა
რისკები და გამოწვევები ვეტერინარულ მედიცინაში

ვეტერინარული სამყარო ნაქსოვია თანაგრძნობით, ერთგულებითა და ცხოველებისადმი სიყვარულით. კულისებში ვეტერინარები ემოციების რთულ პეიზაჟში მოძრაობენ. ოთხფეხა მეგობრების განკურნების სიხარულიდან დაწყებული, დაღუპვის გულისტკივილით დამთავრებული.

ცხოველთა მოვლის სამყაროში ვეტერინარები დგანან, როგორც ჩუმი მეომრები. თეთრი ხალათების, ფონედესკოპების მიღმა დგას რისკებისა და გამოწვევების სამყარო. ვეტერინარულ მედიცინაში არაღიარებული გმირების ფსიქოლოგიის გაგება ნათელს ჰფენს მათ გამძლეობას, დისციპლინასა და მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს. ფსიქოლოგიური მოთხოვნების მიუხედავად, ისინი არ წყვეტენ სიყვარულის გაცემას ჩვენი საყვარელი ოთხფეხა მეგობრების მიმართ.

მნიშვნელოვანია აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ ვეტერინარიის გადმოსახედიდან ერთ-ერთი ყველაზე ღრმა ფსიქოლოგიური გამოწვევა ევთანაზიაა ანუ ცხოველისათვის სიცოცხლის შეწყვეტა და მიღებული ემოციური ზარალი.

ვფიქრობ, საჭიროა, ვეტერინარებმა შეძლონ წარმატებული შედეგებისა და მარცხით დასრულებული ოპერაციების დაბალანსება და ასევე, თითოეული რისკისა და გამოწვევის შეფასება, როგორც ცხოვრების რუტინა.

კლინიკის წითელი ფარდის მიღმა ვეტერინარები დგანან თავიანთი თემის საყრდენად. დღესდღეობით, ბევრი ვეტერინარული კლინიკა ცდილობს მიუსაფარი ცხოველების დახმარებას, მათი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებების გატარებასა და მათთვის მზრუნველი ოჯახის აღმოჩენას.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი ადამიანი რისკზე მიდის და ჩვენი ოთხფეხა მეგობრების კეთილდღეობაზე საკუთარი ფინანსური ძალებით ზრუნავს. მაშინაც კი, როდესაც ცხოველს შეიძლება ჰქონდეს მძიმე დამწვრობა ან მოტეხილობა, სწორედ ამგვარი უხილავი გმირები უზრუნველყოფენ მათ კეთილდღეობას.

აქვე ხაზგასმით მინდა ვთქვა ცხოველთა თავშესაფრების მნიშვნელობაზეც, თუ რაოდენ დიდი მისია აკისრიათ მათ არსებობას და რაოდენ დიდი როლი უჭირავს უსახლკაროდ მიტოვებული ცხოველების ცხოვრებაში. ასევე მნიშვნელოვანია, მოხდეს ცხოველთა გაშვილების პროცესის ხელშეწყობაც.

პროფესიის ფარგლებში, ვეტერინარები ხშირად აწყდებიან ეთიკურ დილემას: როგორ გაუმკლავდნენ ცხოველთა ძალადობისა და უზრუნველყოფის, მათი მიტოვების საკითხებს, რაც დღევანდელობის გამოწვევად რჩება კვლავ, ისევე როგორც თავშესაფრების არსებობა.

ვეტერინარული რისკებისა და ემოციების ლანდშაფტების გარდა, ვეტერინარისთვის დისციპლინა ვეტერინარული მედიცინის ქვაკუთხედია. აუცილებელია, რომ მათ შეინარჩუნონ პროფესიონალიზმის მაღალი სტანდარტები და, უბრალოდ – სიმშვიდე, რთულ სიტუაციებში საკუთარი ემოციური რეაქციების სამართავად.

ამგვარად, მოცემულობიდან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ვეტერინარები არიან არაღიარებული გმირები, რომლებიც ვეტერინარულ მედიცინაში აჩვენებენ გამძლეობას, თანაგრძნობასა და თავდადებას ცხოველთა ჯანმრთელობისა და ურყევი ერთგულების მიმართ, მიუხედავად თანდაყოლილი რისკებისა და გამოწვევებისა, რომლებსაც ყოველდღიურად აწყდებიან.

თეიგიზ მელიქიძე
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი

„ქუდები ცაში!" – 2024

24 ივლისს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კურსდამთავრებულები გააცილა. საზეიმო ცერემონია პირველი სასწავლო კორპუსის ეზოში გაიმართა. ამაღლებული განწყობა დილიდანვე იგრძნობოდა. კურსდამთავრებულები მათთვის საგანგებოდ მორთულ სივრცეში შეიკრიბნენ. უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინიციატივით, სამახსოვრო ფოტოსურათებისთვის რამდენიმე სივრცე მოეწყო.

ამ დღეს უნივერსიტეტს კურსდამთავრებულთა მშობლები, მეგობრები, მათი სკოლების დირექტორები და პედაგოგები, სამხარეო ადმინისტრაციის, საკრებულოს და ახალციხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, რესურსცენტრის წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები და ყველაზე საპატიო სტუმრები – კურსდამთავრებულთა შვილები ესტუმრნენ.

სტუდენტური ჰიმნის ფონზე, უნივერსიტეტის ეზოში, კურსდამთავრებულებმა მათთვის განკუთვნილი ადგილები დაიკავეს. აჟღერდა საქართველოს ჰიმნი. შეკრებილ საზოგადოებას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე** მიესალმა. მან კურსდამთავრებულებს ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხის მინიჭება მიულოცა. რამდენიმე წელია, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმატებულ კურსდამთავრებულებს, მათი სკოლის დირექტორებს, მათ მშობლებს სამადლობელი სიგელებით აჯილდოვებს საზეიმო ცერემონიალზე.

კურსდამთავრებულებს მიესალმნენ და სიგელებით დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა – **ილია ზარდიაშვილმა** და **ვაჟა გაჩეჩილაძემ,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა – **დავით ტაბატაძემ** და **საბა კბილაშვილმა,** სახელმწიფო რწმუნებულის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა **გოჩა ბერიძემ,** ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა **ხათუნა ხმალაძემ.** კურსდამთავრებულებს, ასევე, მიესალმნენ რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე,** ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **ცისკარა ზარანდია,** იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი **დავით ხობელია.**

აღსანიშნავია, რომ საზეიმო ცერემონიალზე ქალბატონმა მაკამ საიუბილეო თარიღი მიულოცა ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს, პროფესორ **გივი ბუცხრიკიძეს** და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

კურსდამთავრებულებმა მადლობა მოახსენეს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს საუკეთესო წლების გატარებისთვის. დასასრულს, გაიმართა ქუდების ცაში ასროლის ტრადიციული ცერემონია.

* * *

კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილების ცერემონია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში 26 ივლისს გაიმართა. ღონისძიებისთვის კურსდამთავრებულები, მათი მეგობრები, ოჯახის წევრები, შვილები ახალქალაქში მდებარე მესამე სასწავლო კორპუსში დილიდანვე შეიკრიბნენ. საზეიმო ცერემონია უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** გახსნა. მან კურსდამთავრებულებს მიულოცა უნივერსიტეტის დასრულება და წარმატებული მომავალი უსურვა. სამადლობელი სიგელებით აღნიშნულ ღონისძიებაზეც დაჯილდოვდნენ წარმატებული კურსდამთავრებულები, მათი სკოლის დირექტორები და მშობლები. დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს და წარმატებული მომავალი უსურვეს კურსდამთავრებულებს ახალქალაქის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **ტერეზა ჩივჩიანმა,** კუმურდოსა და სულდის საჯარო სკოლის დირექტორებმა. სიტყვით გამოვიდნენ – რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი **მერაბ ბერიძე,** რექტორის მოადგილე მესამე კორპუსში, ასოცირებული პროფესორი **ვასილ მოსიაშვილი.**

კურსდამთავრებულებმა მადლობა გადაუხადეს პროფესურას, თანამშრომლებს უნივერსიტეტში გატარებული საუკეთესო წლებისთვის. საზეიმო ცერემონიალის დასასრულს, გაიჭრა ტორტი. დასასრულს, გაიმართა ქუდების ცაში ასროლის ტრადიციული ცერემონია.

ლიკა ზაზაშვილი

წლები, რომლებსაც შეუძლია შეცვალოს მომავალი

5 წელი – ამ წლებმა ყველაზე დიდი ღირებულებები და მოტივაციის უსაზღვრო შესაძლებლობები დამანახა. მაგრძნობინა, რომ მთავარია გჯეროდეს საკუთარი თავის. ენერგიის ბოლო წვეთებს რომ მიჰყავხარ დაძინებამდე, ეს ის დღეებია. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა დასასრულის კულმინაცია აღმოჩნდა. სამუშაო მაგიდასთან გატარებული 8, 9, 10 და ზოგჯერ 12 საათიც კი საკმარისი არ იყო, გაცნობოდი ლიტერატურას, გეკითხა სტატიები, უცხოური ელექტრონულ ინტერნეტ გაზეთებიდან გეთარგმნა გამოქვეყნებული კვლევები და მისი შედეგები გაგეანალიზებინა, დაგეგეგმა და შეგედგინა კითხვარი, რომლის საფუძველზე თავად ჩაატარებდი კვლევას. და ბოლოს, ნაშრომი ყველა ინსტრუქციის დაცვითა და ტექნიკურად გამართული სახით წარმედგინა პლაგიატის კომისიისთვის ჩიკაგოს სტილით – ეს არ იყო მარტივი. თითოეული დეტალის გათვალისწინება, რეკომენდაციები კომისიისგან და გადატვირთული სამუშაო დღე რეალურად ქმნიდა სტრესულ გარემოს, მაგრამ ჩვენ ეს ერთად შევძელით.

პირველ რიგში, მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ფსიქოლოგიის დოქტორს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს გულიკო ბექაურს. ვიტყოდი, გამიმართლა, რომ გვერდით მყავდა ფსიქოლოგი, რომელიც ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელიც გახლავთ. ალბათ, არასდროს იქნება საკმარისი ის დრო, რომელიც მუდმივად საშუალებას მომცემს, ვუთხრა მადლობა.

სიხარულის მიზეზი იყო, როდესაც გავიგე, რომ ჩემი სამაგისტრო ნაშრომის რეცენზიას

პედაგოგიკის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ქალბატონი ნატო ყრუაშვილი დაწერდა. მისი რეცენზია დიდი მოლოდინით ჩავიკითხე და ჩვეული სიამაყით ავივსე, თვალწინ გაირბინა ლექციებმა და მისმა ნათქვამმა თითოეულმა სიტყვამ.

როგორ გამათავისუფლა გამოცდიდან, რადგან – იზა, შენ არც ერთი სემინარი და ლექცია არ გაგიცდენია და სანამ ყველა სტუდენტის სემინარს ვიბარებდი, ისმენდიო (პანდემიის პერიოდი იყო). ასე იყო, იმ მოსმენილით მე დამატებით ინფორმაციას ვიგებდი და არ მსურდა, გამომრჩენოდა, თუნდაც, მცირე დეტალი. ძალიან ვრცელი პოსტი გამომივა, სათქმელს ბოლომდე რომ მივყვე. ჩემი თქვენდამი დამოკიდებულება ბევრად მეტია, ვიდრე ლექტორისა და სტუდენტის.

მინდა უამრავი მადლობა ვუთხრა ჩვენი პროგრამის ხელმძღვანელს ქალბატონ ირმა ქურდაძეს. მისი კეთილგანწყობა სტუდენტებისადმი უსაზღვროა. მუდმივად ზრუნავს, რომ უნივერსიტეტში ცოდნასთან ერთად საჭირო უნარ-ჩვევებიც გამოიმუშაონ სტუდენტებმა. გვიყვარს მისი ხასიათით, ღიმილით და ცოდნით, რომელსაც განვითარებისთვის გვიზიარებს. ყოველთვის ვამბობ, ქალბატონი ირმა რამდენ შესაძლებლობებს გვიქმნის სტუდენტებს. მისი დამსახურებით აღმოვჩნდი USAID-ის პროექტში ბორჯომის პირველ საჯარო სკოლაში და შეიქმნა შემეცნებითი ცენტრი მანტია.

არ შემიძლია მადლობა არ ვუთხრა ქალბატონ მაია ქუქჩიშვილს, რომელიც დეტალური რეკომენდაციებით, ნაშრომის ჩიკაგოს სტილით აგებისათვის, ბოლო წამამდე მითითებებს მაძლევდა, რათა სამაგისტრო ნაშრომი სრულყოფილი სახით წარმედგინა პლაგიატის კომისიასთან და ღირსეულად მოეპოვებინა განათლების მაგისტრის ხარისხი. მართლაც, უდიდესი გამოცდილება მივიღე და ბოლოს დავრწმუნდი, ძალიან მარტივია დაწერო სამაგისტრო ნაშრომი ლინკები ტექსტზე დამოწმებისათვის.

ეს იყო თვეები, როდესაც დედას (დალი ბალახაძეს) და შვილს ვთხოვდი, კიდევ ერთი ჭიქა წყალი მოეტანათ სამუშაო მაგიდასთან.

ეს იყო დღეები, როდესაც გაზეთ „ბორჯომის" რედაქციაში ფიზიკურად ვიყავი, მაგრამ გონება, გული და სული სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობდა. მადლობა რედაქტორს – ვალერიან ლომიძეს, სწავლის პარალელურად, მუშაობისა და განვითარების შესაძლებლობისათვის.

და ეს იყო წლები, რომლებმაც შესაძლებლობა მომცა, სრულიად უფასოდ მიმეღო განათლება და ვყოფილიყავი სახელმწიფო სტიპენდიატი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის სტიპენდიატი და გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიატი (Gudavadze Patarkatsishvili Foundation) მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, რა შემთხვევაშიც ეს პასუხისმგებლობა მოდუნების საშუალებას არ მაძლევდა. მადლობა თითოეულ ლექტორს – მაკა ბერიძეს, ვახტან ინაურს, მაია ივანიძეს, ლალი ბერძეს, თამრიკო ნარიმანიშვილს, რუსა გელაშვილს, ნინო ფილიშვილს, ქეთევან ნარიმანიშვილს, მარი ნარიმანიძეს, ნინო ზედგინიძეს, კესო გეჯუას, ნინო კარკაძეს, ლილი შაყულაშვილს, გია კაპანაძეს, დავით გოგოლაძეს, ლალი ბარამიძეს, ეთერ გაჩეჩილაძეს, მარეხი ნათენაძეს, როლანდ ქურდაძეს, რომლებიც მასწავლიდნენ და მაღალი შეფასებებით ნდობას გამოხატავდნენ ჩემდამი. შეუძლებელია, ყველაფერი იცოდე 100%-ით 100 ქულით.

ბოლო დღეებია, მე ჩემს სამაგისტრო ნაშრომს სული ჩავბერე – მეტყველების განვითარების თავისებურებანი უმცროს სასკოლო ასაკში. მიხარია, რომ რამდენიმე მშობელმა მისი გაცნობა უკვე მთხოვა. ასეთია ჩემი განწყობა, თითქოსდა, წამიერად განვლილი 5 წლის ამბის დასასრულამდე რამდენიმე დღით ადრე.

იზა იანვარაშვილი

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი
რედკოლეგია:
ლიკა ზაზაშვილი, რიმა სუდაძე, თამარ კორტი, იური ბალახაძე, ნატალია ვარდიძე, ვარსენიკ ვართანიანი, თენგიზ მელიქიძე

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 113
ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge